



კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

საჯარო და კერძო სკოლების
დირექტორთა და მასწავლებელთა
III ეროვნული სამეცნიერო
კონფერენცია

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
ინოვაციური ტექნოლოგიებისა და
მეთოდოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა“

სამუშაო პროგრამა
და თეზისები

30 ნოემბერი
თბილისი, 2019 წელი

საბუხარა ვრობრობა

სარედაქციო კოლეგია:

ეკა თხილავა
ციცინო ბუკია
ანა გოგილაშვილი
მარინე უგულავა
ბექა მანაგაძე

დექანიკური უზრუნველყოფა:

გოგა გოგობია

ორგანიზატორი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, ჩარგლის ქ. N 73

კონფერენციის მიზნები:

- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის მართვის შესაძლებლობების გაძლიერება სკოლებში პოზიტიური, ორგანიზებული და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად;
- სკოლის მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერება სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- მარინე უგულავა - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, კონფერენციის ავტორი და ხელმძღვანელი;
- ბექა მანაგაძე - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი;
- ნინო ჩუბინიძე - კსუ-ს კანცლერის მოადგილე;
- ვახტანგ წიფწივაძე - კსუ-ს კანცლერი;
- ანანო წიფწივაძე - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
- მედეა წიფწივაძე - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სამეცნიერო საბჭო:

- სესილი გოგიბერიძე - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- მარინა გედევანიშვილი - კსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- ეკა თხილავა - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს სწავლული მდივანი, ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი;
- ციცინო ბუკია - კსუ-ს მულტიმედია ცენტრის რედაქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი.
- ანა გოგილაშვილი - კსუ-ს სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი;
- ლია თევზაძე - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ქიმიის აკადემიური დოქტორი;
- კახაბერ კორძაია - კსუ-ს რექტორი, პროფესორი, მათემატიკის დოქტორი;
- ვახტანგ მაისაია - საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, კსუ-ს პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;
- ნინო მინდიაშვილი - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- ჯაბა სამუშია - კსუ-ს მოწვეული ლექტორი;
- ქეთევან შოშიაშვილი - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

დღის ბანრიზი		
30.11.2019		
11:00	რეგისტრაცია	კსუ, ფოიე
11:30	<p>გახსნა, პლენარული სხდომა</p> <ul style="list-style-type: none"> • კახაბერ კორძაია - კსუ-ს რექტორი, პროფესორი, მათემატიკის დოქტორი; • სესილი გოგიბერიძე - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი; 	III სართული, საკონფერენციო დარბაზი, N305
12:00	საქმიანობის მუშაობა	
	<p>დირექტორთა სექცია (მოხსენება - 13 , მომხსენებელი - 15)</p> <p>კომისიის წევრები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სესილი გოგიბერიძე - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი; • მარინე უგულავა - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი; • ზაზა ცოტნიაშვილი - კსუ-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. • გიორგი გახელაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი. 	საკონფერენციო დარბაზი, N305
	<p>ჰუმანიტარული საგნების სექცია (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სამოქალაქო განათლება)</p> <p>(მოხსენება - 17 , მომხსენებელი - 17)</p> <p>კომისიის წევრები:</p>	აუდიტორია N 307

	<ul style="list-style-type: none"> • ეკა თხილავა - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს სწავლული მდივანი, ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი; • ნინო მინდიაშვილი - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი; • ქეთევან შოშიაშვილი - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; 	
	<p>საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნების სექცია (მოხსენება - 12 , მომხსენებელი - 13)</p> <p>კომისიის წევრები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლია თევზაძე - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ქიმიის აკადემიური დოქტორი; • ლალი რაზმაძე - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; • ლაშა შამათავა - მათემატიკოსი, „ახალგაზრდული ინოვაციური ცენტრის“ პროექტების მენეჯერი. 	<p>აუდიტორია N 21</p>

	<p>უცხო ენის, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის სექცია (მოხსენება - 8, მომხსენებელი - 11)</p> <p>კომისიის წევრები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მანანა ჩხარტიშვილი - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი; • ნანა ტალახაძე - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი; 	<p>აუდიტორია N 22</p>
	<p>უსაფრთხო სკოლის სექცია (მოხსენება - 10, მომხსენებელი - 12)</p> <p>კომისიის წევრები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გიგლა გობეჩია - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი; • ალექსანდრე რუსეცი - ფსიქოლოგიის დოქტორი, საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის კოორდინატორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 	<p>აუდიტორია N 304</p>
<p>14:00</p>	<p>ფურცედი</p>	<p>I სართული, კაფეტერია</p>
<p>14:45</p>	<p>სამუშაოში მუშაობის მანახლება</p>	
<p>16:30</p>	<p>კონფერენციის შეჯამება, სარტიფიკატების გადასცემა, დახურვა</p>	<p>უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა</p>

(მოხსენება - 13, მომხსენებელი - 15)

კომისიის წევრები:

- **სესილი გოგიბერიძე** - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- **მარინე უგულავა** - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი;
- **ზაზა ცოტნიაშვილი** - კსუ-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
- **გიორგი გახელაძე** - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით.

N	სახელი, გვარი	ქალაქი/სკოლა	ნაშრომის სახელწოდება
1	ვალერი კანკაძე	ვანი, N1 საჯარო სკოლა	უსაფრთხო სკოლა, არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები 21-ე საუკუნის სკოლებში
2	თამარ ადეიშვილი	ქუთაისი, შპს „ლონე ქვეყნისა“	მოსწავლეთა შეფასება - სასწავლო მეთოდი
3	თამარ ფაჩულია	ფოთი, შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზია“	დირექტორი, როგორც სკოლის ლიდერი, სწავლებისა და სწავლის მაღალი პროფესიული სტანდარტების მიღწევისა და შენარჩუნების პროცესში
4	თეონა ადეიშვილი	ვანი, N2 საჯარო სკოლა	„თანასწორობა სკოლაში“
5	ლეილა ყორღანაშვილი	საგარეჯო, სოფ. მანავის საჯარო სკოლა	უსაფრთხო სკოლა-არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები
6	მანანა ჯადუგიშვილი თამილა ჩუბინიძე	თბილისი, N150 საჯარო სკოლა	თემა და სკოლა - პრაქტიკის გაზიარება / „ახალი სკოლის მოდელი“ - მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერების, სასწავლო პროცესის ხარისხისა და

			სკოლის კულტურის გაზრდის გარანტი
7	მანანა ქარქაშაძე	ქუთაისი, შპს „ლონე ქვეყნისა“	სისტემური აზროვნების განვითარების საკითხები ზოგადი განათლების საფეხურზე
8	მარინე ბაინდურაშვილი	ლაგოდეხი, სოფ. შრომის საჯარო სკოლა	მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა სკოლაში
9	მზევინარ ტაბატაძე	ჭიათურა, სოფ. წირქვალის საჯარო სკოლა	საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში
10	ნინო წილოსანი თამარ ღამბაშიძე-გურეშიძე	წყალტუბო, სოფ. ბანოჯის საჯარო სკოლა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა
11	ნინო ჩიხლაძე	საჩხერე, N3 საჯარო სკოლა	უსაფრთხო სკოლა - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები
12	ცირა ბრეგვაძე	ჭიათურა, N2 საჯარო სკოლა	ბულინგი სკოლაში და მისი პრევენციის გზები
13	ხათუნა აფხაზავა	ლანჩხუთი, სოფ. ხაჯალიის საჯარო სკოლა	„სოფლის ფილტვები“

ჰუმანიტარული საბნების სექცია

აუდიტორია N 307

(ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სამოქალაქო განათლება)

(*მოხსენება - 17, მომხსენებელი - 17*)

კომისიის წევრები:

- **ეკა თხილავა** - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს სწავლული მდივანი, ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი;
- **ნინო მინდიაშვილი** - კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- **ქეთევან შოშიაშვილი** - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

N	სახელი, გვარი	ქალაქი/სკოლა	ნაშრომის სახელწოდება
1	თეოდორა ლემონჯავა	ჩხოროწყუ, სოფ. ზუმის საჯარო სკოლა	მუზეუმში გაცოცხლებული ეპოქა
2	ინგა სამუშია	ზუგდიდი, სოფ. ჩხორიის საჯარო სკოლა	რით არის საინტერესო და განსხვავებული ახალი მოდელის სკოლა
3	ინგა ხავთასი	თბილისი, N60 საჯარო სკოლა	ემოციების მართვა და კომუნიკაციის პრობლემები მოზარდებში
4	კახა გალდავა	სამტრედია, N15 საჯარო სკოლა	რთული ქცევის მართვა გაკვეთილზე
5	ლანა ჩიხლაძე	ზუგდიდი, N7 საჯარო სკოლა	როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეებში ლიტერატურული მასალის საფუძველზე გრამატიკული ასპექტების სწავლება
6	ლელა მანგოშვილი	თბილისი, სკოლა „ბინული“	საპნის ბუმტები თუ „საპნის ბუმტები“
7	მაია ცერცვაძე	მესტია, სოფ. ხაიშის საჯარო სკოლა	წრეობრივი მუშაობა, როგორც მოსწავლეთა განვითარების საშუალება
8	მანანა გრიგოლავა	სენაკი, წმ. ალექსი შუმანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია	არგუმენტირებული ესეს წერის სტრატეგიების ფლობა და წერითი უნარების ამაღლების ხელშეწყობა მოსწავლეებში
9	მანანა ნუცუბიძე	თბილისი, N217 საჯარო სკოლა	საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საგაკვეთილო

			პროცესში ჩართულობის პრობლემები და მათი გადაჭრის სტრატეგიები
10	მარინე კვარაცხელია	წალენჯიხა, ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა	პროექტული სწავლების უპირატესობანი
11	ნათია ვერულიძე	თბილისი, სკოლა „პოლიგლოტი“	განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე
12	ნათია უჩავა	თბილისი, N158 საჯარო სკოლა	საბავშვო გადაცემა ერუდიტი TV სასწავლო პროცესში
13	ნანა ლომიძე	გორი, N8 საჯარო სკოლა	ანდროიდი - გართობა თუ საინტერესო გაკვეთილი და ტექნოლოგიებთან დაახლოება
14	ნატო მჟავია	ვანი, N2 საჯარო სკოლა	არაფორმალური განათლების წილი სასწავლო პროცესში
15	ნინო ტატიაშვილი	თბილისი, N133 საჯარო სკოლა	ვიქტორინის როლი წიგნიერების დონის ამაღლებაში
16	ქეთევან ძაგნიძე	ვანი, N2 საჯარო სკოლა	ვეფხისტყაოსნის სწავლება კოლაბორაციული მეთოდით
17	ხათუნა შედანია	წალენჯიხა, N5 საჯარო სკოლა	საინფორმაციო ტექნოლოგიები - ჩვენი საიმედო პარტნიორი

საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საბნების სექცია

აუდიტორია N 21

(მოხსენება - 12, მომხსენებელი - 13)

კომისიის წევრები:

- ლია თევზაძე - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ქიმიის აკადემიური დოქტორი;
- ლალი რაზმაძე - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;
- ლაშა შამათავა - მათემატიკოსი, „ახალგაზრდული ინოვაციური ცენტრის“ პროექტების მენეჯერი.

N	სახელი, გვარი	ქალაქი/სკოლა	ნაშრომის სახელწოდება
1	თამარ გვიჭიანი	მესტია, სოფ. ხაიშის საჯარო სკოლა	ინოვაციური ტექნოლოგიები სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა (სწავლების ტიპი არაფორმალური განათლება)
2	ინგა პაქსაშვილი	თბილისი, დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“	მოსწავლეთა ურთიერთანამშრომლობის როლი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში
3	ირინე აბრამიშვილი	თბილისი, N107 საჯარო სკოლა	კვლევითი საქმიანობის წახალისება საჯარო და კერძო სკოლებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე
4	ლაურა ჯიმშელიაშვილი	თბილისი, დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“	საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევითი მუშაობის დროს
5	ლიანა აღდგომელაშვილი	თბილისი, N107 საჯარო სკოლა	თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას
6	ლიანა ოქრუაშვილი	თბილისი, N217 საჯარო სკოლა	როგორ გადავჭერი VIII კლასის მართვის პრობლემები მათემატიკის გაკვეთილებზე

7	მედეა ქობალაია ზეატრისა რუსია	ხოზი, სკოლა „არეა“	„ციური იერარქია“ და მეტყველების ყველაზე მდიდარი ნაწილი მეგობრებთან ერთად . . .
8	მიხეილ ლაზარტყავა	თბილისი, დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაზადა“	თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის გამოყენება ქიმიამში, ბიოლოგიასა ფარმაცევტულ ქიმიამში
9	ნანი შევარდენიძე	რუსთავი, N20 საჯარო სკოლა	როგორ შევიყვარე მათემატიკა
10	ნატო კილაძე	საჩხერე, სოფ. კორბოულის N2 საჯარო სკოლა	ელექტრონული სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოების) შექმნა და გამოყენება მათემატიკის სწავლების დროს
11	ნინო გაბიტაშვილი	გურჯაანი, სოფ. ვეჯინის საჯარო სკოლა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევითი საქმიანობის წახალისება
12	ხათუნა ლომიძე	ჭიათურა, N2 საჯარო სკოლა	თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ქიმიის სწავლებისას

უცხო ენის, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საქმია

აუდიტორია N 22

(მოხსენება - 8, მომხსენებელი - 11)

კომისიის წევრები:

- მანანა ჩხარტიშვილი - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- ნანა ტალახაძე - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი.

N	სახელი, გვარი	ქალაქი/სკოლა	ნაშრომის სახელწოდება
1	დალი დოლიძე	თბილისი, N126 და N32 საჯარო სკოლები	საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე
2	იამზე შინჯიკაშვილი	გურჯაანი, ვეჯინის საჯარო სკოლა	რესურსებით სწავლება
3	ირმა კურტანიძე ირმა გაგლოვი	გორი, N11 საჯარო სკოლა	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში
4	კესო პაპავა	სენაკი, წმ. ალექსი შუმანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია	Be a museum curator
5	ლია ზამთარაძე	თბილისი, N217 საჯარო სკოლა	მოტივაციის როლი და მნიშვნელობა უცხო ენების სწავლების პროცესში (საკუთარი პრაქტიკის გაზიარება)
6	ნელი გვიშიანი	თბილისი, N100 საჯარო სკოლა	თანამედროვე ტექნოლოგიები ახალი სკოლის მოდელის გაკვეთილებზე
7	ნინო უჩავა მაკა ელიკაშვილი	თბილისი, N158 საჯარო სკოლა	ზეპირმეტყველების უნარის (ლაპარაკი) განვითარება ინგლისური ენის სწავლების პროცესში
8	სოფიკო მირცხულავა ეკატერინე მილორავა	სენაკი, წმ. ალექსი შუმანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია	"Media mix" („მედია მიქსი“)

უსაფრთხო სკოლის სექცია

აუდიტორია N 304

(მოხსენება - 10, მომხსენებელი - 12)

კომისიის წევრები:

- გიგლა გობეჩია - კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი;
- ალექსანდრე რუსეცკი - ფსიქოლოგიის დოქტორი, საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის კოორდინატორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

N	სახელი, გვარი	ქალაქი/სკოლა	ნაშრომის სახელწოდება
1	დარიკო თირქია	ხობი, სოფ. ბიის საჯარო სკოლა	უსაფრთხო სკოლა - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები
2	დოდო ხუციშვილი	თბილისი, N100 საჯარო სკოლა	ბულინგი
3	ეკა წულუკიძე	მესტია, სოფ. ფარის საჯარო სკოლა	მასწავლებელი - სათემო აქტივისტი
4	ელენე თარხნიშვილი	თბილისი, სკოლა „პოლიგლოტი“	სოციალური უნარების განვითარება მოსწავლეებში
5	თამთა მანდარია	თბილისი, სკოლა „პოლიგლოტი“	არსებობს თუ არა ინტერკულტურული სენსიტიურობის დიფერენცირებული მაჩვენებელი ასაკით განსხვავებულ მასწავლებლებს შორის
6	თეონა ლომიძე	ქუთაისი, სკოლა „ღონე ქვეყნისა“	ბულინგი და მისი გამოწვევი მიზეზები
7	ლელა ბოჭორიშვილი	ჭიათურა, N2 საჯარო სკოლა	უსაფრთხო სკოლა, არსებული პრობლემები და გამოწვევები
8	მაკა ელიკაშვილი	თბილისი, N158 საჯარო სკოლა	„ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“
9	სოფიკო მირცხულავა თეა კაკულია	სენაკი, წმ. ალექსი შუმანის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია	Value your elders- პატივი ვცეთ ხანდაზმულებს
10	სოფიო ჯელაძე ნინო ლარცულაიანი	რუსთავი, N17 საჯარო სკოლა	ეფექტური სტრატეგიები და ინსტრუმენტები სკოლის უსაფრთხო გარემოსთვის

თავმოსავლი

დირექტორთა საეჭიო

ვალერი კანკაძე
ვანი, N1 საჯარო სკოლა

უსაფრთხო სკოლა, არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები 21-ე საუკუნის სკოლებში

სკოლის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი და საკმაოდ კომპლექსური საკითხია 21-ე საუკუნის ქართულ სკოლებში. საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ხშირად აისახება სკოლის ცხოვრებაზე, რაც არღვევს მისი ნორმალური ფუნქციონირების რიტმს. თუკი სკოლა ვერ შეძლებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და იქ მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თითოეული მათგანი მუდმივი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მოლოდინში იქნება და სკოლა თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

უსაფრთხო კლიმატის შესაქმნელად სკოლა ვალდებულია:

- შეაფასოს მოსალოდნელი რისკები და დასახოს გზები საფრთხეების მინიმუმამდე დასაყვანად და, უკეთეს შემთხვევაში, მის აღმოსაფხვრელად.
- შეიმუშავოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, ხანძრის გაჩენის, წყალდიდობის, მიწისძვრისა და საჭაერო დაბომბვის შემთხვევაში. კრიტიკულ სიტუაციაში ფუნქციები გადაანაწილოს თანამშრომლებს შორის.

ამასთან ერთად, 21-ე საუკუნის სკოლებში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ძალადობა. ძალადობის მინიმუმამდე დასაყვანად კი აუცილებელია სკოლამ მოახდინოს ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა თუ სახეების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. ამისათვის:

- სკოლამ უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფები, სათანადოდ გადაამზადოს სკოლის თანამშრომლები. სკოლის ცხოვრებაში მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული თითოეული მოსწავლის ოჯახი, სასკოლო თემი, ფსიქოლოგები, მანდატურის სამსახური, სოც. მუშაკები, შსს-სა და პროკურატურის თანამშრომლები;
- უნდა შევძლოთ და თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;
- ვითანამშრომლოთ კოლეგებთან, რათა გავიზიაროთ და გავითვალისწინოთ ერთმანეთის გამოცდილება;
- მოსწავლეებში უნდა ავამაღლოთ ცნობიერების დონე, გავზარდოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;
- საჭიროა, გაიოდდეს მაღალი რისკის მოსწავლეების სპეც. სკოლაში გადამისამართების პროცედურები;
- უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სხვადასხვა წარმატებული საგანმანათლებლო სისტემის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება;
- საყურადღებო და აუცილებელია, ქუჩის გავლენის შესუსტება სასკოლო ცხოვრებაში;

მნიშვნელოვანია ასევე 21-ე საუკუნის უდიდესი პრობლემის - კიბერბულინგის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

თამარ ადიშვილი
ქუთაისი, შპს „ღონე ქვეყნისა“

მოსწავლეთა შეფასება - სასწავლო მეთოდი

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემამ არსებითად შეცვალა მიდგომა როგორც სწავლების, ისე შეფასებისადმი. სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების დროს ერთ-ერთ გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს გამოყენებული სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები.

მოსწავლის განვითარებისათვის აქტუალურია სასწავლო პროცესში შეფასების სტრატეგიების სწორად შემუშავება და გამოყენება, რადგან შეფასება ნიშნავს, როგორც დაკვირვებას მოსწავლის მიღწევებზე, ასევე დასკვნის გაკეთებას მისი თეორიული და პრაქტიკული მომზადების შესახებ. შეფასება რთული პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ცოდნის შეფასებას ეხება, მოსწავლის სწორი შეფასება, მასზე მრავალმხრივ დაკვირვებასა და დასკვნების გამოტანას მოითხოვს.

სწავლების მეთოდის შერჩევისათვის განმსაზღვრელია სწავლის შედეგები (დასახული მიზანი), რაც მოითხოვს ობიექტურ და გამჭირვალე შეფასების ინსტრუმენტების შექმნასა და ამ ინსტრუმენტების გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში, როგორც საგანმანათლებლო მეთოდი.

შეფასების პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

- შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება;
- სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა;
- შეფასების ინსტრუმენტის შექმნა;
- შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება;
- შეფასების განხორციელება;
- შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.

დღეს მასწავლებლების მიერ სკოლაში მოსწავლეთა შეფასების ტიპური სურათი წარმოგვიდგება როგორც სასწავლო ერთეულის (პარაგრაფთა ჯგუფის ან თავის) დასრულების შემდგომი ტესტირება მომდევნო გაკვეთილზე თანამდევი ხანმოკლე „შეცდომების გასწორებით“. ამგვარი თემის შემაჯამებელი ტესტები მოცემულია სასკოლო სახელმძღვანელოების მასწავლებელთათვის განკუთვნილ წიგნებში ან მას თვით მასწავლებლები ადგენენ ისე, რომ უმეტესად არ ფლობენ ტესტის შედგენისა და ჩატარების პედაგოგიურ ტექნოლოგიებს.

სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, კლასის ორგანიზების ფორმები და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები სწავლის შედეგზე დიდ გავლენას ახდენს. მაგრამ ხშირად უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა: როგორ გავიგოთ, სწავლობენ თუ არა მოსწავლეები იმას, რაც დაიგეგმა და გადაეცა მოსწავლეს გაკვეთილზე? ამის გასარკვევად მასწავლებელი შეფასებას ეყრდნობა.

არსებობს შეფასების ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდები. შეფასების საგანი მხოლოდ ნიშნის დაწერა არ არის – ის მოიცავს პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, საშინაო დავალებასა და მშობლებთან კომუნიკაციას.

შეფასების მოდელი, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში, მე ვფიქრობ, შეეხება სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებას, პროცესის არსი ისაა, რომ საგნობრივ კათედრებზე წინასწარ უნდა შემუშავდეს შეფასების კრიტერიუმები დაგეგმილი ტესტირებისათვის, რომელსაც გამოიყენებს და განახორციელებს შესაბამისი საგნის პედაგოგი. სასწავლო წლის განმავლობაში (მაგალითად, პირველი სემესტრის დასრულებისას) პედაგოგის მიერ განხორციელებულ შეფასებას ამოწმებს „გარე შემფასებელი“ (კათედრის ხელმძღვანელი, დირექტორი...), რომელიც პედაგოგთან ერთად განიხილავს მოსწავლის შედეგს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. წინააღმდეგობების აღმოჩენის შემთხვევაში აძლევს პედაგოგს შესაბამის რეკომენდაციებს და სასწავლო წლის ბოლოს ამოწმებს, როგორ შესრულდა ისინი. თუ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია, მასწავლებლის მიერ დაწერილი შეფასებები ობიექტურად მიიჩნევა და მოსწავლე იღებს შესაბამის ქულას. მთელი პროცესი აგებულია პედაგოგის მიერ განხორციელებულ შეფასებაზე და „გარე შემფასებლის“ მიერ განხორციელებულ შეფასებაზე.

შეფასება მთლიანად პედაგოგის პასუხისმგებლობაა. დაწესებულებამ უნდა უზურუნველყოს, შეუქმნას პედაგოგს ისეთი გარემო, რომ პროცესი იყოს სანდო, ვალიდური და ობიექტური. სკოლამ უნდა შეამოწმოს რამდენად ზუსტად იგეგმება და სამართლიანად ხორციელდება შეფასება. ეფექტური შიდა შემოწმების სისტემა ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის არსებითი ნაწილია. ეს არის დახმარებაზე ორიენტირებული პროცესი და არამც და არამც არ უნდა გულისხმობდეს შეფასების შედეგების გამოყენებას დასჯის მიზნით. ვფიქრობ, მთელი ეს პროცესი გულისხმობს, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხარდაჭერ მექანიზმს. სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზურუნველყოს სკოლაში განხორციელდეს სისტემური შეფასების პროცესი, რომელიც გულისხმობს, რომ მთავარი მოსწავლე და მის მიერ მიღებული შედეგია. შედეგის მიღება კი მასწავლებლის გარეშე შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია, კარგი მასწავლებელი ჩამოყალიბდეს სტრესულ და დასჯაზე ორიენტირებულ გარემოში, სადაც მთავარი შეცდომების აღმოჩენაა და არა შეცდომებზე სწავლა.

შეფასების შესასრულებლად პედაგოგებს შესაბამისი მეთოდოლოგიური მხარდაჭერა სჭირდებათ, რაც სკოლამ უნდა უზურუნველყოს წინასწარ შემუშავებული გეგმისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

დირექტორი, როგორც სკოლის ლიდერი, სწავლებისა და სწავლის მაღალი პროფესიული სტანდარტების მიღწევისა და შენარჩუნების პროცესში

საკითხის ფორმულირება – იმისათვის, რომ სკოლის სასწავლო-სამუშაო კლიმატი ყველასათვის ჯანსაღი და მასტიმულირებელი იყოს, წარმატებულ ლიდერზე, სასწავლო პროცესის ეფექტურ მმართველზეა ბევრი რამ დამოკიდებული.

სკოლა აღიარებულია მოსწავლის წარმატების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად და რადგანაც მისი პოზიტიური გავლენა მოსწავლის განვითარებაზე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტად წარმატებულია იგი, განათლების მკვლევრებისა და პრაქტიკოსების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომ შექმნან წარმატებული სკოლები; სკოლები, სადაც ნებისმიერი მოსწავლე, მიუხედავად ოჯახური გარემოსი თუ პიროვნული მახასიათებლებისა, შეძლებს საკუთარი პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებასა და მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევას. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ სწავლებისა და სწავლის მაღალი პროფესიული სტანდარტების მიღწევისა და შენარჩუნების პროცესში თუ როგორია სკოლის ლიდერის როლი.

ჩვენ ვაფასებთ სკოლაში არსებულ პრაქტიკას და ვახორციელებთ ცვლილებებს, რომლებიც პოზიტიურ გავლენას ახდენს ჩვენი მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე.

აქტუალურობა – ცნობილია, რომ სკოლა შეიმუშავებს და განახორციელებს სასწავლო გეგმას, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მოსწავლეების საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სკოლაში განხორციელებული სწავლების პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათ მიერ მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევას. სკოლაში არსებული ნორმები, ღირებულებები, სტანდარტები და ზოგადი პრაქტიკა ქმნის ეფექტურ და წარმატებაზე ორიენტირებულ სასწავლო დაწესებულებას, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზება. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებისა და სწავლისა და სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პრინციპებს; სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს კვლევასა და საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარება. ამას მოწმობს ჩვენს სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კლუბის არსებობაც.

ჩვენ ვქმნით სწავლასა და წარმატებაზე ორიენტირებულ გარემოს. ვხელმძღვანელობთ და მონიტორინგს ვუწევთ სწავლებისა და შეფასების პროცესებს; ვაანალიზებთ და ვიყენებთ სხვადასხვა მონაცემს მნიშვნელოვანი სასწავლო და ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღების დროს;

ვზრუნავთ თვითგანვითარებაზე და აქტიურ მონაწილეობას ვიღებენ პროფესიული განვითარების პროგრამებში მასწავლებლებთან ერთად; შევიმუშავებთ და უზრუნველვყოფთ თანმიმდევრული და ეფექტური პოლიტიკის, წესებისა და პროცედურების განხორციელებას;

კვლევის სიახლე – მეტი აქცენტის გაკეთება და მკაფიო ფორმულირების ჩამოყალიბება სკოლის მისიის შექმნისათვის. საკუთარი საქმიანობის მთავარი მიზნისა და დანიშნულების გააზრება სკოლის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ფოკუსირებული მისიის გარეშე სკოლა ვერ უზრუნველყოფს კოორდინირებულ და თანმიმდევრულ

საქმიანობას. სკოლა მისიისა და მიზნების გარეშე ემსგავსება ინერციით მომუშავე ორგანიზაციას, რომლის თანამშრომლებიც იზოლირებულად საქმიანობენ პირადი სურვილების, ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების მიხედვით. სკოლის მისია წარმოადგენს სკოლის მთავარ ორიენტირს, რომლის მიხედვითაც ხდება გრძელვადიანი მიზნებისა თუ ყოველდღიური პრაქტიკის დაგეგმვა და განხორციელება როგორც გუნდის, ასევე ცალკეული თანამშრომლების მიერ.

სამწუხაროდ, ხდება ე.წ. „ფასადური მისიის“ შემუშავება. უმეტეს შემთხვევაში წაკითხულიც კი არა აქვთ სკოლის თანამშრომლებს. უკეთეს შემთხვევებში სკოლის მისია წაკითხული და გააზრებული აქვთ თანამშრომლებს, თუმცა იგი მაინც იზოლირებულ წინადადებებად რჩება და ვერ ხერხდება მისი იმ დანიშნულებით გამოყენება, რა მიზნითაც იგი შეიქმნა – მისიის შესაბამისად პრიორიტეტებისა და სასწავლო მიზნების შემუშავება, შეფასებისა და სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრა, სწავლა-სწავლების ყოველდღიური პრაქტიკის განხორციელება.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში მასწავლებლები არ არიან ანგარიშვალდებულნი მოსწავლეების მიღწევებზე. ასეთ სკოლებში უმეტესად დამკვიდრებულია უიმედობისა და სხვების დადანაშაულების კულტურა და პასუხისმგებლობის გადამისამართება სხვა ფაქტორებზე, როგორებიცაა: მოსწავლის შესაძლებლობები, სწავლისადმი დამოკიდებულება, ოჯახური გარემო და წინარე ცოდნის არქონა.

იმისათვის, რომ მასწავლებლები უკეთ იცნობდნენ სკოლის მისიასა და, საერთოდ, სასკოლო სასწავლო გეგმას, ჩავატარეთ სკოლის შიდა მოკვლევა, თუ რამდენმა იცოდა კარგად აღნიშნული დოკუმენტი. ვინაიდან გამოიკვეთა მხოლოდ ცალკეული პედაგოგის კომპეტენცია, საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვექმნა ტესტი, რომლის მიხედვით მასწავლებლები უკეთ შეძლებდნენ მისიისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლას.

მიზნები – ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს დირექტორის როლი სკოლაში სკოლის პრიორიტეტის განსაზღვრის პროცესში. მან, როგორც სკოლის ლიდერმა, უნდა მოახერხოს სკოლის საზოგადოების ფოკუსირება ერთი მთავარი იდეის გარშემო, რომელიც მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზებასა და მათ მიერ მაღალი შედეგების მიღწევას დაუკავშირდება. მასწავლებლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა; თეორიული მასალისა და პრაქტიკული გამოცდილების მოშველიებით, ცალკეული სტრატეგიების მიხედვით საქმიანობის უკეთ წარმართვის უზრუნველყოფა.

ამოცანები – კვლევის ამოცანებია ლიდერის ფუნქციების მასწავლებლებისთვის განაწილება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას, გაზრდის ცვლილებების განხორციელებისათვის მზაობასა და სკოლაში მუშაობის მოტივაციას. გარდა ამისა, ლიდერის ფუნქციების დაკისრება ხელს შეუწყობს მასწავლებლებში ანგარიშვალდებულებასა და შედეგებზე პასუხისმგებლობის გაზრდას. ეს კი პირდაპირ კავშირშია მათი საქმიანობის ეფექტიანობასთან. მიმდინარეობის პროცესში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების, შესაძლებლობებისა და რესურსების გამოვლენა, მოთხოვნათა სასკოლო ცხოვრებაში განხორციელება.

კვლევის მეთოდოლოგია – ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმის, მისიის უკეთ დანერგვას სკოლაში.

სკოლის დირექტორმა სწორად უნდა შეაფასოს არსებული სიტუაცია და შეარჩიოს სტრატეგიები, რომლებიც მას განაწილებული ხელმძღვანელობის პირობებში პრაქტიკის დანერგვასა და შენარჩუნებაში დაეხმარება. როგორიცაა: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სასწავლო მიზნების შემუშავება.

კვლევის მოსალოდნელი შედეგების ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება – აღნიშნული ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობაა ის, რომ ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებით განვითარებას, მართვის სტრატეგიების განხორციელების სრულყოფას, პროფესიულად ხელმძღვანელობის

სტილისა და კულტურის გაუმჯობესებას. ამ კუთხით მასწავლებლებს დახმარება გაეწევა სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვის საქმეში, მოხდება სწავლების პროცესის მუდმივი მონიტორინგი (გაკვეთილებზე დასწრება) და შეფასება საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის საშუალებით, მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

თეონა ადგიშვილი
ვანი, N2 საჯარო სკოლა

„თანასწორობა სკოლაში“

მიზანი

- ინკლუზიური გარემოს შექმნა სკოლაში;
- სოციალური, გენდერული უთანასწორობის გავლენის შესწავლა მოსწავლეთა სწავლების ხარისხზე;
- თანასწორობის ზემოქმედება მოსწავლეთა სწავლების შედეგებსა და მოტივაციაზე.

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ეს ჩანაწერი ჩვენს ქვეყანაში თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს განამტკიცებს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს იმის გარანტიას, რომ მიუხედავად რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა, მას მოეპყრობიან სხვების თანასწორად. უფრო კონკრეტულად კი თანასწორობა მოიაზრებს, თანასწორი პირობის მიმართ თანასწორ მოპყრობას, ხოლო არათანასწორი პირობის მიმართ კი პირიქით.

მაინც რა არის თანასწორობა?

თანასწორობა იმ ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გნებავთ, შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელიც გრძნობს, რომ ის სხვაზე უარესი, სხვაზე დაბლა მდგომი არ არის, რომ თავისი მდგომარეობით იგი დიდად არ ჩამორჩება სხვებს. მეორეც, ეს არის უფრო იშვიათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ადამიანისა, რომელიც მიიჩნევს, რომ ის არ უნდა აღემატებოდეს, და არცა აქვს სურვილი აღემატებოდეს, სხვა ადამიანებს. ადამიანს ახასიათებს მისწრაფება - იყოს თანასწორი სხვა ადამიანისა, ძლიერ არ განსხვავდებოდეს სხვისგან. ჩვენ გვეშინია გამოვჩნდეთ სხვაზე მაღალი ან დაბალი... ამავდროულად ყველა ადამიანი განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ გარემოში განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით იბადება, და, ამასთან ერთად, თითოეულ მათგანს

ამჟვეყნად საკუთარი, სხვისგან განსხვავებული, კვალის დატოვება სურს... რამდენად მნიშვნელოვანია თანასწორობა?

მაგალითად, შეუძლებელი იქნებოდა ალექსანდრე დიუმის გამხდარიყო მწერალი და შეექმნა ისეთი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორებიცაა „სამი მუშკეტერი,“ „გრაფი მონტე კრისტო“ და სხვა, თავისი კანის ფერის გამო რომ განედევნათ და მონად გაეყიდათ. ასევე მსოფლიო დაკარგავდა მთელ როკ-ეპოქას, ფრედი მერკურის საკუთარი ეროვნებისა ან სექსუალური ორიენტაციის გამო საზოგადოებას რომ გაერიყა და შემოქმედებით პროცესში ხელი შეეშალა.

საქართველოში თანასწორობის იდეა არ არის ახლად წარმოშობილი ცნება. იგი ჩვენი ისტორიული არჩევანია, რაზეც მიუთითებს მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევი. [ილია ჭავჭავაძე](#) წერდა: „ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისგან.“ თანასწორობის პრინციპზე საუბრობდა ასევე [იაკობ გოგებაშვილი](#): „თანასწორუფლებიანობის პრინციპი განამტკიცებს ჰუმანურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ტომის ელემენტებს შორის, ბადებს ურთიერთ ნდობას და სიყვარულს, ამყარებს ადგილობრივ და არაადგილობრივ ელემენტებს შორის ნაყოფიერ ურთიერთზეგავლენას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევისათვის ერთსულოვან ბრძოლას... ვიწრო რასობრივი განსაკუთრებულობით ნაკარნახებმა რეპრესიულმა ზომებმა შეიძლება მხოლოდ მავნე შედეგი მოგვცეს.“

აქტუალობა - რამდენად თანასწორი გარემო გვაქვს სკოლაში?

- რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ არავინ იგრძნოს თავი დაჩაგრულად? მარტოსულად? არასრულფასოვნად? რომ არ დაეცეს მათი თვითშეფასება? რომ ადგილი არ ჰქონდეს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას?

როცა მოსწავლე მიიჩნევს, რომ ის არ არის თანასწორ პირობებში, როცა მიიჩნევს, რომ რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლია, ქრება ყველაზე მნიშვნელოვანი – ნდობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, მოსწავლესა და სკოლას შორის, მოსწავლე მიიჩნევს, რომ მარტოა, მის წინააღმდეგ კი არის ყველა.

მარტოსულია, ვერ ახერხებს საკუთარი ძალების რეალიზებას, არ არის აღიარებული, მისი თვითშეფასება თანადათან ეცემა და, საბოლოო ჯამში ვიღებთ დემოტივირებულ, არაინიციატორ მოსწავლეს, რთული ქცევით.

პრობლემა - ლიდერობის აკადემიაზე ინკლუზიურ და თანასწორ გარემოზე მსჯელობისას ვფიქრობდი, რომ ეს გარემო უკვე იყო ჩემს სკოლაში

- მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რა იყო მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზი საბუნებისმეტყველო საგნებში;
- რა იყო მიზეზი მუდმივი კონფლიქტისა ;
- რა უშლიდათ ხელს მასწავლებლებს სწავლების პროცესში?

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მიზეზი დაბალი მოტივაციისა არის „უთანასწორობა“ გადავწყვიტე, ჩამეტარებინა კვლევა, სადაც მოსწავლეთა მოტივაციის ნაკლებობის მიზეზებს ვიკვლევდი კითხვაზე - რა მიშლის ხელს სწავლების პროცესში? ყველა საფეხურზე მოსწავლეთა პასუხი იყო უთანასწორობა. ეს პასუხი ჩემთვის ძალიან უცნაური იყო, რადგან თავად ფაქტი

უხილავი და ამასთანავე მწელად აღსაქმელი გახლდათ, ვერ ვხედავდი დიდ სოციალურ უთანასწორობას, არც მასწავლებელთა დამოკიდებულებები მეჩვენებოდა განსხვავებული, მაგრამ რადგან მოსწავლეთა დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ უთანასწორობა ხელს უშლიდა სწავლის პროცესში ეს ნამდვილად პრობლემას წარმოადგენდა და დავიწყე აღნიშნული პრობლემის სიღრმისეული შესწავლა. გზადაგზა გამოიკვეთა შემდეგი, რომ მოსწავლეებისთვის უთანასწორობა ნიშნავს

- უთანასწორობას ვგრძნობ, როცა ჩემს კლასელს კვირაში 3-ჯერ ახალი ტანსაცმელი აცვია, დედა ჩემთვის 3 თვეშიც ვერ ყიდულობს ახალს, ჩემი კლასელი კი ზემოდან მიყურებს“;
- „უთანასწორობაა, როცა გიყურებენ როგორც ავადმყოფს, ეცოდები და ცდილობენ დაგეხმარონ, მინდა, რომ თანასწორად აღმიქვან“;
- „უთანასწორობაა, როცა გვეუბნებიან ბიჭი ხარ და ოჯახი უნდა არჩინო, ამიტომ უნდა ისწავლობიჭებს უფრო მკაცრად გვექცევიან, ვიდრე გოგონებს“;
- „უთანასწორობაა, როცა მასწავლებელს ეტყობა, რომ ბიჭებთან უფრო მოსწონს მუშაობა, როცა რთულ კითხვას სვამს ბიჭებს უყურებს, ამ დროს აღარ მინდა პასუხი გავცე“;
- „უთანასწორობაა, როცა განსხვავებული აღმსარებლობის გამო დაცინვისა და ჭორაობის ობიექტი ხარ.“

როცა ეს ყველაფერი განვიხილეთ, ყველზე მეტად რამაც გამოცა, აღმოჩნდა, რომ „უთანასწორობაა, როცა მასწავლებელს ეტყობა, რომ ბიჭებთან უფრო მოსწონს მუშაობა, როცა რთულ კითხვას სვამს ბიჭებს უყურებს, ამ დროს აღარ მინდა პასუხი გავცე.“ მეხებოდა მე, უცებ თვალწინ დამიდგა გენეტიკის ამოცანების დროს ჩემ მიერ დასმული შეკითხვები, ჩემი მიმიკა და შესაბამისად, თვალების მოძრაობაც, რომელიც ყურადღებიდან არ გამორჩენიათ ბავშვებს. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი სტერეოტიპული მიდგომა, რომ „გენეტიკურ ამოცანებს ბიჭები უფრო სწრაფად და მარტივად უღებენ ალღოს“, რომლის გამჟღავნებასაც არ ვაპირებდი და ვმალავდი კიდეც, ძალიან მარტივად აღსაქმელი გახდა მოსწავლეებისათვის. ანალიზისას გაირკვა, რომ ეს სტერეოტიპული მიდგომები აქვთ მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლებს. ფაქტის წინაშე დამდგრები ვცდილობდით თავის გასამართლებელი არგუმენტები მოგვეძიებინა და სწორედ ამ დროს გამახსენდა ლიდერობის აკადემიაზე ჩემ მიერ ამაყად გაჟღერებული „გენდერული უთანასწორობის პრობლემა ნამდვილად არ არის ჩვენს სკოლაში“.

გადაჭრის გზები - გამოკვეთილი პრობლემებიდან აუცილებელი იყო მუშაობა დაგვეწყო „ჩვენგან, საკუთარი თავიდან“ და განსხვავებები ბიჭებისა და გოგონების შესაძლებლობებზე გონებიდან ამოგვეშალა. საწყის ეტაპზე დავიწყეთ სტემის საგნების შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ VII-VIII კლასებში ბიჭებისა და გოგონების შედეგები მსგავსია. ფიზიკა-ქიმიაში გოგონების ჩამორჩენა შესამჩნევია მეცხრე კლასიდან, მათემატიკაში კი _ მეათე კლასიდან.

დავიწყეთ სტემის საგნებში პრეტესტების შედგენა. ტესტირების შედეგები სრულიად განსხვავებული იყო. ტესტი, რომელიც თანაბრად მოიცავდა ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის საკითხებს გოგონების და ბიჭების შედეგები თითქმის ერთნაირი იყო.

აღნიშნული ინფორმაცია პრეზენტაციის სახით წარმოვადგინეთ და გავაცანით ყველა პედაგოგს.

გავერთიანდით საბუნებისმეტყველო და მათემატიკის კათედრა და მოვაწყვეთ სამუშაო შეხვედრები, სადაც შევადგინეთ განრიგი ერთმანეთთან დასასწრებად. დასწრებისას

ფოკუსირებული დაკვირვება უნდა გაგვეხორციელებინა გენდერზე, მაგალითად, როგორ ჩართავდა ფიზიკის მასწავლებლები ელექტრობის შესწავლისას გოგონებს, როგორ გააკეთებინებდა ამოცანებს და ა.შ იგივე მოხდებოდა სხვა გაკვეთილებზეც. ეფექტური აღმოჩნდა „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, როცა მეც მესწრებოდნენ, მობილიზებული ვიყავი, ვცდილობდი, ყურადღება ზუსტად გადამენაწილებინა, თავიდან თითქოს ეს ნაძალადევი იყო, მაგრამ მერე ჩვევაში გადავიდა, დასაწყისში თუ 4 ან 5 შენიშვნას ვაძლევდით ერთმანეთს, თანდათანობით მათი რაოდენობა შემცირდა და გაქრა კიდევ.

შევქმენით კლუბი „პატარა ფიზიკოსები“, სადაც გოგონები ჭარბობენ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა კონკურსში. ჩვენმა ფიზიკოსთა გუნდმა ინოვაციების კონკურსზე მეორე ადგილი დაიმსახურა, წელს ერთი გოგონა გვყავდა გუნდში, მომავალ წელს ეს რაოდენობა გაიზრდება.

მათემატიკის ოლიმპიადზე თუ მხოლოდ ბიჭები რეგისტრირდებოდნენ გოგონებმაც აქტიურად დაიწყეს მონაწილეობის მიღება. საგნის კვლევისას აღმოვაჩინე, რომ გოგონებისთვის ყველაზე საყვარელი თემა გენეტიკური ამოცანებია.

რაც შეეხება პრობლემას, რომელიც სოციალურ უთანასწორობას და ჩაცმულობას შეეხება, ჩვენ ამ პრობლემის მოგვარება ძალიან მარტივად (ჩემი აზრით) დავიწყეთ. სასკოლო ფორმაზე ჩანაწერი, ვიცით, რომ სკოლა ვერ დაავალდებულებს მშობელს შეუძინოს შვილს სასკოლო ფორმა, მოვიწვიეთ მშობელთა კრება, სადაც ვისაუბრეთ სასკოლო ფორმის უპირატესობაზე. მშობელთა უმეტესობამ თანხმობა განაცხადა, ფორმის დიზაინი მშობლებმა და მოსწავლეებმა ერთად შეიმუშავეს და შეთანხმდნენ, რაც შეეხება ფინანსებს, მოვძებნეთ სამკერვალო, რომელიც დათანხმდა თანხის რამდენიმე თვეზე გადანაწილებას. საბოლოო ჯამში, მივიღეთ ერთნაირ სამოსში ჩაცმული ბავშვები, ვეღარ ამცირებენ ერთმანეთს სიტყვებით „რა გაცვია, ძონძებში იყიდე?“

რელიგიაზე საუბრები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებსა და ისტორიაზე გადავიტანეთ, განვახორციელეთ პროექტი „რელიგიები და სამყარო“, სადაც წარმოვადგინეთ თითოეული რელიგია. განსხვავებული აღმსარებლობის ბავშვები აქტიურად ჩავრთეთ სხვადასხვა ინიციატივებსა და ღონისძიებებში.

რაც შეეხება შშმ მოსწავლეებისადმი მშობლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულებას სპეც-მასწავლებლების დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებით უმჯობესდება. მოსწავლეებისათვის პატარა მკითხველთა კლუბში საკითხავად შევიტანეთ ჯორჯ პალაციოს „აირჩიე სიკეთე“, მისი წაკითხვის შემდეგ პატარა მკითხველებმა თავად მოაწყვეს პრეზენტაცია, სადაც წარმოადგინეს პატარა, სახედამახინჯებული ბიჭის გრძნობები და ემოციები, გაუშვეს გზავნილები სამყაროსათვის....

“ჩვენ თანასწორები ვართ“

აღნიშნული აქტივობები დამეხმარა დამეწყო სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნაზე ზრუნვა, შედეგი გვაქვს, გვაქვს მიზანიც, თუმცა მისასვლელად კიდევ ბევრი გვჭირდება.

პრობლემა, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება არ ჩანდეს, მოსწავლისათვის შესაძლოა მთელი სამყარო იყოს...

ამიტომ ვიყოთ ბევრად უფრო ფრთხილნი და დაკვირვებულნი, რადგან საქმე გვაქვს პლანეტის ყველაზე სრულყოფილ და ბედნიერების მომტან ადამიანებთან _ ბავშვებთან.

უსაფრთხო სკოლა-არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

„უსაფრთხო სკოლის“ პოლიტიკის მთავარი მიზანია სკოლაში უსაფრთხო გარემოს განმტკიცებით ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.

სკოლის უსაფრთხოების განხილვისას, როგორც წესი, აქცენტი ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე კეთდება; რა თქმა უნდა, მანდატურები, სათვალთავლო კამერები, გამართული ინფრასტრუქტურა, სკოლის შენობაში უცხო პირების შესვლის აკმაღლა იმის გარანტიაა, რომ ბავშვებმა თავი დაცულად იგრძნონ. თუმცა, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც მოიცავს. ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო - სწორედ ამგვარი გარემოს ფორმირებაა ჩემი და ჩემი მასწავლებლების საქმიანობის მიზანი. სადამრიგებლო საათის მიზანმიმართული გამოყენება კარგად აისახება თითოეული მოსწავლისათვის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის, თვითრეალიზაციის გარემოს შექმნისათვის. როდის გრძნობს მოსწავლე სკოლაში კარგად თავს? როცა დაცულია, როცა არავინ ჩაგრავს, არ დასცინის, არ ჭორაობს მასზე, არ სთხოვენ პასუხს; როცა პროფესიონალები ასწავლიან; როცა ხალისობს, არ იღლება, გრძნობს სიყვარულს, როცა მის აზრს ითვალისწინებენ, პატივს სცემენ. სამწუხაროდ, ჩვენს სკოლას ასეთი იდეალური გარემოს შეთავაზება ამ ეტაპზე არ შეუძლია, მაგრამ ამისთვის ბევრს ვმუშაობთ, განვიხილავთ თემებს მშობლებთან, ფსიქოლოგებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობებთან, სკოლაში შექმნილია საგნობრივი წრეები, კლუბები, აქტიურად ვმონაწილეობთ სარაიონო და რესპუბლიკურ სპორტულ შეჯიბრებებში, ოლიმპიადებსა და კონკურსებში, გვაქვს გამარჯვებული საგრანტო პროექტები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვზრუნავთ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, რაც უმთავრესია რომ მოსწავლე განათლებას იღებდეს მაღალ პროფესიულ დონეზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ამავე დროს ურთიერთობდეს კეთილგანგანწყობილ, კეთილგონიერ მასწავლებელთან, რომელსაც ენდობა და საკუთარი პრობლემების გაზიარების სურვილი უჩნდება.

როგორ მოვიაზრებთ დირექტორის როლს უსაფრთხო სკოლის ფორმირებაში?

სკოლის დირექტორი ხელს უნდა უწყობდეს უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას იმით, რომ:

- ატარებდეს მოსწავლეთა დისციპლინის რეგულარულ მონიტორინგს;
- ეფექტურად რეაგირებდეს ყველა ტიპის დისციპლინარულ გადაცდომაზე;
- ხელს უწყობდეს მოსწავლეთა შორის პოზიტიური სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- ახალისებდეს პოზიტიურ ქცევას (მაგ. მეგობრის დახმარებას);
- დროულად აწვდიდეს მშობელს ინფორმაციას მათი შვილების ქცევის შესახებ;
- ცდილობდეს გაზარდოს მოსწავლეთა თვითშეგნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით.

სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაში აუცილებელია მშობლების ჩართვა. მშობლებთან ურთიერთობა და სკოლის ცხოვრებაში ჩართვა სკოლის კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. მშობელთა ჩართულობა ეს არის მშობელთა სწრაფვა შვილების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის. მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში დადებითად აისახება არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არამედ სკოლის მიმართ დამოკიდებულებაზეც, როდესაც მშობლები ჩართული არიან შვილების სკოლის ცხოვრებაში, მოსწავლეები უფრო დადებითად არიან განწყობილები სკოლის მიმართ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობელთა ინფორმირება მოსწავლის მიერ ჩადენილი ნებისმიერ არასამართლზომიერი ქცევის შემთხვევაში. მშობელთა ინფორმირების გზები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ზეპირი გადაცემა (მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს მშობელს გადასცეს ინფორმაცია);
- მშობლებთან წერილობითი ურთიერთობა (წერილის გაგზავნა);
- დარეკვა მოსწავლის მშობლის სახლში ან მშობლის პირად ტელეფონზე;
- მოკლე ტექსტური შეტყობინება;
- მშობლების საყურადღებოდ სკოლაში ინფორმაციის გაკვრა;
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით წერილის გაგზავნა.

ტექნოლოგიური განვითარება იძლევა საშუალებას სკოლასა და მშობლებს ელექტრონული ფოსტის მეშეობით ჰქონდეთ ურთიერთობა.

ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია სასწავლო წლის დაწყებამდე მშობლებისათვის წერილის გაგზავნა.

წერილი მოკლედ უნდა აღწერდეს სკოლაში მიმდინარე მოვლენებს, სიახლეებს, ცვლილებებსა და ინიციატივებს. წერილის მიღებით მშობლები არა მხოლოდ ინფორმირებული იქნებიან სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არამედ გაუჩნდებათ შეგრძნება, რომ სკოლის ადმინისტრაცია მშობლებს სკოლის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღიქვამს, აფასებს და მათ ინტერესებსა და შეხედულებებს ითვალისწინებს.

სკოლა ატარებს ღონისძიებებს, რის ფარგლებშიც მშობლები ეცნობიან საკუთარი შვილების პროგრესსა და წარმატება-წარუმატებლობას (საჩვენებელი გაკვეთილი, დისკუსიები, სპორტული შეჯიბრი, თეატრალური ღონისძიება, წარმატებული პროექტები) ნებაყოფლობითი ღონისძიებები, რომელსაც სკოლა მშობლების ჩართულობის გაზრდისთვის მიმართავს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი-

ავტორები: ქეთევან ჩაჩხიანი; მაგდა კობახიძე; მარიამ გაბაშვილი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2011წ

2. სკოლის მართვა

სარედაქციო კოლეგია: ავთანდილ აბდუშელიშვილი; გიორგი ჭანტურია;

3. უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

თემა და სკოლა - პრაქტიკის გაზიარება ანუ „ახალი სკოლის მოდელი“- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერების, სასწავლო პროცესის ხარისხისა და სკოლის კულტურის გაზრდის გარანტი

ახალი სკოლის მოდელის მისია, მიზნები და მოცანები:

- 1) „ახალი სკოლის მოდელი“ მისიაა ხელი შეუწყოს საზოგადოების სასარგებლო წევრის ფორმირებას, რომელიც თავისი კომპეტენციებით პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს, აქვს საკუთარი პოტენციალის რეალიზებისა და სიცოცხლის განმავლობაში ზრდა-განვითარების უნარი;
- 2) „ახალი სკოლის მოდელი“ მიზანია სწავლა-სწავლების პროცესების გაუმჯობესება და სასკოლო კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- 3) „ახალი სკოლის მოდელის ამოცანებია:
 - ა) სკოლის დონეზე:
 - სკოლის მდგრადი განვითარება;
 - სკოლის გარდაქმნა მიმზიდველ სოციო-კულტურულ სივრცედ;
 - ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმი);
 - ბ) კლასის დონეზე:
 - თვითეფექტიანობის მაღალი განცდა;
 - გააზრებული სწავლა-სწავლება, რომელიც ორგანიზებული ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს;
 - გ) მოსწავლის დონეზე:
 - მოსწავლეთა თვითეფექტიანობის მაღალი განცდა;
 - ღიაობა გამოწვევების მისაღებად;
 - სწავლის ძლიერი მოტივაცია;
 - საკუთარი შესაძლებლობების განვითარება;
 - დ) პედაგოგის დონეზე:
 - 2018 – 2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის სწავლება;
 - პედაგოგებისთვის სწავლა-სწავლების პროცესის კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების საფუძველზე წარმართვის სწავლება;
 - თანამშრომლობითი კულტურის გადრმავება.
- „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში ჩატარებული ინტერვენციების მიმართულებები:
 - კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესი;
 - სკოლის მართვის ეფექტურობა;
 - ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში;

- წინსვლასა და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა;
- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება.

➤ **„ახალი სკოლის მოდელის“ აქტუალობა:**

მოდელი აქტუალურია ვინაიდან ის ორიენტირებულია აქტუალური პრობლემების გადაჭრაზე, როგორებიცაა:

- მიზნის მხედველობის არიდან დაკარგვა;
- აქცენტი დამახსოვრებაზე და არა გააზრებაზე;
- ინიციატივისა და შემოქმედებითობის დეფიციტი;

➤ **„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, სკოლებში მხარდამჭერი ჯგუფების შესვლა და პირველი ქმედითი ნაბიჯები:**

- სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირება; იმ წარმოდგენების გაანალიზება, რომლებიც საფუძვლად უდევს მასწავლებლის საქმიანობას;
- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების სასკოლო კურიკულუმის დონეზე დაკონკრეტება;
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვა სასწავლო თემების საშუალებით;
- სასწავლო თემის შედეგებზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების დაგეგმვა (სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საკვანძო შეკითხვების, კომპლექსური დავალებებისა და შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით);
- საკლასო აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების დასახული მიზნების შესაბამისად შერჩევა;
- მიზნების შესაბამისად დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების (მათ შორის, ელექტრონული/ციფრული რესურსების) მოპოვება და მათი მიზნობრივად გამოყენება;
- განმავითარებელი შეფასების წარმოება.
- საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება.

მანანა ქარქაშაძე

ქუთაისი, შპს „ლონე ქვეყნისა“

სისტემური აზროვნების განვითარების საკითხები ზოგადი განათლების საფეხურზე

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მიზანი პრინციპული ორიენტაციაა - მომავალზე. მისი მეშვეობით ადამიანები დროულად უნდა მოვამზადოთ ცხოვრებისათვის, პროფესიული მოღვაწეობისათვის. თანამედროვე ეპოქის დაჩქარებული ტემპებისა და ცვლილებების პირობებში მათ უნდა შეძლონ ინოვაციური პროცესების, ახალი რეალობის გააზრება და მასთან შეწყობა. ზემოთ, სიტყვა „სისტემა“ შემთხვევით არ არის ნახსენები. შექმნა სისტემა (სისტემური ინჟინერია), როგორც ვიცით, ეს არის პროცესი, მოახდინო გარკვეული რაოდენობის ქვესისტემების ორგანიზება, ერთი ამოცანის შესასრულებლად. სისტემური აზროვნება ეს არის ბირთვი, სისტემის სიღრმისეულ გააზრების, ნებისმიერი საკითხისადმი სისტემური მიდგომის პროცესში. თეზისში განხილული

საკითხი შეეხება სისტემური აზროვნების განვითარების ხელშეწყობას ზოგადი განათლების საფეხურზე. საკითხის აქტუალობას განისაზღვრავს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე უწყვეტი პროცესები, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ინფორმაციული საზოგადოების შექმნას; საინფორმაციო, მართვის სისტემების განვითარებასა და ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში მათ გამოყენებას უკავია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დრო დავუთმოთ სწავლებას, აქტივობებს, რომელიც სისტემური აზროვნების განვითარებას ემსახურება. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე აღსაზრდელები გამოირჩევიან მახვილი ცნობიერებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან „მიჯაჭვულობით“. ფლობენ ინფორმაციასთან მუშაობის უნარებს, მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალიზმს. განვითარებული აქვთ ინტუიცია, აბსტრაქტული აზროვნება. არიან ნიჭიერები. სკოლაში ჩატარდა კვლევა თანამედროვე აღსაზრდელების სწავლისადმი დამოკიდებულების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ. გამოიკითხა ბაღის აღმზრდელები, ლოგოპედები, ფსიქოლოგები და მშობლები. დასტურდება, რომ მათ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები ადრეული ასაკიდანვე აქვთ. როგორც ვიცით, მეცნიერები დღესაც იკვლევენ ამ ფენომენს. კვლევამ აჩვენა, რომ თუ თანამედროვე ბავშვების ამ უნარ-ჩვევების გამოყენებას ქაოსური, არამიზნობრივი ფორმა ექნება, აღსაზრდელების განვითარებაში პრობლემები წარმოიქმნება (მაგ: ლოგოპედიური, კომუნიკაცია, კოგნიტური და მოტორული უნარ-ჩვევები და სხვა.). აუცილებელია ნოვატორული, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომა აღმზრდელების აღმზრდელობითი მეთოდების განვითარებაში. სასწავლო პროცესში, ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდები ასეთ ბავშვებთან უნდა გახდეს უფრო მოქნილი. იგულისხმება არა მარტო სკოლა, არამედ ოჯახი და საზოგადოება. წარმატების მისაღწევად უნდა შევცვალოთ მიდგომა მათ მიმართ. ეს განსაკუთრებით სასწავლო პროცესს, ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს ეხება. ამ მიზნით სკოლაში „ღონე ქვეყნისა“, დაწყებითი საფეხურიდანვე ტარდება დამატებითი სავალდებულო საგანი „სისტემური ინჟინერია“, რომლის დანიშნულებაც არის მოსწავლეებში სისტემური აზროვნების განვითარება. საგნის სილაბუსის მიხედვით, საკითხების სწავლება მიმდინარეობს პროექტებით, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია საკითხისადმი სისტემური მიდგომა. მოსწავლეებს ზოგადი კომპეტენციებიდან უნვითარდებათ შემდეგი უნარები: ამოცანის დასმა ამოცანის დასმა, ექსპერიმენტის ჩატარება, პროგრამირების ინსტრუმენტების გამოყენება, შედეგების განხილვა და ახსნა-განმარტება, სხვადასხვა შემთხვევების განხილვა, დაკვირვება, მსჯელობა და არგუმენტაცია, მონაცემების გამოყენება შედეგების დასაბუთებისათვის, მეცნიერული ლექსიკონით პრეზენტაცია, ახალი გადაწყვეტილებების მოსამებნად გონებრივი შტურმის ორგანიზება, იდეების გაცვლისა და თანამშრომლობის მეთოდებით სწავლება და სხვა. საგნობრივი კომპეტენციებიდან, გარდა სკოლაში სავალდებულო საგნების საკითხების ღრმად სწავლისა და გამოყენებისა, დამატებითი საგნის ფარგლებში მოსწავლეებს სჭირდებათ, სწავლობენ და იყენებენ პროგრამირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, არქიტექტურის, ფსიქოლოგიის, დიზაინისა და სხვა დისციპლინების საკითხებს. სკოლაში საგნის სწავლება ექვსი წელია მიმდინარეობს და მას აქვს ისეთი საინტერესო მახასიათებლები, როგორცაა:

- მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულება. ყველა მოსწავლეს უყვარს საგანი;
- მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობა („სისტემური ინჟინერიის“ ფარგლებში სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის საჭიროება);
- „სისტემური აზროვნების“ გაკვეთილებზე მიღებული ზოგადი და საგნობრივი უნარ-ჩვევების ტრანსფერი სხვადასხვა საგნების შესწავლის დროს;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებისადმი გააზრებული, მიზანმიმართული დამოკიდებულება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა;

- საბუნებისმეტყველო საგნებისადმი დიდი ინტერესი;
- სასწავლო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
- მოსწავლეების მიერ საკუთარი განათლებისადმი დამოკიდებულება;
- და სხვა;

ჩვენი გარემომცველი სამყარო მთლიანობაა, ერთიანობაა ყველა გამოვლენასა და კავშირში. სისტემური აზროვნების ტიპი ხასიათდება საგნებისა და მოვლენების, როგორც მთლიანის აღქმით. სისტემურობა - ეს ცალკეული აღებული ელემენტის თვისებაა. სისტემური აზროვნება საშუალებას იძლევა ვიფიქროთ მთავარ საკითხებზე, ისე, რომ, არ დაიკარგოს ეფექტიანი კავშირი მასში შემავალ ელემენტებს შორის. მოცემული საგნის წარმართვისათვის გამოყენებულია როგორც ტრადიციული აკადემიური, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლიტერატურა და პუბლიკაციები.

მარინე ბაინდურაშვილი

ლაგოდები, სოფ. შრომის საჯარო სკოლა

მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა სკოლაში


საკვლევი თემა:

მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში

სასწავლო პროცესში მშობლის ჩართულობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო სივრცეში. ყოველდღიურად სკოლაში თავს იჩენს სხვადასხვა სახის პრობლემა, რომელთა გამომწვევი მიზეზი მრავალია.

რატომ მშობლების ჩართულობა? პასუხი ერთგვაროვანი და მარტივია. სკოლის წარმატებას განსაზღვრავს მშობლის აქტიური ჩართულობა ბავშვის სასწავლო პროცესში. ბავშვი, რომელიც გრძნობს მშობლის მხარდაჭერას, ყურადღებასა და ინტერესს, ბევრად უფრო თვითდაჯერებული, წარმატებული და მოტივირებულია. ამიტომ, რაც უფრო მეტი მშობელი იქნება ჩართული შვილის სასკოლო ცხოვრებაში, მით უფრო ძლიერი და წარმატებული იქნება ბავშვი, კლასი და, საბოლოოდ, სკოლა.

წარსულში მშობელთა ჩართულობა მხოლოდ დედების მოხალისეობრივი საქმიანობით გამოიხატებოდა. დღეს ძველი მოდელი უფრო მეტად თანამედროვე მიდგომებით შეიცვალა. ახლა სკოლისა და ოჯახის ურთიერთობაში დედების გარდა ჩართულნი არიან ოჯახის სხვა წევრებიც და ისინი მხოლოდ სკოლის მოხალისეობრივ საკითხებში კი არა, არამედ აკადემიურ ნაწილშიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას.



მოსწავლეები ძირითადად ორი წყაროსგან იღებენ განათლებას: მშობლისა და მასწავლებლისგან, ამიტომ მნიშვნელოვანია ორივე რგოლის ჩართვა მოსწავლის განვითარებაში, თანაც ისე, რომ ორივე მხარე აცნობიერებდეს თავის მნიშვნელობასა და როლს. მშობლის, ანუ დაინტერესებული პირის, გარეშე, ვერ მიიღწევა სათანადო შედეგი, რადგან მისი ინტერესების გათვალისწინების უგულვებელყოფით წარმოუდგენელია საერთო ინტერესების რეალიზაცია და სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა.

სკოლა ოჯახის გარეშე უძლურია ჩამოაყალიბოს პიროვნება, გადასცეს მას საფუძვლიანი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. მშობელსა და სკოლას შორის არასრულყოფილი და არაეფექტური კომუნიკაცია ხელს უშლის მასწავლებელს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაგრამ იმის გამო, რომ ეს კონტაქტი მცირეა ან საერთოდ არ არსებობს, მშობელი თითქმის არ იღებს მონაწილეობას საკუთარი შვილის საგანმანათლებლო პროცესში.

მოსწავლის სწავლის შედეგი მიიღწევა მაშინ, როდესაც მასწავლებელი და მშობელი ერთად მსჯელობენ, გეგმავენ, ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას ბავშვის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სკოლის ცხოვრებაში. სკოლამ და ოჯახმა ერთობლივად უნდა აიღონ პასუხისმგებლობა სასწავლო პროცესის ხარისხზე, სკოლაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაზე, მოსწავლეებისათვის ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

ერთ-ერთი დიდი პრობლემა სკოლებსა და ოჯახებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაა. მშობელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი სკოლაში მისვლა უხერხულია. Public Agenda-ს კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციების მიერ 2003 წელს ჩატარებული 25-ზე მეტი საზოგადოებრივი აზრის კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ პედაგოგების 65%-ის აზრით, მათი მოსწავლეებისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ მათი მშობლები უფრო მეტად იქნებოდნენ ჩართულნი, ხოლო 72%-ს მიაჩნდა, რომ ბავშვები, რომელთა მშობლებიც არ მონაწილეობენ სკოლაში მიმდინარე პროცესებში ზოგადად არ იღებენ მშობლებისგან იმდენ ყურადღებას, რამდენიც სასურველი იქნებოდა (Johnsson and Duffit, 2003).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი საკმაოდ მწვავე და აქტუალურია, რადგან მისი არასრულყოფილად განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, რომ სავალალო შედეგები მივიღოთ. აღნიშნული პრაქტიკული კვლევა სწორედ პრობლემის სწორად იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის მცდელობაზეა ორიენტირებული. კვლევის მიზანი არის მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა, მშობლის როლის დადგენა ბავშვის განათლებასა და განვითარებაში. დადგინდეს რა ფაქტორები განსაზღვრავს მშობლის სასწავლო პროცესში ჩართულობას და პირიქით, რა ფაქტორები უშლის ხელს მშობელს იყოს ჩართული შვილის სასწავლო პროცესში.

- **კვლევის ამოცანა:**

- მშობელთა ჩართულობის გაზრდა;
- ცოდნის დონის ამაღლება;
- კითხვარების შევსება;
- მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები.

- **კვლევის მიზანია დავადგინოთ, თუ:**

- რა როლს ასრულებს მშობელი ბავშვის განათლებასა და განვითარებაში;
- რა ფაქტორები განსაზღვრავს მშობლის სასწავლო პროცესში ჩართულობას და პირიქით;
- რა ფაქტორები უშლის ხელს მშობელს იყოს ჩართული შვილის სასწავლო პროცესში;
- ასევე განისაზღვროს ინტერვენციები, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ უფრო მეტად იყოს ჩართული მშობელი სასწავლო პროცესში;
- შეფასდეს დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტურობა.

კვლევის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მიმართულია მშობლის ჩართულობის განსაზღვრისკენ.

1 პროექტი: „მოხალისეობა“

2 პროექტი: „პოზიტიური მშობლობა“

3 პროექტი: „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“

4 პროექტი: „ღია გაკვეთილი მშობლებისათვის“

5 პროექტი: ფოტოგამოფენა „ჩემი ოჯახი“

6 პროექტი: „წარმატების კუთხე“

7 პროექტი: „ონლაინპორტალი“

ჩატარებულმა პრაქტიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ კვლევის საწყის ეტაპზე მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელი იყო 31%, ბოლოს კი - 98%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად ყველა მშობელი ჩართული იყო სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ განხორციელებული ინტერვენციების მიზანი სწორად იქნა დასახული.

მშობლებთან მუშაობის პროცესში მათგან ყველა ეტაპზე იგრძნობოდა მზაობა სიახლის მისაღებად და ისინი ინტერესს გამოხატავდნენ ყოველი ახალი პროექტის მიმართ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც მეცნიერულ კვლევათა პროდუქტი, არსებითად განსაზღვრავს განათლების მომავალს. ამით საფუძველი ეყრება სამყაროს განვითარებისა და მასთან ადამიანის ადაპტაციის ნორმალურ პირობებს

რატომ საინფორმაციო ტექნოლოგია?

დღეს, ისე როგორც არასდროს, ფასდაუდებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი სასწავლო პროცესში, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს პედაგოგებს, სწავლების სხვადასხვა მეთოდთან ტექნოლოგიების ინტეგრირებით უფრო მეტ შედეგს მიაღწიონ.

საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად ხდება მისი აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა ჰარმონიულ ინტეგრაციას საინფორმაციო საზოგადოებასთან. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, უნარებისა და სწავლის სურვილის ფორმირებას, ხელს უწყობს მას ცოდნის დაუფლებაში.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვისებრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები, განახორციელოს სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომები, მოახდინოს სასწავლო პროცესის ჰუმანიზება, ინდივიდუალიზაცია, ინტენსიფიკაცია, რათა მიღწეულ იქნას სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა მკვეთრად აჩქარებს სწავლების პროცესს და ამაღლებს მის ხარისხს, ახდენს სასწავლო დროის ეკონომიას. მასწავლებელი, რომელიც იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში, უფრო მეტად მობილურია, მისწრაფვის სიახლეებისაკენ, ითვისებს პიროვნებაზე ორიენტირებულ ცოდნას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ემოციოგენურობის ფაქტორი, მისი გამოყენების პოზიტიური და დადებითი გავლენა მოსწავლეებზე. სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობებს, შექმნან, შეინახონ, გადაამუშავონ ინფორმაცია და ეფექტურად წარუდგინონ ის მოსწავლეებს. სწავლების ეფექტურობის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რაც გულისხმობს ძირძველი ტრადიციული პედაგოგიური გამოცდილების რეალიზებას, რაც გამოიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს.

სწავლებაში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარი მაინც სწავლების მეთოდოლოგიაა, რადგან თუ სწავლების მეთოდოლოგია არაეფექტურია, მაშინ ვერავითარი ტექნიკური ტექნოლოგია ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს

სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი და მოითხოვს სისტემურ მიდგომას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იქნება არაეფექტური.

უსაზღვროდ დიდია ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები,

ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები დიდ ზეგავლენას ახდენს განათლების არსებულ სისტემებზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებულის ტრანსფორმაცია, მართვის ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდებისა და მიზნის მიღწევის გზათა ძიება. სწავლების ეფექტურობის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რაც, ცხადია, გამოიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს. ცხადია, ინფორმაციული ტექნოლოგიების ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო, მის სწავლებაში დანერგვას დაწყებით კლასებშივე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

და ბოლოს, უნდა შევხვით ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების ზომიერებასა და სიფრთხილეს. გასათვალისწინებელია მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კომპიუტერის მონიტორთან მოსწავლის მუშაობის დროის ხანგრძლივობა. ანიმაციური პროგრამების რეალიზების დროს მონიტორზე გამოტანილი ანიმაციური საგნების ფერის, მოძრაობის სინქრონიზების, მუსიკალური ტონალობისა და ა.შ. შერჩევა. კიდევ უფრო დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე, მოზარდისთვის ინტერნეტის ისეთ საიტებთან ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, რომელიც მის ასაკს არ შეეფერება და მისთვის აუნაზღაურებელი ზიანის მოტანა შეუძლია. ამ დროს იგი, ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ექცევა მისი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. ამისათვის საჭიროა ვეძებოთ გზები მოზარდის მავნე ზემოქმედებისაგან დასაცავად. ინფორმაციული უშიშროება კი მთლიანად უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირება. ვიმედოვნებთ, რომ სტიმულს მისცემთ პედაგოგებს კიდევ უფრო მეტად გააცნობიერონ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა როლი და მნიშვნელობა სწავლების პროცესში, გაუძლიერდეთ ინტერესი და გამოიჩინონ მეტი აქტივობა სასწავლო პროცესში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა კიდევ უფრო ფართოდ ჩასართავად.

დროსთან ერთად იცვლება თაობებიც და მათი მოთხოვნილებებიც, ამიტომ აუცილებელი ხდება სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავებას.

ნინო ნილოსანი

თამარ ღამბაშიძე-ბურაშიძე

წყალტუბო, სოფ. ბანოჯის საჯარო სკოლა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა

დღეს ჩვენს სახელმწიფოს სჭირდება კომპეტენტური, მობილური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. პროფესიული და განსაკუთრებით საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბების აქტუალობას განაპირობებს პროფესიული აღიარების გაფართოების თავსებადობის აუცილებლობა. დღეს, ისე როგორც არასდროს, ფასდაუდებელია საგანმანათლებლო ტექნოლოგიების როლი სასწავლო პროცესში, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს პედაგოგებს, სწავლების სხვადასხვა

მეთოდთან ტექნოლოგიების ინტეგრირებით, უფრო მეტ შედეგს მიაღწიონ. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლის პედაგოგებსა და ადმინისტრაციასთან, რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამების ინტეგრირება სასწავლო გეგმაში. პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციური ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში დანერგვის ისეთ გზებს, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებასა და სწავლების ხარისხს. გვთავაზობს ისეთ ეფექტურ ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: ინტერნეტსა და მულტიმედიაზე, ციფრულ თამაშებსა და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და სხვა.

ციფრული ტექნოლოგია კი ჩვენი მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ტელეფონებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება კი მათი სტიქიაა. მაგრამ განა ყოველთვის ვასწავლით მათ, თუ როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები სწორად? სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა დამეგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკა- მუსიკა- ისტის მიმართულებით, სადაც გამოვიყენე ინტერაქციის მეთოდები. ინტერაქტიული (*Inter* – ორმხრივი, *act* – მოქმედება) ნიშნავს ურთიერთმოქმედებას, ვინმესთან საუბრის, დიალოგის რეჟიმში ყოფნას. აქტიური მეთოდებისგან განსხვავებით, ინტერაქტიული მეთოდები ორიენტირებულია მოსწავლეების უფრო ფართო ურთიერთობაზე არა მხოლოდ მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთან.

ინტერაქტიული მეთოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც აქტიური მეთოდების ყველაზე თანამედროვე ფორმა. ჩატარებული გაკვეთილის მიზანი: სხვადასხვა დისციპლინაში ნასწავლის ერთმანეთთან დაკავშირება, საგანთშორისი კავშირების დამყარება, აღქმის მთლიანობაში გაადვილება და კომპლექსური დანახვა ინოვაციური მეთოდით.

გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება მნიშვნელოვნად ჩავთვალე, რადგან გავიარე მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილი ტრენინგსემინარი edmodo. მომეწონა ფორმატი და ჩემი მოსწავლეებიც დავარეგისტრირე. როგორც ვიცით, მოზარდებში კომპიუტერი გასართობ-სათამაშო ნივთთან ასოცირდება, ჩემი გამოწვევით კი კომპიუტერმა დანიშნულება შეიცვალა.

ამის შემდგომ ვუზღავნიდი მოსწავლეებს ტესტურ დავალებებს და, შესაბამისად, ვაძლევდი უკუკავშირის შეფასებითა და მოკლე მკაფიო კომენტარით. სისტემატიურად ვუწევდი მონიტორინგს. საგაკვეთილო პროცესი არ იყო აუცილებელი იმისათვის, რომ მოსწავლეებთან მემუშავა.

მარტივად შესამჩნევი გახდა, რომ მოსწავლეები სულ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებოდნენ მიცემული დავალების შესრულებაზე ინტერნეტით. სამი საგნის ტრანსფერითა და ინოვაციით მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა გახდა საფუძველი სწავლა-სწავლების მაღალი აკადემიური მოსწრებისა. მათემატიკის გაკვეთილზე აქტიურად იყო ჩართული ყველა და განსაკუთრებით სსსმ მოსწავლე. რადგანაც მისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოიხატა კომპიუტერთან მუშაობით.

ეს საკითხი აქტუალურია მოსწავლეთა სოციალიზაციისათვის, რადგან მოგეხსენებათ 21-ე საუკუნეში მთავარ მოთხოვნად გადაიქცა უსაფრთხო და ჯანსაღი კომუნიკაცია ინოვაციური მიდგომებით, რომლითაც:

1. მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია იზრდება სასწავლო პროცესში – მოსწავლეებს მოსწონთ საკუთარი მოწყობილობების გამოყენება. თავად პროცესი კი უფრო ინტერაქტიულია, როდესაც ყველას აქვს წვდომა ტექნოლოგიებზე;
2. სწავლება მოსწავლეებზეა ორიენტირებული – მოსწავლეები იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ მასწავლებლის მონათხრობს უსმინონ, შეუძლიათ თავადაც დასვან შეკითხვები და მოიძიონ პასუხები, შექმნან ახალი ცოდნა.
3. იზრდება მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა და კომუნიკაცია.

ჩემი პედაგოგებისა და ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირია Edmodo-სა და სხვა მიმართულებების გამოყენება. შემდეგ ჩატარდა შიდა დაკვირვების გაკვეთილი ისტ-ში პედაგოგმა Edmodo-ში იგივე კლასში იმუშავა. დაიგეგმა ინტეგრირებული გაკვეთილი ქართული-ისტ, მათემატიკა-ქართული, დაწყებით კლასში პედაგოგმა აქტიურად გამოიყენა ონლაინპლატფორმები padlet. Com. და toondoo. Com. დაიგეგმა ერთობლივი გასვლითი ღონისძიებები. საკითხთან დაკავშირებით ჩავატარე კვლევა, რის საფუძველზეც დავადგინე, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაცია და სწავლა-სწავლების ხარისხი გაიზარდა.

დასკვნა - ცნობილია, რომ მოსწავლე ყველაზე უკეთ მაშინ სწავლობს, როცა აქტიური და ქმედითია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია კლასის ყველა მოსწავლე ჩაერთოს მუშაობაში, შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება და გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობა. დიახ, გაკვეთილმა, მისგან დანერგილმა გამოწვევებმა მიზანს მიაღწია. ამას გარდა, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ საკუთარი აზრის გამოხატვის, კომპიუტერის სასწავლო რესურსად გამოყენების, ტრანსფერის, ოპონენტების მოსმენის, რეფლექსიის უნარი.

ენო რიხლაძე

საჩხერე, N3 საჯარო სკოლა

უსაფრთხო სკოლა - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ძირითადად, გამოიყოფა უსაფრთხოების ა) პროცესზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ძირითადად სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული და პრევენციული ეფექტი აქვს და ბ) პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა, რაც პრობლემის მოკლევადიან გადაჭრაზეა ორიენტირებული და ნაკლებად უწყობს ხელს ძალადობის პრევენციას. პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას მოიცავს; ხოლო პროცესზე დაფუძნებული მიდგომა კი პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას და კონსულტაციების შესაძლებლობებს გულისხმობს (ბუჩერი და მენინგი, 2005).

სკოლაში უსაფრთხო კლიმატის შექმნის კონტექსტში სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ხშირად გამოკვეთილია მასწავლებლების როლი. მასწავლებლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ და ისინი პირდაპირ უნდა იყვნენ ჩართულნი ნებისმიერი ტიპის უსაფრთხო სკოლის პროგრამის დაგეგმვაში.

თითოეული სკოლის უსაფრთხოების პრობლემა ინდივიდუალურია. შესაბამისად, ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს საკუთარი, ინდივიდუალური უსაფრთხოების პოლიტიკა, მუდმივად სწავლობდეს სიტუაციას, ახდენდეს ძალადობის პრევენციას. ჩემი აზრით, ეს არის სწორედ ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომა, რომ მოსწავლეს ჰქონდეს პირობები, თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და თვითრეალიზება შეძლოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ სიტუაციის შესწავლის მიზნით ჩაგვეტარებინა კვლევა, რამდენად უსაფრთხო გარემოა ჩვენს სკოლაში და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაგვეწყო პროცესზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა.

რადგან, მკვლევრების აზრით, უსაფრთხო სკოლა ნიშნავს პოზიტიურ გარემოს, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნას, სკოლაში დამკვიდრებული წესების ცოდნას და მშობელთა ჩართულობას, კვლევის კითხვებიც ამ ასპექტებს ეხებოდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა და მასწავლებლებმა. გამოვიყენეთ მეთოდი გამოკითხვა და დაკვირვება, ასევე დავიხმარეთ დამრიგებლები. მონაცემების გაანალიზების შემდეგ არც თუ სახარბიელო რეზულტატი მივიღეთ. ოთხივე მიმართულებით დაბალი შედეგები დაფიქსირდა. თუმცა ამან დაგვანახა, რა იყო პრიორიტეტები უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და ჩვენც დავიწყეთ ზრუნვა.

პირველ რიგში, აღვჭურვეთ სკოლა ცეცხლმაქრებით, შევიძინეთ სახანძრო სტენდი, მოსწავლეების ჩართულობით სკოლაში განვათავსეთ მანიშნებლები. პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მოსწავლეები ჩავრთეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სასკოლო კლუბების საშუალებით დაიგეგმა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. მასწავლებლების დახმარებით მოსწავლეები და მშობლები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, როგორცაა სკოლის შინაგანაწესი.

სკოლაში მომუშავე პირმა და მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ თუ როგორ უნდა მოიქცნენ საგანგებო სიტუაციების დროს და როგორ აღმოუჩინონ პირველადი დახმარება დაშავებულს. ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ „წითელი ჯვრის“ საზოგადოებასთან და პერიოდულად ვმონაწილეობთ სიმულაციებში, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები. მათი რეკომენდაციით ჩამოვყალიბეთ უსაფრთხო სკოლაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც პერიოდულად იკრიბება და განიხილავს წლის დასაწყისში განაზღვრული აქტივობების წარმატებით განხორციელების ხელშემწყობ ფაქტორებსა და პრობლემების გამომწვევ მიზეზებს. რაც შეეხება მშობელთა ჩართულობას, ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებს, ეს იქნება ფეისბუქგვერდი, ტელეფონი თუ ელექტრონული ფოსტა. ვაკვირდებით, თუ როგორ არიან მშობლები ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში და აქტიურ მშობლებს ვთხოვთ დახმარებას უფრო პასიური მშობლების გასააქტიურებლად.

უსაფრთო გარემოს შესაქმნელად სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა „მშვიდობისა და თანადგომის კვირეული“, კვირეულში ჩაერთო ყველა კათედრა, 20-მდე მასწავლებელი, 5 მშობელი და 100 მოსწავლე.

ინტერვენციების შემდეგ ჩავატარეთ განმეორებითი კვლევა რამაც აჩვენა გაუმჯობესებული შედეგები.

ამ ეტაპზე შევარჩიეთ ეს 4 მიმართულება, რადგან გვგონია, რომ პროცესზე დაფუძნებული მიდგომა, რომელსაც პრევენციული ფუნქცია აქვს, დაგვეხმარება სკოლაში შევქმნათ უსაფრთხო და პოზიტიური გარემო.

ბულინგი სკოლაში და მისი პრევენციის გზები

ბულინგი - ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ხორციელდება ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა მოსწავლეთა ჯგუფის მიერ.

ბულინგის პრობლემა მწვავედ დგას არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ, თუმცა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით თვალშისაცემი ცოდნისა და კომპეტენციის ნაკლებობაა. ბავშვობაში მიღებული ტრავმები (მოდალადეც მსხვერპლია, ჩემი აზრით) მთელი ცხოვრება მიჰყვება ადამიანს და შედეგად ტრავმირებულ, დაკომპლექსებულ საზოგადოებას ვიღებთ.

ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოს გაჯანსაღება – აღზრდის სისტემების დახვეწა, მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა ამ პრობლემისადმი. ეს მნიშვნელოვანი თემებია, რომლებიც, რასაკვირველია, დღის წესრიგიდან ერთ დღეში ვერ მოიხსნება, მაგრამ მათი მოგვარების გარეშე, ფაქტობრივად, შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია. გახშირებული ძალადობა, მისი პროვოცირება, საზოგადოების დაბნეულობა, სასკოლო პროცესის მუდმივი ცვალებადობა, არამხოლოდ ზრდასრულებზე, მოზარდებსა და ბავშვებზე კიდევ უფრო მეტად აისახება, გაურკვევლობის, შფოთის განცდას აძლიერებს. ამას ემატება ის, რომ მშობლების მხრიდან ხშირად აღზრდის არასწორი მეთოდები გამოიყენება – საუბარია გადამეტებულ მზრუნველობაზე ან, პირიქით, გულგრილობაზე, ესეც მნიშვნელოვანი რისკფაქტორებია. ეს ყველაფერი, მთლიანობაში, ნოყიერ ნიადაგს ქმნის, რომ მსგავსი ძალადობის ფაქტები ბავშვებს, მოზარდებს შორის გახშირდეს.

სკოლაში ბულინგის შემთხვევების არიდება და აღკვეთა მასწავლებლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. თუმცა ხშირად მასწავლებლისთვის რთულია ბულინგის პრობლემასთან გამკლავება, რაც რამდენიმე საგულისხმო ფაქტორით არის განპირობებული:

- ბულინგის ამოცნობას ართულებს ის, რომ ჩვენ ხშირად ერთმანეთისგან ვერ ვასხვავებთ ბულინგს თამაშით ჩხუბისა (ძიძგილაობა) და ნორმალური კონფლიქტებისაგან (უთანხმოება მეგობართა შორის). ხდება ისე, რომ ნამდვილ აგრესიას თამაშად მივიჩნევთ;
- ბულინგთან გამკლავების შესაძლებლობას ართულებს მცდარი შეხედულებები. არცთუ იშვიათად, ბულინგი ბავშვის განვითარების ბუნებრივ, არასაგანგაშო გამოვლინებად მიიჩნევა („გაიზრდება და აღარ გააკეთებს“, „ბიჭები მაინც ბიჭები არიან“, „უბრალოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ“ და სხვა);
- ბულინგი ხშირად დაფარულია. როგორც წესი, ბავშვები არ გვატყობინებენ ბულინგის შემთხვევების შესახებ;
- ხშირად ჩვენ არ ვიცით, როგორ ვუპასუხოთ ბულინგს.

ბულინგთან ბრძოლის მთავარი სირთულე მისი იდენტიფიცირება და პრევენციაა. მისი თავიდან აცილებისათვის რამდენიმე თანმიმდევრული ნაბიჯის გადადგმაა საჭირო:

- დაზარალებული ბავშვის დახმარება;
- ბულინგის ინიციატორი ბავშვის დახმარება;
- მასწავლებლის მომზადება ბულინგის ამოცნობისა და მისი თავიდან არიდებისათვის (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები);
- სასკოლო თემის ცნობიერების ამაღლება (სპეციალური კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება);

- სკოლაში ბულინგის საწინააღმდეგო პროგრამის ამოქმედება;
- სკოლაში უსაფრთხო და ტოლერანტული სასწავლო გარემოს შექმნა;
- პოზიტიური და მოსწავლის მხარდამჭერი საკლასო გარემოს შექმნა;

ჩვენს სკოლაში ვცდილობთ, ბულინგის გამოვლენის ყოველი შემთხვევის იდენტიფიცირებას, მისი აღმოფხვრის მიზნით ეფექტური ინტერვენციების განხორციელებას და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით დიდი სამუშაო გავწიეთ, რაზეც დაწვრილებით მოხსენებაში იქნება საუბარი.

ხათუნა აფხაზაძე

ლანჩხუთი, სოფ. ხაჯალიის საჯარო სკოლა

„სოფლის ფილტვები“ თემა და სკოლა-პრაქტიკის გაზიარება

ჩემი თემა ეხება თუ რა მნიშვნელობა აქვს არაფორმალურ განათლებას მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებასა და გაუმჯობესებაში. წარმოგიდგენთ STEM-ის საგნებისა და სამოქალაქო განათლების პროექტს - „სოფლის ფილტვები“. წარმოდგენილი ნაშრომი არის პრაქტიკის გაზიარება თუ როგორ მოხდა პროექტული სწავლებით მოსწავლეებში კვლევის, ძიების, კრიტიკული აზროვნების, უნარების ჩამოყალიბება და პრობლემების იდენტიფიცირება.

სკოლაში ამ პროექტის ფარგლებში გაშენდა ევკალიპტების(ჯუჯა ცინერები) ბაღი. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ და „პური მსოფლიოსათვის“.

ჰუმანიტარული საბნების სექცია

თეოდორა ლემონაჰა

ჩხოროწყუ, სოფ. ზუმის საჯარო სკოლა

მუზეუმში გაცოცხლებული ეპოქა

მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებით მოსწავლეთა დაინტერესება, ვიზუალური გამოსახულებების პრიორიტეტი, დღევანდელ სამყაროში განათლების მიღების უმთავრესი წყაროა. დღეს, როდესაც სულ უფრო მეტი აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ფაქტების მშრალ ცოდნასა და გაზიარებაზე, არამედ შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე, კიდევ უფრო იზრდება მუზეუმის როლი საგაკვეთილო სივრცეში.

მასწავლებლები ვცდილობთ, სასწავლო პროგრამები გავამდიდროთ ნოვატორული იდეებით, სამუზეუმო სივრცეში განთავსებული არტეფაქტები გამოვიყენოთ საგნობრივი სპეციფიკისთვის, შევქმნათ ახალი პროექტები.

მიმაჩნია, რომ მუზეუმებში სტანდარტული ექსკურსიები, გიდის მონოტონური საუბარი, მხოლოდ თვალის შევლება ექსპონატისთვის, თანამედროვე მოსწავლეებში ვერ აღძრავს სათანადო ინტერესს, რადგან მასობრივი საშუალებები თუ ინტერნეტგვერდები უფრო ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ექსპოზიციაში ხილული მასალები დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა,

მუზეუმის ისტორიულ გარემოში გაკვეთილის ჩატარება კი რეალობის აღქმის უნარს აძლიერებს. უშუალო კონტაქტი მწერლისა თუ პოეტის ნივთთან უფრო დიდ ეფექტს ქმნის და აღძრავს სწავლის მოტივაციას, სიღრმისეულ გაგებას, შემეცნებას, ანალიზისა და ტრანსფერის უნარს.

ეს ყოველივე სხვადასხვა საგნის პედაგოგს საშუალებას აძლევს, ეფექტურად გამოიყენოს

მუზეუმი, როგორც რესურსი სასწავლო პროგრამებისთვის და უფრო მეტიც, საკუთარი გამოცდილებით შემიძლია, დავადასტურო, რომ მუზეუმის არა მხოლოდ რესურსად, არამედ იმ სივრცედ გამოყენება, სადაც ეპოქის მაჯისცემის ძალუმად გაცოცხლება შესაძლებელია, ყველაზე მეტად ეფექტიანი აღმოჩნდა.

მეთერთმეტე კლასში რომანტიკოსების სწავლებისას განვახორციელეთ პროექტი, რომლის ერთი ეტაპი, სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, წინანდალში სტუმრობას,

მე-19 საუკუნის საქართველოს სალონური ცხოვრების გაცნობასა და მისი ამსახველი სცენარის დამუშავებას მოითხოვდა.

პროექტის ფარგლებში დავდგით სპექტაკლი წინანდალში, ალექსანდრეს სახლ-მუზეუმში, კოსტუმირებულად, მუზეუმის ექსპონატების გამოყენებით, რაც ჩვენი პროექტის კულმინაციას წარმოადგენდა. მოსწავლეებმა მოირგეს როლები, და გაითავისეს ის განცდები და ემოციები, რითაც იყო გამორჩეული ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული სალონი თბილისსა და წინანდალში.

სპექტაკლმა უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა მონაწილეებსა და მაყურებლებზე.

ჩვენი საგანმანათლებლო მიზანი ხომ მოწაფეთა გონებაში ამა თუ იმ ღირებულებისა და სასწავლო პროგრამის დამკვიდრებაა, ამიტომ, ვფიქრობ, ამგვარი ღონისძიებები და მუზეუმში

გაცოცხლებული ეპოქა ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მიზნების განხორციელებას, რაც წიგნიერი და სწორი ღირებულებებით ნასაზრდოები თაობების აღზრდას გულისხმობს.

ინბა სამუშაო **ზუგდიდი, სოფ. ჩხორის საჯარო სკოლა**

რით არის საინტერესო და განსხვავებული ახალი მოდელის სკოლა

დღეს საქართველოს განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა, რადგანაც აქამდე სასწავლო პროცესი გადართული იყო მოკლევადიანი - გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი მიზნისა და ესგ ინდიკატორების შესრულებაზე. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია, ვთქვა, რომ ორმოცდახუთ წუთში გაწერილი აქტივობებით ვერ ვარკვევდით, ბავშვი ამას რისთვის სწავლობდა, ძალიან ხშირად მარტო დროზე ვიყავით დამოკიდებული, მიზნებიც გვერდზე გვრჩებოდა და შედეგებიც.

საჭირო გახდა ცვლილებები.

ისმის კითხვა, რით არის საინტერესო და განსხვავებული ახალი მოდელი?!

- ახალი მოდელი ინდივიდზე - თითოეულ მოსწავლეზეა ორიენტირებული და ეფუძნება კონსტრუქტივიზმს, შენებით სწავლებას, ცოდნის ტრანსფერს - თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში განხორციელებას;
- დიდი ყურადღება ექცევა ინტეგრირებულ აზროვნებას, საგანთშორისი კავშირებით, პარალელებისა და ანალოგიების გამოყენებით მოსწავლეებში ინტეგრირებული ინტელექტის განვითარებას, რადგანაც ამ სამყაროში მეცნიერებები დიფერენცირებულად კი არ არის, არამედ ეს საგნები მთლიანობაში ქმნიან ერთ სასიცოცხლო ჯაჭვს და მოსწავლემ სამყარო ასე, სწორედ, საგანთშორისი კავშირებით უკეთ უნდა შეიმეცნოს.
- უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ისტის გამოყენებას სასწავლო პროცესში, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მხრიდან.
- სასწავლო პრაქტიკაში შემოდის თემატური სწავლება და კომპლექსური დავალებები;
- აღარ არის მოკლევადიანი, ერთგაკვეთილიანი მიზნები, გადავდივართ გრძელვადიან მიზნებზე.
- მოსწავლე სხვადასხვა ჭრილიდან ხედავს ტექსტს.

აი, რას გულისხმობს ახალი სკოლის მოდელი:

მთავარია, არსებული ხედვის შეცვლა და პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ხედვის ჩამოყალიბება; მთავარია, ადამიანი - სუბიექტი;

- შინაგან მოტივაციაზე ორიენტირება; პირობების შექმნა შინაგანი მოტივაციის გასაზრდელად; სისტემის მაშტაბური ცვლილებების წამყვანი მამოძრავებელ ძალაა შინაგანი მოტივაცია; კონსტრუქტივისტული პარადიგმის ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით აუცილებელია მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურება. სავალდებულოა ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ცოდნის აგება ხდება ცნების სახელის, მისი არსებითი ანუ სხვებისაგან განმასხვავებელი თვისებებისა და მაგალითების გააზრებით, რომლებსაც ამ ცნების ნიშან-თვისება მიესადაგება.

ცოდნის სამი კატეგორია ეს არის გააზრებული სწავლება:

- დეკლარატიული-რა ვიცი?
- პროცედურული (უნარ-ჩვევა)-როგორ შემიძლია?
- დინამიკური(უნარ-ჩვევა) - რატომ ვიყენებ და როდის?
- ნაცნობ გამოცდილებაზე უცნობის დაფუძნება;
- შინაარსიანი კომპლექსური დავალებები, რომლის შესრულება პროდუქტის შექმნას მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმული გულისხმობს, რომ გაკვეთილებამდე მასწავლებლები გუნდურად, ერთად გადახედავენ და ჩაასწორებენ, ხვეწენ მატრიცას, გეგმავენ აქტივობებსა და შინაარსიან კომპლექსურ დავალებას. ამასთან ერთად, ესწრებიან ქოუჩინგს, აანალიზებენ, ითვალისწინებენ ხარვეზებს.

მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენები დაუმკვიდრდეს კეთებით, სწავლებით, ამისათვის საჭიროა დავალება ტრანსფერზე ორიენტირებული იყოს. მოსწავლის შემოქმედებითობას აჩვენებდეს და წარმოადგენდეს დასრულებულ პროდუქტს. დავალების პრეზენტაცია უნდა იყოს ცოდნის აგება, მიზეზ-შედეგობრივი არგუმენტირებული მსჯელობა: მოსაზრების გამოთქმა, მოსაზრების ახსნა (რატომ ვფიქრობ ასე?) მოსაზრების დამადასტურებელი კონკრეტული მაგალით(ებ)ის მოყვანა. /მოსწავლეს უნდა განუვითარდეს მეტაკოგნიტიური აზროვნება/

მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა ასწავლოს სწავლის სწავლა, ანუ სხვადასხვა სააზროვნო ხელსაწყოები უნდა ვასწავლოთ კარგად, რომ დამოუკიდებლად შეძლოს ტექსტის დამუშავება, რადგან სულ ჩვენ არ ვეყოლებით გვერდში და მას მარტო მოუწევს არსებობა.

ჩემი მოხსენება ითვალისწინებს იმას, თუ რა შედეგებს უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში.

ვფიქრობ, ჩემი გამოცდილების გაზიარება საინტერესო იქნება კოლეგებისათვის.

ინგა ხაშტასი
თბილისი, N60 საჯარო სკოლა

ემოციების მართვა და კომუნიკაციის პრობლემები მოზარდებში

თემის აქტუალობა: XXI საუკუნეში განსაკუთრებით პრობლემურად და მწვავედ დგას მოზარდებში ემოციების მართვისა და კომუნიკაციის პრობლემები. აქედან მომდინარეობს თემის აქტუალობაც.

თემის მიზანია, შევისწავლოთ სკოლაში არსებული პრობლემები სწორედ ამ მიმართულებით; გამოვიკვლიოთ, რა გარემოებები განსაზღვრავს მოზარდებში არსებულ ცვლილებებს და დავსახოთ მათი გადაჭრის გზები.

თემის ამოცანაა, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ვაჩვენოთ მოზარდების ფსიქოლოგიური პრობლემების არსი და ის გარემოებები, რომელიც მათი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისობრივი მიდგომები, ექსპერიმენტული მეთოდები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაშრომში სიღრმისეულადაა შესწავლილი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები. გაანალიზებულია მოზარდთა პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

კახა ბაღდავა
სამტრედია, N15 საჯარო სკოლა

რთული ქცევის მართვა გაკვეთილზე

- ნაშრომში „რთული ქცევის მართვა გაკვეთილზე“ წარმოდგენილია საფუძვრები, როგორ შეამციროს/აღმოფხვრას მასწავლებელმა რთული ქცევის გამოვლენა გაკვეთილზე.
- კვლევებმა და პედაგოგიურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რთული ქცევა მოსწავლეებში არ იკლებს, პირიქით იზრდება. კოლეგებთან საუბრებით ირკვევა, რომ ეს პრობლემა მარტო ჩვენ, არამედ ყველა პედაგოგისათვისაც საკმაოდ აქტუალურია. მოსწავლეთა რთული ქცევა სხვადასხვა ფორმით ვლინდება: მაგალითად – გაკვეთილის უნებართვოდ დატოვება, გაუთავებლად წრეზე სიარული, მერხზე ხელის განუწყვეტლივი დარტყმა, კლასელის ფიზიკური შეხება, რაიმე საგნის სროლა, სხვის მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების ხმამაღალი გაჟღერება (თუმცა იშვიათად), რაც მეორის რთული ქცევის მაპროვოცირებელია. როგორც კვლევებმა გვიჩვენა მოსწავლეთა რთული ქცევა ნეგატიურად აისახება სწავლის ხარისხზე. მოსწავლეები რთული ქცევით ორიენტირებულნი არიან საგაკვეთილო პროცესის ჩაშლაზე, რაც სწავლაში ხელის შემშლელი ფაქტორია არა მარტო მისთვის, არამედ მაპროვოცირებელია თანაკლასელთათვისაც.
- კვლევის დასაწყისში სანდოობის გაზრდის და ეფექტური შედეგების მისაღებად აუცილებელი იყო მომეხდინა რთული ქცევის იდენტიფიცირება. ამისათვის კი უნდა მეწარმოებინა:
 - ფონური დაკვირვება რთულ ქცევაზე ყველა გაკვეთილზე.
 - ფონური დაკვირვების საფუძველზე მოსწავლის რთული ქცევის ჩამონათვალის შემუშავება.
 - რთული ქცევის ზემოხსენებული ჩამონათვალიდან სამიზნე რთული ქცევის შერჩევა.
 - შერჩეული სამიზნე ქცევის განმარტება, ანუ აღწერა მარტივი სიტყვებით.
 - შერჩეული სამიზნე რთული ქცევისთვის კოდის მინიჭება (კოდირება) ანუ სამიზნე ქცევის რაიმე სიმბოლოთი აღნიშვნა. (მაგ: გიორგი ისვრის საწერ კალამს მასწავლებლის მიმართულებით, ვანიჭებთ სიმბოლოს x, გაკვეთილის მსვლელობის დროს გამოვლენილი რთული ქცევის შემთხვევაში ვაკეთებთ ჩანაწერს მხოლოს მინიჭებული სიმბოლოს სახით).
 - სამიზნე რთულ ქცევაზე დასაკვირვებელი მახასიათებლის შერჩევა. (აღნიშნულ შემთხვევაში ვაკვირდებით ქცევის სიხშირეს - რამდენჯერ გამოვლინდა, ხანგრძლივობას - რამდენ ხანს მიმდინარეობს, ინტენსივობას - რამდენად ძლიერად და ლატენტობას -

ქცევებს შორის დროის მონაკვეთს, ერთი ქცევის განხორციელებიდან მეორე ქცევის წარმოშობამდე დროს.

- კვლევის მიზანია საგაკვეთილო პროცესში რთული ქცევაზე ფოკუსირებით პრობლემების გაანალიზება (იგულისხმება გამოვლენილი რთული ქცევის სრულყოფილი ანალიზი). მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესში ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც განაპირობებს რთული ქცევის შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის უკეთ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ლანა ჩიხლაძე
ზუგდიდი, N7 საჯარო სკოლა

როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეებში ლიტერატურული მასალის საფუძველზე გრამატიკული ასპექტების სწავლება

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას თავს იჩენს გარკვეული სახის სირთულეები. ენისა და ლიტერატურის სწავლება მოიაზრებს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარების სიღრმისეულ ცოდნას. გრამატიკული ასპექტების ფლობას.

ტექსტის-გაგება გააზრებისა და მჯელობის უნარების განვითარების შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციების სწავლება მოსწავლეებში, მეტად რთული პროცესია და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს დიდ შრომასა და ძალისხმევას.

ასევე, ზოგჯერ მოსწავლეებისთვის პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ ენისა და ლიტერატურის სწავლება ინტეგრირებულია. გრამატიკული და ლიტერატურული მასალა მოთავსებულია ერთ სახელმძღვანელოში და მცირე მოცულობიდან გამომდინარე, გრამატიკული მასალა არ იძლევა ენობრივი ასპექტების სიღრმისეული სწავლების საშუალებას.

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეებში გრამატიკული ასპექტების სწავლება ლიტერატურული მასალის საფუძველზე. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ენისა და ლიტერატურის სწავლების მოტივაციის ამაღლება, ასევე მიზეზ-შედეგობრივი და ანალოგიაზე დამყარებული მსჯელობისას საჭირო სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნის გაუმჯობესება.

მოცემული პრობლემის აქტუალურობა დადგინდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან გასაუბრებით. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს უჭირთ ენობრივი ასპექტების ფლობა, რაც აუცილებელია ტექსტის გაგება- გააზრებისთვის; უჭირთ დისკუსიებისა და სხვა სახის მსჯელობებისას საჭირო სინტაქსური კონსტრუქციების ფლობა. გამოითქვა მოსაზრებები, თუ რა შეიძლება იყოს დამატებითი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია აღნიშნული პრობლემა:

- გრამატიკასთან დაკავშირებული თეორიული საკითხებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების სიმწირე;
- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია ენობრივი ასპექტების სწავლების დროს;
- სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია;
- ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება.

ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულ სწავლებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ნათია ფურცვანიძე თავის სტატიაში: „ქართული ენის სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ აღნიშნავს, რომ „ენიდა და ლიტერატურის სწავლება არ უნდა ხდებოდეს გრამატიკის უგულვებელყოფის ხარჯზე, რადგან მის გარეშე ენის სრულყოფილი ცოდნა წარმოუდგენელია.“

კვლევის ამოცანას წარმოადგენს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მიღებული შედეგების გაანალიზება. ამისათვის წარმართა შეხვედრები კოლეგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

კვლევისას გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. დაიგეგმა ინტერვიუები, რომლის საფუძველზეც მოხდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ

- ენის ასპექტების ლიტერატურული მასალის საფუძველზე სწავლებისას გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი მეთოდები, რაც მოსწავლეებში გაზრდის მოტივაციას და მიაღწევს მაღალ აკადემიურ შედეგებს;
- მიზეზ-შედეგობრივი და ანალოგიაზე დამყარებული მსჯელობისთვის საჭირო შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციების სწავლებისას კოგნიტური სქემები ხელს უწყობს მიწოდებული ახალი მასალის ორგანიზებას;
- ენობრივი მახასიათებლების ფლობა აუცილებელია წერის, ზეპირმეტყველებისა და კითხვის დროს.

თემის აქტუალობიდან და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე აღნიშნული ნაშრომი ხელს უწყობს მასწავლებელს პრაქტიკის გაუმჯობესებაში. მოსწავლეებს კი ეხმარება ტრანსფერის უნარების განვითარებაში.

ლელა მანგიოვილი
თბილისი, სკოლა „ბინული“

საპნის ბუშტები თუ „საპნის ბუშტები“

ვიზუალური სქემების, გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება გაკვეთილზე მოსწავლეთა დიდ დაინტერესებას იწვევს და ხალისიან განწყობას უქმნის მათ. სქემის შევსების პროცედურა თანდათანობით გადაინაცვლებს მოსწავლის გონებაში და აადვილებს ტექსტის გაგება-გააზრების პროცესს.

გრაფიკული ორგანიზატორები ინფორმაციის სტრუქტურირების საუკეთესო საშუალებაა და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებას. ამ პროცესში ისინი ფიქრობენ, კითხულობენ, წერენ, აკვირდებიან მოვლენებს, ამყარებენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ხდება ტექსტის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირებას, მის გრაფიკულად განლაგებას და დაჯგუფებას.

როგორ მივაჩვიოთ მოსწავლეები, თვითონ შექმნან ვიზუალური სქემები?

დავიწყით მარტივი ინსტრუქციის შედგენით. მთავარია, არ დაგვავიწყდეს, რომ აქტივობა უნდა იყოს სახალისო და საინტერესო.

ბავშვებს ძალიან უყვართ საპნის ბუშტების გაშვება, რომელიც ასოცირდება ბედნიერებასთან, სიხარულთან და თავისუფლებასთან.

ბავშვები ჩაიფიქრებენ სურვილებს და უშვებენ საპნის ბუშტებს. შემდეგ მასწავლებლის დახმარებით ავსებენ გრაფიკულ მაორგანიზებელს „საპნის ბუშტები“.

„ნაბიჯ-ნაბიჯ“ მოდელის გამოყენებით მოსწავლეებმა შეძლონ ერთგვარი საავტორო ნამუშევრის, ვიზუალური სქემების შექმნა და მისი გამოყენება, როგორც გრამატიკული კატეგორიების, ასევე სხვადასხვა ტექსტის გაგება-გააზრების პროცესში.

სურვილების თანმიმდევრობით ჩაფიქრებისა და საპნის ბუშტების გაშვების შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ, შეადგინონ ინსტრუქცია საპნის ბუშტების დახმარებით. ამისთვის გამოვიყენებთ გრაფიკულ მაორგანიზებელს, „საპნის ბუშტებს“.

სქემა ივსება მარცხნიდან მარჯვნივ. მარცხენა კიდეში მოთავსებულ „ბუშტში“ იწერება 1-ლი ნაბიჯის აღმნიშვნელი ცალკეული სიტყვა/სიტყვები, მომდევნო „ბუშტში“ – მეორე ნაბიჯის აღმნიშვნელი სიტყვა/სიტყვები და ა.შ. „საპნის ბუშტებზე“ ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები დაწერენ მარტივ ინსტრუქციას.

მაგალითად, როდესაც დაწყებით საფეხურზე ვასწავლით, როგორ გავარკვიოთ მოცემული სახელის ფუძე ბოლოხმოვნია, თუ ბოლოთანხმოვნია, შეიძლება მოსწავლეებს გავაკეთებინოთ „საპნის ბუშტების“ ერთგვარი ვიზუალური სქემა.

გრაფიკულ მაორგანიზებელ „საპნის ბუშტებზე“ მკაფიოდ ჩანს ყველა ის ნაბიჯი, რომელთა თანმიმდევრობით შესრულების შემდეგ მოსწავლეებს უკვე აღარ გაუჭირდებათ ინსტრუქციის შედგენა.

საკუთარი გამოცდილებით ვიტყვი, რომ მათ ძალიან მოსწონთ საკუთარი ხელით შექმნილი ინსტრუქცია და დიდი სიხარულით განათავსებენ საკლასო ოთახის კედელზე, „წესების გალერეაში“. ისინი სასიამოვნოს და სასარგებლოს შერწყმით ეჩვევიან დამოუკიდებლად მუშაობას, ინდივიდუალურად ავლენენ კომპლექსურ უნარებს და დროთა განმავლობაში შეძლებენ კიდევ უფრო რთული ინსტრუქციების შექმნას, რომელიც არასდროს დაავიწყდებათ.

მანა ცხრცვაძე

მესტია, სოფ. ხაიშის საჯარო სკოლა

წრეობრივი მუშაობა, როგორც მოსწავლეთა განვითარების საშუალება

არაფორმალური განათლება არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამის ნაწილი. ის მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უქმნიან მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

მაგალითად, თუ ბავშვს აქვს სირთულეები ისტორიის სწავლაში, ის შესაძლოა, წარუმატებელი იყოს ისტორიის გაკვეთილის თხრობისას. პრეზენტაცია კი, მოგეხსენებათ, შეფასები ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

უნდა დაისვას კითხვა: რა არის ზოგადად განათლების მიზნები და რა კომპეტენციების განვითარება სჭირდებათ ბავშვებს, რომლებიც მათ ზრდასრულობაში სხვადასხვა სიტუაციაში გამოადგებათ? მაგალითად, პრეზენტაციის უნარები, დისკუსიებში მონაწილეობა, თანამშრომლობა, გუნდურობა, კომუნიკაცია. განათლების თანამედროვე ამოცანაა, განუვითაროს ბავშვებს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც ყველანაირ სიტუაციაში გამოადგებათ.

არაფორმალური განათლება ორიენტირებულია ისეთი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაზე, რომელიც შინაგან მოტივაციაზე დაფუძნებით, ბავშვების ცხოვრებისეულ ღირებულებებსა და უნარებს ავითარებს.

საგნობრივი წრე არის ადგილი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოავლინონ კომუნიკაციური, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი უნარები და რაც მთავარია, ისინი კმაყოფილი არიან საკუთარი შედეგებით, ხდებიან საკუთარ თავში დარწმუნებულნი, თავს გრძობენ რეალიზებულად.

სწავლება მიმდინარეობს თამაშის ფორმით არაფორმალურ გარემოში, რაც ზრდის ბავშვების დაინტერესებას კონკრეტული თემების მიმართ ისეთ საგნებში, როგორცაა, მაგალითად, ისტორია.

საგნობრივი წრის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, განსახილველი საკითხების შესაბამისობა ესგ-ს მოთხოვნებთან.

საქმიანობის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება პრიორიტეტულ საჭიროებად მიგვაჩნია. ამ მიმართულებით ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა, შევთავაზეთ სხვადასხვა აქტივობები და ავუხსენით: რას შეასწავლიდნენ, რა მეთოდებით და რა შედეგს მიაღწევდნენ.

წრის წევრთა უმრავლესობა დაინტერესდა სამუშაო პროცესით. შეხვედრებზე შექმნილი კონკურენტული და სახალისო გარემო გახდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საფუძველი, რითაც მიღწეულ იქნა დასახული მიზანი.

ვფიქრობ, საგნობრივი წრის მეცადინეობა ბევრ პედაგოგს გამოადგება მოსწავლეთა შემეცნების, წინსვლისა და წარმატების გზაზე.

მანანა მრიხოლავა

**სენაკი, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია**

არგუმენტირებული ესეს წერის სტრატეგიების ფლობა და წერითი უნარების ამაღლების ხელშეწყობა მოსწავლეებში

საკითხის აქტუალურობა:

წერა შემოქმედებითი და ინტელექტუალური პროცესია. მიუხედავად მეთოდური მრავალფეროვნებისა, ხშირად დაისმის კითხვა, როგორ დავეუფლოთ წერის უნარებს, ან არსებობს თუ არა წერის საიდუმლო, რომლის ამოხსნაც შესაძლებელია.

არაერთი ავტორი იზიარებს აზრს, რომ წერის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს სასიამოვნო გარემო, სიტუაცია, რომელიც ავტორმა თავად უნდა შექმნას საკუთარი გამოცდებისამებრ.

მოსწავლეებს ზეპირსიტყვიერებაზე უფრო მეტად წერა უჭირთ, განსაკუთრებით კი- არგუმენტირებული ესეს წერა. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების მიზანია, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს ეფექტური კითხვის, წერისა და ზეპირსიტყვიერების უნარები. ეს პროცესი საკმაოდ რთული და შრომატევადია. პრობლემა კი - დასაფიქრებელი, ხომ არ არის ეს მოსწავლეთა (და არამართ) სააზროვნო უნარების ნაკლებობის გამო?

მოსწავლეებს უჭირთ წერის დაწყება, ასევე მოცემული საკითხის ადეკვატურად გააზრება და შემდეგ თავიანთი მოსაზრებების არგუმენტირება, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათთვის რთულია სათაურზე კონცენტრირება. ამასთან ერთად, არასათანადოდ ფლობენ ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს. ლექსიკის სიმწირის გამო ვერ ახერხებენ წინადადებების სტილისტურად გამართვას, უჭირთ დებულებაში მოცემული პრობლემური საკითხის უარყოფა ან დადასტურება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

კვლევის მიზანი:

თუ რამდენად ფლობენ მოსწავლეები არგუმენტირებული ესეს წერის წესებს, სტრუქტურასა და სტრატეგიებს და შესაბამისი ინტერვენციების საშუალებით მოსწავლეთა წერითი უნარების ამაღლების ხელშეწყობა (ესეს წერის სტრატეგიების, მეთოდებისა და ხერხების დაუფლება).

კვლევის მეთოდოლოგია:

სამიზნე ჯგუფი:

1. მე-10 კლასის მოსწავლეები;
2. სკოლის მასწავლებლები;
3. მოსწავლეთა მშობლები.

ინსტრუმენტები:

1. კითხვარი;
2. ფოკუს ჯგუფი;
3. დაკვირვება.

კვლევის შედეგები:

კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ ესეს წერის სირთულე გამოწვეულია მოსწავლეთა წიგნიერების დაბალი დონით, ამიტომაც შეინიშნება ლექსიკის სიმწირე, რის გამოც ვერ ახერხებენ საკუთარი აზრის ადეკვატურად გადმოცემასა და არგუმენტირებას.

კვლევის შედეგების სტრატეგიები:

1. საკითხავი ლიტერატურის შერჩევა;
2. დისკუსიები წაკითხული წიგნებისა და ფილმების შესახებ;
3. სტრატეგია - რა ? რატომ? საიდან? როგორ? სტრატეგიის თითოეული შეკითხვა მოსწავლეს განსხვავებულ ამოცანას უსახავს და უბიძგებს საკითხის დამოუკიდებლად გააზრებისკენ, საკუთარი მოსაზრების ახსნისა და დასაბუთებისკენ.

უკუკავშირისთვის გამოყენებულ იქნა აქტივობა „ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“

შედეგების ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება:

კვლევის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, ინტერვენციისას გამოყენებული მეთოდები, მდგომარეობები, საინტერესო აღმოჩნდა როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგებისთვისაც. მოცემული საკითხი, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, სარგებლის მომტანი იქნება ყველა კლასის მოსწავლეებისთვის. შემუშავებული ინტერვენციები და რეკომენდაციები ესეს წერით დაინტერესებულ ყველა ადამიანს გამოადგება.

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის პრობლემები და მათი გადაჭრის სტრატეგიები

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლება-სწავლის პროცესის წარმატებისათვის. პროფესიული ლიტერატურის განხილვამ და პედაგოგიურმა პრაქტიკამ ნათელყო, რომ საბაზო საფეხურზე (VII - IXკლ.) მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხი დაწყებით საფეხურთან შედარებით იკლებს. საკლასო აქტივობებში ძირითადად მოსწავლეთა 20-30% მონაწილეობს, მოსწავლეთა უმეტესობა ინერტიულია, ნაკლებად მოტივირებული და თავდაჯერებული. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ერთის მხრივ, ამ ასაკთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული, მეორეს მხრივ, ახალი სასწავლო საგნების სირთულით. ხშირად სასწავლო მასალის აუთვისებლობა ბავშვს გარკვეულ ბარიერს უქმნის და უქვეითებს სწავლის მოტივაციას, რაც განაპირობებს მათი სწავლებაში ჩართულობის დაქვეითებასაც.

ქ.თბილისის N217 საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შევეცადეთ გამოგვევლინა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და დაგვესახა არსებული პრობლემების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიები. კვლევის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა საბაზო საფეხურის 80 მოსწავლე, მათი მშობლები და მასწავლებლები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები: ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე, დოკუმენტებისა და მეორად მონაცემთა ანალიზი.

გაკვეთილზე მოსწავლეთა პასიურობის გამომწვევ ფაქტორებად რესპოდენტთა 56%-მა აღნიშნა სასწავლო მასალის უცოდინარობა, 38%-მა მიუთითა, რომ გაკვეთილზე მოსწავლეთა უმოქმედობა დავალების უქონლობითაა განპირობებული. VII-VIII კლასელთა 39% მიაჩნია, რომ პასიურობის მნიშვნელოვანი პირობა მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულებაა. VIII-IX კლასელთა 28% უმოქმედობის მიზეზად თანაკლასელებთან ურთიერთობას ასახელებს. მოსწავლეთა 18% თვლის, რომ გაკვეთილზე მოსწავლეთა პასიურობის მიზეზი ოჯახური მდგომარეობაა. ხელშემშლელ ფაქტორებად ასევე დასახელდა - უინტერესო გაკვეთილები, მოსწავლეთა ინდივიდუალური ხასიათი, სიზარმაცე, გაკვეთილზე ხმაური, სოციალური მდგომარეობა, თანაკლასე-ლებისაგან ჩამჭრელი შეკითხვები, სკოლის ხშირი გაცდენა, უინტერესო სასწავლო მასალა, მოსწავლის არაობიექტური შეფასება და სხვა.

პრობლემის გამომწვევი მიზეზების გადასაჭრელად ჩატარდა შემდეგი ინტერვენციები: 1. კლასში ხმაურისა და დისციპლინის გასაუმჯობესებლად დამრიგებ-ლებთან და მოსწავლეებთან ერთად ესგ-ს შესაბამისად შემუშავდა მოსწავლეთა ქცევის კოდექსი; 2. ქცევის წესების მონიტორინგისა და მშობელთა ჩართულობისათვის სკოლაში დაწესდა „პარასკევი დღის“ ორგანიზება (ყოველ პარასკევ დღეს კვირის განმავლობაში საგნის მასწავლებლებისა და სასკოლო პერსონალისაგან კლასის დამრიგებელი იღებდა ინფორმაციას მოსწავლეთა დისციპლინასა და სასწავლო საქმიანობაზე, ხოლო დღის ბოლოს საჭირო ინფორმაციას გადასცემდა მშობელს. ამასთან ერთად პარასკევი გამოცხადდა „ღია კარის დღედ მშობლებისათვის“, ასევე შეიქმნა თანამშრომლობის ინტერ-ნეტჯგუფები; 3. სასწავლო გარემოს უზრუნველ-ყოფისათვის დაიგეგმა ყოველთვიური პრო-

ფესიული ტრენინგი გამოცდილების გაზიარებასა და საგაკვეთილო პროცესში სწავლების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე; 4. სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად პრაქტიკაში დაინერგა სასწავლო მასალის ახსნის ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ სასწავლო მასალის გაგება-გააზრებას: ა) „გაფუჭებული ფირფიტის ტექნიკა“; ბ) „ირიბი გამეორების ტექნიკა“; გ) „გამეორების გამეორება“; დ) „მეგობრის გამეორება“; ე) „სენდვიჩის ტექნიკა“ ; ვ) „კითხვის დასმის ტექნიკა“; ზ) „ალტერნატიული ვარიანტის არჩევის ტექნიკა“; ლ) „სიტუაციის გონებაში წარმოსახვა“; თ) საკვანძო სიტყვები და სხვა; 5. მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის ყურადღება მიექცა სასწავლო პროცესში პროექტებით სწავლებას, დისკუსიის ფორმის, იდეების გენერაციის ტექნოლოგიების გამოყენებას; 6. სასწავლო პროცესში მოსწავლეების გასააქტიურებლად გაკვეთილზე გამოვიყენეთ ისეთი სტატუსები, როგორცაა- „მოსწავლე ასისტენტი“, „მოსწავლე თანამემწე“ და „მოსწავლე ექსპერტი“; 7. მასწავლებელთა კლასტერებში მუშაობისას ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა შეფასების, ურთიერთშეფასებისა და უკუკავშირის ფორმებზე. გაკვეთილების დაგეგმვის ინოვაციურ სტრატეგიებზე, სხვადასხვა სასწავლო პროგრამებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო, რომ მოსწავლეთა სასწავლო აქტივობების მოტივაციასა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია თვითონ მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა პრობლემების მოვლენასა და მათი გადაჭრის გზების დაგეგმვაში; ეფექტური სასწავლო გარემოსა და საგაკვეთილო პროცესის შექმნა, ინოვაციური და თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება, სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესი, რომელიც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციასა და მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის დონეს;

მოსწავლეთა პიროვნული სრულყოფისა და სასწავლო ქცევის კორექციისათვის ასევე მნიშვნელოვანია მშობლებისა და მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობა და მოსწავლეთან ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, რომელშიც მოსწავლე სწავლება-სწავლის პროცესის სრულყოფილებიანი წევრი და საკუთარი სასწავლო აქტივობების შემოქმედი იქნება.

მარინე კვარაცხელია

წალენჯიხა, ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა

პროექტული სწავლების უპირატესობანი

აქტუალურობა:

სკოლამ მოსწავლეს უნდა მისცეს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც მას ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოადგება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია სასკოლო პროექტების განხორციელებით.

პროექტი ორი სახისაა:

- სოციალური (იგეგმება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობით);
- სასწავლო (იგეგმება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობით).

პროექტებით სწავლებას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მიმართავენ და მოსწავლეებს უვითარებს თანამშრომლობის, კვლევით, შემოქმედებით, პრაქტიკულ უნარებს.

გასული სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებთან აქტიური თანამშრომლობით დავგეგმე და განვახორციელე სოციალური და სასწავლო პროექტები: „არა ბულინგს!“, „კვება და ჯანმრთელობა“, „ვიცხოვროთ სუფთა გარემოში“, „დარისპანის გასაჭირი“(სპექტაკლი), „გაიცანი საქართველო“(სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები).

მიზანი:

სოციალური პროექტებისათვის: სწავლასა და რეალურ ცხოვრებას შორის კავშირების დანახვა, პრობლემის (ბულინგი სკოლაში, არაჯანსაღი კვება, ეკოლოგიურად არაჯანსაღი გარემო) პრევენცია, სხვადასხვა საჭირო უნარის განვითარება;

სასწავლო პროექტებისათვის: როლური თამაშით ტექსტის სიღრმისეული შესწავლა, გაგება-გააზრება; ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ისტ-ზე მუშაობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარება;

პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

დისკუსიების ჩატარება, კვლევების განხორციელება, პოსტერების მომზადება, ბუკლეტების მომზადება და გავრცელება, შემოქმედებითი ესეების წერა, როლური თამაში, პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაციები.

შედეგი:

პროექტების განხორციელებამ მოსწავლეებს გაუზარდა მოტივაცია, განუვითარა სხვადასხვა საჭირო უნარი, მაქსიმალურად ჩართო ისინი სასწავლო პროცესში, დაეხმარა პრობლემის გააზრებასა და გადაჭრის გზების ძიებაში, ასწავლა ხალისით, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახა სწავლა-სწავლების ხარისხზე.

დასკვნა:

პროექტებით სწავლება ხშირად უნდა გამოვიყენოთ, ვინაიდან:

- იზრდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლის ხარისხი;
- მოსწავლე სწავლობს სხვის და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- მოსწავლე თვითონ მონაწილეობს პროექტის დაგეგმვაში;
- გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები;
- მოსწავლე თვითონ ქმნის პროდუქტს;
- იზრდება მოსწავლის მოტივაცია.

განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე

ნაშრომი ეხება განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევას. საზოგადოდ ცნობილია, რამდენად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება შეფასებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციონირების პროცესში. გარდა იმისა, რომ მას აქვს უდიდესი აღმზრდელობითი ფუნქცია, ასევე, მისი საშუალებით ამომწურავ ინფორმაციას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე - მოსწავლეები აცნობიერებენ, რა ეტაპზე არიან თავიანთი განვითარების გზაზე, მასწავლებლები იგებენ, რამდენად ეფექტურია მათ მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები, როგორ აღწევენ სასწავლო მიზანს კონკრეტულ მოსწავლესთან და როგორ უნდა დაგეგმონ მომავალი სასწავლო პროცესი, ხოლო სახელმწიფო მოსწავლეთა შეფასებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იღებს ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი, რა მიღწევები და ხარვეზებია და ამ მონაცემების გათვალისწინებით განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. განმავითარებელი შეფასება სწორედ ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას ემსახურება, ამდენად, განმავითარებელი შეფასების სასკოლო სივრცეში რეალიზების პრაქტიკის კვლევა მეტად აქტუალურია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გავაანალიზე მოსწავლეთა შეფასებაზე არსებული სამართლებრივი რეგულაციები და ეროვნული კვლევები, რამაც ცხადყო, რომ ჩატარებული კვლევის დონეზე განმავითარებელი შეფასების პრაქტიკული რეალიზების საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე მართალია შენიშნულია, თუმცა სათანადოდ არ არის ნაკვლევია. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

ნაშრომის **მიზანია** განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე.

კვლევის **საგანია** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების პრაქტიკული რეალიზება, ხოლო **ობიექტი** - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა) და ჩადრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა თბილისის სხვადასხვა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის 48 მასწავლებელი. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით შეიძლება დავსახოთ რეკომენდაციები, რომლებიც ნაშრომში იქნება წარმოდგენილი.

საბავშვო გადაცემა ერუდიტი TV სასწავლო პროცესში

მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას ხშირ შემთხვევაში დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი. მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებს ყველა ის საჭირო უნარ-ჩვევები გამოუმუშაოს, რომლებიც მათ სასწავლო პროცესსა და დამოუკიდებლად აზროვნებაში დაეხმარებათ. შესაძლოა გაკვეთილზე, ერთ კონკრეტულ თემაზე მუშაობისას სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით განვითაროთ ერთი ან ერთზე მეტი უნარი. მნიშვნელოვანია, რომ მთელი ეს პროცესი იყოს ხალისიანი და საინტერესო, რადგან დაწყებით კლასებში ამ საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეების დაინტერესება.

დაწყებით კლასებში ხშირად იჩენს თავს ისეთი პრობლემური საკითხები, როგორც არის არასწორი ზეპირმეტყველება, დისლექსია, წაკითხულის გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების პრობლემა და ა.შ.

ამ და კიდევ არაერთი სხვა პრობლემის გადაჭრისთვის ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, იდეალური საშუალება გამოდგა, დამენერგა სასწავლო პროცესში „საბავშვო გადაცემა ერუდიტი TV“

რომლის მიზანი გახლდათ ყველა ზემოთჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება. აგრეთვე, მოსწავლეებისათვის შემოქმედებითი მხარეების განვითარება და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება.

გადაცემა შედგება სხვადასხვა თემის სიუჟეტებისგან, რომლის ჟურნალისტებიც ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები არიან.

თავიდან მოსწავლეებს მე თვითონ ვაძლევდი თემებსა და ტექსტს, შემდეგ კი თვითონ, დამოუკიდებლად ეძებდნენ სხვადასხვა ინფორმაციას. ამ ყოველივეზე მუშაობამ მოსწავლეებს განუვითარა მთავარი და არამთავარი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამოიჯვნისა და, აგრეთვე, კვლევა-ძიების უნარები.

მოსწავლეებს მეტყველება გაუმჯობესდა სიუჟეტზე მუშაობის დროს, მოეხსნათ სხვადასხვა კომპლექსი, რაც ამ ასაკისთვის იყო დამახასიათებელი.

აგრეთვე განუვითარდათ კრიტიკული აზროვნების უნარი და გაეზარდათ ინტერესის სფეროები.

ვფიქრობ, მოსწავლეების განვითარებაში საბავშვო გადაცემამ დიდი როლი შეასრულა და ამიტომ, მინდა, ჩემი გამოცდილება სხვა კოლეგებსაც გავუზიარო.

ანდროიდი - გართობა თუ საინტერესო გაკვეთილი და ტექნოლოგიებთან დაახლოება

თანამედროვე სამყარო ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია და რა გასაკვირია, რომ ეს უკანასკნელი განათლების სისტემაშიც ნელ-ნელა მყარად იკიდებს ფეხს. ელექტრონული სწავლება ტრადიციული განათლების შემავსებელ ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად განიხილება 21-ე საუკუნეში. დღეს, როდესაც სწავლა-სწავლებაში ინოვაციური მიდგომები ყოველდღიურად იკიდებს ფეხს, საკლასო ოთახში მოსწავლის პირისპირ მგდარს, მხოლოდ სახელმძღვანელო და დაფა საკმარის რესურსად არ მიმაჩნია. სმარტფონი მხოლოდ გასართობი საშუალება არაა მოსწავლეებისათვის, შეგვიძლია მას სასწავლო რესურსის დატვირთვაც მივანიჭოთ. თუ კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ქვეყანაში საერთოდ არ გამოიყენებენ კომპიუტერებსა და სმარტფონებს. თუმცა მე მაინც ვთვლი, რომ ჩემთვის საუკეთესო რესურსია. ყველას არ აქვს საგაკვეთილო პროცესში კომპიუტერების გამოყენების საშუალება, ამიტომ თანამედროვე ტელოფონები გვაძლევს ამის საშუალებას, გამოვიყენოთ მიზანმიმართულად, რათა სწავლა-სწავლება უფრო სახალისო და საინტერესო პროცესად იქცეს. **როგორ გამოვიყენოთ QR კოდები სასწავლო პროცესში?** - ეს კითხვა დიდხანს მაწუხებდა, და მოვძებნე გზა, რომელიც ინოვაციურსა და შემოქმედებითს გახდიდა ჩემს გაკვეთილებს.

მათემატიკის მასწავლებლებისათვის კიდევ უფრო სახალისო და საინტერესოა [Photomath](#), რომელსაც ბავშვები დიდი სიამოვნებით იყენებენ. ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ როდესაც მოსწავლეს თან აქვს მობილური ტელეფონი, ორიენტირებულია მასზე და ვერ ახერხებს პროცესში ჩართულობას. სასწავლო პროცესში ჩართულობა გულისხმობს, რომ მოსწავლე მთლიანად უნდა იყოს მობილიზებული პროცესზე. სოციალური ქსელით, ინტერნეტით სარგებლობა ეს ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე „გასულია“ საგაკვეთილო სივრციდან, თავისი ცნობიერებით და აზროვნებით, ყველა ფსიქიკური პროცესით ფსიქოლოგიურად იმყოფება გარეთ ანუ სხვაგან. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ყოფნა ერთმანეთისგან განსხვავებულია. მოსწავლე ორიენტირებულია მასზე და სასწავლო პროცესში ჩართულობას ვერ ახერხებს, ფსიქიკას არ შეუძლია გახლეჩილ მდგომარეობაში ყოფნა, შეუძლებელია, იგი ერთსა და იმავე დროს ორ განსხვავებულ პროცესში იმყოფებოდეს. საპირისპირო მოსაზრების მიხედვით კი, მობილური ტელეფონები, ისევე, როგორც სხვა ტექნოლოგიები არ უნდა შეიზღუდოს სკოლებში. უნდა აიკრძალოს მისი არასათანადოდ გამოყენება. მობილურების აკრძალვა იაფი ტექნოლოგიების გამოყენებას შეუშლის ხელს. მობილურების გამოყენებით შესაძლებელია იმ რესურსების გავრცელება, რაშიც სახელმწიფო უამრავ დროსა და ფულს ხარჯავს. ამ ტექნოლოგიების გამოყენებით მოსახერხებელია ახალი ტიპის ამოცანების დაყენება. ცხადია აკრძალვა არ არის გამოსავალი. მობილურის გამოყენება შესაძლოა ხელს უშლიდეს მოსწავლის პროცესში

ჩართულობას, თუ მან არ იცის პროცესის სწორად მართვა. ჩემი მოხსენების მიზანია, მასწავლებლებს გავაცნო ანდროიდის გამოყენების რამდენიმე ინოვაციური გზა გაკვეთილზე, რათა მოსწავლეთათვის საგაკვეთილო პროცესი უფრო საინტერესო იყოს.

ნათო მუხაშია
ვანი, N2 საჯარო სკოლა

არაფორმალური განათლების წილი სასწავლო პროცესში

დღეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა განათლებული და XXI საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ახლგაზრდის აღზრდა. სკოლას, საზოგადოებასა და ოჯახს დიდი მისია აკისრია, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს შრომითი ბაზრის თავისებურებების და მოთხოვნების გამო დღეს უფრო და უფრო მეტი ბავშვი რჩება უფროსების ყურადღების მიღმა. დასაქმებული მშობლების უმრავლესობა ჯეროვან ყურადღებას ვერ უთმობს შვილებს, ნაკლებად არიან ჩართულნი მათი სწავლა-აღზრდის საქმეში. არადა სკოლის გარეთ, ოჯახსა თუ სოციალურ გარემოში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს ბავშვის განათლებაზე და მნიშვნელოვნად განაპირობებს მას აკადემიურ მაჩვენებელს. მოზარდებში უყურადღებობა აჩენს აკადემიურ პრობლემებს, მეორეს მხრივ სარისკო ქცევის ჩამოყალიბების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარდატეხის ასაკში მოზარდები ავლენენ აგრესიას, უჩინდებთ პროტესტის გრძნობას ყველას და ყველაფრის მიმართ. ამდენად, მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის უზრუნველსაყოფად და დადებითი სოციალური მიმართულებით განვითარება, დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის და მრავალი ოჯახის ამოცანას წარმოადგენს. კლასგარეშე პროგრამები გაკვეთილების შემდეგ ბავშვებს დროის უსაფრთხოდ, ორგანიზებულად და ნაყოფიერად გატარებას უზრუნველყოფს. მათ ენერჯიას პოზიტიური მიმართულება წარმართავს.

თემა აქტუალურობას იძენს იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ კლასგარეშე აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში სარისკო ქცევების ალბათობის შემცირებას და, შესაბამისად, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, ვაკვირდებოდი მოსწავლეთა ქცევას სკოლაში, თემში. ვხედავდი, რომ მათ უჭირდათ ერთმანეთთან ურთიერთობა, კომუნიკაცია, კონფლიქტებს აგვარებდნენ ჩხუბით, არ ჰქონდათ გამიჯნული პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. არ უფრთხილდებოდნენ სასკოლო ქონებას, ანაგვიანებდნენ გარემოს, განსაკუთრებით ეს შეიჩნევა ექსკურსიების დროს. საკითხს ხშირად განვიხილავდი საგნობრივი კათედრის სხდომაზე, ტრენინგებზე, კონფერენციებზე, პროფესიულ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე. ეს პრობლემა არის არა მარტო ერთი სკოლის, ადგილობრივი, არამედ ეროვნული და რეგიონალური მნიშვნელობის პრობლემა. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა ამ მიმართულებით.

კვლევის მიზანია: სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების ნაკლებობის მიზეზების დადგენა და მისი გამოსწორების გზების ძიება. შევქმენი სამიზნე ჯგუფი სკოლის ადმინისტრაციის,

მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მონაწილეობით. ასევე მიზნობრივად იქნა შერჩეული კვლევის მეთოდები და ინტერვენციები. კვლევის განხორციელების მიზნით, შემუშავდა კვლევითი სტრატეგია, რომელიც შედგებოდა შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:

- რაოდენობრივი კვლევა
- თვისებრივი კვლევა

შემუშავებული იქნა პრაქტიკული რეკომენდაციები. რაოდენობრივი კვლევა ჩავატარე ანკეტირების, პირისპირ ინტერვიუების, დაკვირვების უნარ-ჩვევების ტესტების გამოყენებით. თითოეულ სამიზნე ჯგუფს ჰქონდა განსხვავებული ტიპის კითხვები. კვლევის ინსტრუმენტები შედგებოდა როგორც დახურული, ისე ღია ტიპის კითხვებისაგან.

ჩატარებული კვლევის შედეგებსა და საგულისხმო დასკვნებს წარვუდგენ ჩემს კოლეგებს კონფერენციაზე.

ნინო ტატიაშვილი
თბილისი, N133 საჯარო სკოლა

ვიქტორინის როლი წიგნიერების დონის ამაღლებაში

წიგნიერება არა მხოლოდ წიგნის წაკითხვა, არამედ წაკითხულის შემდეგ ცოდნის შექმნა, გააზრება და გამოყენებაა. კითხვის პროცესი უნდა იყოს იმდენად საინტერესო თავად მკითხველისთვის, რომ მან ავტორის მიერ შემოთავაზებულ სამყაროში მოგზაურობა შეძლოს. საქართველოში ჩატარებულ არაერთ კვლევას თუ დავუჯერებთ, ჩვენს ქვეყანაში წიგნიერების კუთხით არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა. ამ ვითარების გამოსწორება დიდ შრომას საჭიროებს, რაც თავის მხრივ მასწავლებლის ჩართულობასაც გულისხმობს.

ვფიქრობ, ახალმა თაობამ მაქსიმალურად უნდა მოახერხოს ცოდნის რეალიზება და პრაქტიკაში გამოყენება, ამ ყველაფერს კი სჭირდება წახალისება მასწავლებლის მხრიდან, რაც იმას გულისხმობს, რომ პედაგოგმა სხვადასხვა სახის წიგნები უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს მათი ასაკის შესაბამისად.

ამისათვის შევიმუშავე წიგნიერების განვითარებისთვის შემდეგი სტრატეგია: კლასში ერთობლივად, რამდენიმე წიგნიდან ვარჩევდით ერთს, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 2-3 კვირა და წაკითხვის შემდეგ ვაწყობდით ვიქტორინას, სადაც მიმოვიხილავდით წაკითხულს, ამასთან ერთად იგეგმებოდა თამაშები და ვაფასებდით პერსონაჟებს ათბალიანი სისტემით. ბავშვებს გადაეცემოდათ წასახალისებლად „მკითხველის“ სიგელი.

ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება დაეხმარებათ კოლეგებს მოსწავლეთა შორის წიგნიერების დონის ამაღლებაში.

ვეფხისტყაოსნის სწავლება კოლაბორაციული მეთოდით

ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

საშუალო საფეხურის მისიაა:

ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება; ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

პრობლემის აღწერა: ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ყურადღებით ვაკვირდებოდი მოსწავლეთა მოტივაციის ცვალებადობას სასწავლო პროცესში. აშკარა იყო, რომ სწავლების საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვნად მცირდებოდა მათი მოტივაცია და აკადემიური მიღწევების დონე, ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები ნაკლებად ინტერესდებოდნენ სწავლითა და სწავლის შედეგებით; მათი მეცადინეობა იყო ფრაგმენტული და არასიღრმისეული.

ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების დროს: აკადემიური მიღწევები თანდათან დაბლდებოდა, სწავლობდნენ მოვალეობის მოხდის მიზნით, სატესტო დავალებების ქულები იყო არასახარბიელო, შემაჯამებელ სამუშაოებში იღებდნენ დაბალ ქულებს.

საკითხის აქტუალობა: „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ქართული არამატერიალური კულტურის საუკეთესო ნიმუშის, როგორც ევროპული ღირებულებების მატარებელი, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და მრავალმხრივი კულტურულ-ფილოსოფიურ-სოციალური მნიშვნელობის მქონე ძეგლის სწავლება სკოლაში სახელმწიფოებრივი საქმეა.

მით უფრო დიდია პედაგოგისა და სკოლის ფუნქცია ახალგაზრდებისათვის ამ პოემის როლის გაცნობიერებასა და გააზრებაში ქართული იდენტობის თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ მის ლიტერატურულ ღირებულებაზე.

სწავლების საშუალო საფეხურზე მე-10 კლასის მოსწავლემ ესგ-ს მიხედვით უნდა შეძლოს: სხვადასხვა ტექსტის გაანალიზება, ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის დიფერენცირება, სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების წაკითხვა და მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. ასევე, სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება და კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

როგორ მივაღწიოთ ამ მიზნებს?

აქ რამდენიმე სირთულეა: ტექსტის მოცულობა; შეზღუდული დრო, მოსწავლეთა რაოდენობა კლასში, ტექსტის ენა; ჟანრი; ნიჰილისტური დამოკიდებულება პოემის მიმართ, ტექნოლოგიებზე მიუწვდომლობა...

ასეთ ვითარებაში მასწავლებელს უწევს განსაკუთრებული ძალისხმევის გამოვლენა იმისთვის, რომ შეცვალოს მოსწავლეთა დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ.

ჩემმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ პრობლემის გადაჭრა შეიძლება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან შესაბამისობითა და კოლაბორაციული სწავლების მეთოდზე დაყრდნობით (3 თვის განმავლობაში).

სწავლების კოლაბორაციული მეთოდი საუკეთესო მეთოდი იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ესგ- სტანდარტით გათვალისწინებული ინდიკატორების მიღწევა და მოტივაციის ამაღლება.

მიზნები და ამოცანები: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, კვლევის, დისკუსიის, პრეზენტაციის უნარების განვითარება.

განხორციელებული აქტივობები:

კოლაბორაციული მეთოდით „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებამ ნამდვილად გამოიღო შედეგი: მე-10 კლასის მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია, გაიზარდა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, წარმატებით ჩატარდა სასკოლო კონფერენცია, ამაღლდა მოსწავლეთა შეფასებები. მათი მიღწეული შედეგი, ასევე, გაიზომა საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტის - „რაინდული ხელოვნება“ დასკვნით კონფერენციაზე, სადაც მასწავლებელი და მე-10 კლასის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ 1-ი ხარისხის სიგელითა და სერტიფიკატებით.

მეთოდის შესახებ დაწვრილებით ჩემს მოხსენებაში ვისაუბრებ და გავუზიარებ კოლეგებს სასარგებლო გამოცდილებას.

ხათუნა შედანიძე
წალენჯიხა, N5 საჯარო სკოლა

საინფორმაციო ტექნოლოგიები - ჩვენი საიმედო პარტნიორი

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში მასწავლებლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დამწყებ მასწავლებლებს, რომლებიც ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს მასწავლებლობის ფრიად მნიშვნელოვან პოზიციაზე, აქვთ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა. ისინი იმ ასაკობრივ კატეგორიაში არიან და წარმოადგენენ იმ თაობას, რომელთათვისაც ტექნოლოგიების ფლობა არ წარმოადგენს დიდ პრობლემას. თუმცა მნიშვნელოვანია გააცნობიერონ, რომ უნდა მოხდეს სწავლა-სწავლების პროცესში მოხდეს ამ ტექნოლოგიების ინტეგრირება .

წლების წინ, როდესაც თავად ვიყავი ახალბედა მასწავლებელი სკოლაში, სწორედ მაშინ ფეხს იკიდებდა ეს ახალი მიდგომა, რასაც ქვია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში. მაშინ მე და ჩემნაირი ენთუზიასტები აქტიურად ვწერავდით ამ სიახლეს, თუმცა პირველ ეტაპზე ჩვენი აქტივობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ასეთი ტექსტით: მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტით. შემდეგი ეტაპი იყო გააკეთეთ პრეზენტაცია power point ფორმატში.

დღეს უკვე ვარ აქტიური ბლოგერი, ვქმნი და ვიყენებ ციფრულ რესურსებს, ვათავსებ მათ ჩემს საგანმანათლებლო ბლოგებზე, რითაც ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას კოლეგებს. მაქვს ციფრული კლასები edmodo-ზე, ონლაინ კლუბი: ისტორიის მოყვარულთა კლუბი „ ჰეროდოტე,....

ვარ ტექნოლოგიების კონფერენციის 2017 წლის გამარჯვებული, ასევე ტექნოლოგიების ექსპერტი პროექტში, ახალი სკოლის მოდელი,....

ეს კომპეტენცია და რეგალიები მხოლოდ დაუღალავი შრომის შედეგად მოვიდა, ვგრძნობ, რომ ჩემი გაკვეთილები მოსწონთ მოსწავლეებს, რაც დიდწილად ტექნოლოგიების უხვი ინტეგრირების შედეგია.

XXI საუკუნეში ტექნოლოგიურმა წინსვლამ კომპიუტერი და ინტერნეტი სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილი გახადა, პრაქტიკაში ციფრული წიგნიერება კი ბევრ ახალ მოთხოვნას უყენებს მასწავლებელს.

და მაინც, რა სარგებლობა მოაქვს ტექნოლოგიებს სწავლებაში?

- ტენოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა სააზროვნო უნარების გააქტიურებას
- იძლევა საშუალებას შეიცვალოს ფორმა და მეთოდი სასწავლო სამუშაოს
- მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდეს და გამრავალფეროვნდეს სასწავლო პარადიგმა
- სწავლობენ ტექსტთან მუშაობას
- ქმნიან მონაცემთა ბაზას, იყენებენ ელცხრილებსა და დიაგრამებს
- სწავლობენ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას
- იზრდება მათი მოტივაცია სწავლისადმი
- ეფექტური ხდება დამოუკიდებებლად მუშაობა.
- ისტ ხდება მთავარი ინსტრუმენტი ადამიანის მომავალი პროფესიული საქმიანობისა

თანამედროვე გაკვეთილი წარმოდგენილია დაიგემოს და განხორციელდეს კარგად ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე

როგორ ბავშვებს ვასწავლით?

XX საუკუნის ბოლოდან კი დაბადებულ ბავშვთა დაახლოებით 60-70 პროცენტი ინდიგო ბავშვად შეიძლება ჩაითვალოს.

- "ათასწლეულის ბავშვები"
- "ახალ ეპოქის ადამიანები"
- "ზეციური მოციქულები"
- "ახალი ცნობიერების ადამიანები"
- "იისფერი რასის წარმომადგენლები"

ინდიგოს ბავშვები - ასეთი ბავშვებისთვის მონოტონური ერთფეროვანი და ტრადიციული გაკვეთილი რა თქმაუნდა უინტერესო იქნება!!!!!!!!!!!!!!

ინდიგო თაობა, ასეთ თაობას მხოლოდ წიგნით, დაფით და ცარცით ვერ დააინტერესებ. მას სჭირდება დროის შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისი მიდგომები. თავად ვეცნობი საინტერესო ახალ კომპიუტერულ პროგრამებს, ვსწავლობ მათ გამოყენებას, ვქმნი მათში საინტერესო რესურსებს, ვათავსებ მათ ჩემს ბლოგზე და ვიყენებ საჭიროებისამებრ საგაკვეთილო პროცესში.

E-mail, GoogleDrive, Pizap.com, blogspot.com, Powtoon.com, Prezi.Com, Linoit.com, MovieMaker, Icecream Slideshow, edmodo, calameo, animoto.com, s lideboom.com, jigsawMaker, amara.org, mirgif.com, soundbank.com, slides.com, panoramio.com, Sway.com, photopheach.com, Glogster.com

რატომ გვეხება ე.წ. ისტ. კომპეტენციები ყველას?

ისტ-გამჭოლი კომპეტენცია!!!

■ თავი VIII. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

მუხლი 48. ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

- როგორ დავძლიოთ გამოწვევა? (პირადი გამოცდილება)
- სურვილი – უპირველესია
- გავს ერთმანეთს
- უცხო ენების სწავლას შევადარებდი
- ისტ ტრენინგები

- თეორიული მასალა ინტერნეტში
- პრაქტიკული მასალა იუთუბზე
- ე.წ. ტუტორიალები

ყველაზე საინტერესო ვიდეორგოლები იქმნება აქ:

- Powtoon.com, slide.ly, Goanimate.com, Animaker.com, Icecream Slideshow Maker, Kizoa.com, Moviemaker, Biteable.com, slides.com, Sway.com

ყველაზე მრავალფეროვანი პრეზენტაციები იქმნება აქ:

- Emaze.com, Prezi.com, sutori.com, Power point

ყველაზე სახალისო ტესტები კეთდება აქ:

Playbuzz, Photopeach, Kahoot learningApps.org

საუკეთესო ინსტრუმენტი ონლაინ კონფერენციისთვის: hangouts

ეკრანის ჩამწერი პროგრამები (ვიდეოგაკვეთილების ჩასაწერად):

JING, BANDICAM, SNIP

Camtasia Studio ვიდეო, აუდიო, გრაფიკული და სხვა მულტიმედია ფაილების დასამუშავებლად (დასამონტაჟებლად).

Knovio - PowerPoint-ში შექმნილ პრეზენტაციას დავამატოთ ვიდეო განხილვა პრეზენტაციაში შემავალი თითოეული სლაიდის მიხედვით, პრეზენტატორის ვიზუალური გამოსახულებით.

ეკრანის სქრინშოტები: Lighshot, Snipping Tool

ფოტომონტაჟების პროგრამები: photofunia.com, imikimi.com, photo505.com , photofacefun.com

„დაეუფლე შესაბამის ცოდნას, შექმენი ელექტრონული და ციფრული სასწავლო რესურსები და ჩაატარე გაკვეთილი 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისად.“

საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საბუნების საქსია

თამარ გვიფინანი

მესტია, სოფ. ხაიშის საჯარო სკოლა

ინოვაციური ტექნოლოგიები სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა (სწავლების ტიპი არაფორმალური განათლება)

თანამედროვე ეპოქაში ცხოვრება კომპიუტერის გარეშე წარმოდგენილია. ის ბავშვების ყოველდღიური მოხმარების საგნად იქცა. ბავშვებს ადრეული ასაკიდან შეუძლიათ ტექნიკის საშუალებებთან ურთიერთობა. თუმცა თავდაპირველად ის ერთობა თამაშით, რომელიც ხელს უწყობს ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, რეაქციის სისწრაფის, ხელის მოტორიკისა და სხვა უნარების განვითარებას. ასევე, მოსწავლეთა დასაინტერესებლად სასურველია ნებისმიერი ინოვაციური მასალის გამოყენება სასწავლო პროცესში. პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. ასევე მნიშვნელოვანია:

- გამოწვევა.
- პოზიტიური სასწავლო გარემო.
- მრავალფეროვანი აქტივობები.
- ჯგუფისადმი მიკუთვნებულება.
- ინკლუზიური განათლების პრიორიტეტულობა.

გამოწვევა - უმთავრესი ეტაპი მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩასართავად; ნებისმიერი სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებში მოცემულ საკითხზე, საგანსა ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურება. მოსწავლეები იხსენებენ, რა იციან შესასწავლი საკითხის ირგვლივ და იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს, რაც ქმნის ახალი ცოდნის აგების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია პოზიტიური სასწავლო გარემო, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობები, დამკვიდრებული/ახალი ღირებულებები და წესები, საორგანიზაციო საკითხებისა და მოვალეობების განაწილება, რაც წინაპირობაა პოზიტიური და საინტერესო გარემოს შესაქმნელად.

მინდა, წარმოგიდგინოთ ვებგვერდი **Google Arts & Culture**, გვერდი რომელიც გამოვიყენე კლასში ერთი სემესტრის განმავლობაში, შემდგომ სკაიპ გაკვეთილის მეშვეობით გავუზიარე კახეთის ერთ-ერთ სკოლას, სადაც მოსწავლეთა ჩართულობა იყო მაქსიმალური. ინტერესი გამოიწვია არამარტო ახალმა ინფორმაციამ, არამედ უცხო სკოლის მოსწავლეების გაცნობამ, თავის წარმოჩენის სურვილმა მოსწავლეთა ჩართულობა გააორმაგა, შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობდნენ, მათი შექმნილი

პროდუქტი ყოფილიყო საინტერესო. ყველა მოსწავლე გრძნობდა თავს ჯგუფის აუცილებელ და საჭირო წევრად, ასევე დაბალი მზაობის მოსწავლეების უნარების სრული რეალიზება მოხდა, მათი თვითშეფასება გაიზარდა და დაისახა გეგმები შემდეგი აქტივობებისათვის.

ამრიგად, მოსწავლეების წარმატების აღმავალი წერტილია მოსწავლის დაინტერესება და სასწავლო მასალის ოსტატურად მიწოდების ხელოვნება. დღეს ინოვაციური საშუალებების გამოყენება არ წარმოადგენს სირთულესა და სიახლეს, თუმცა მთავარია, მოსწავლეს დავანახოთ მათი საჭიროება და ოსტატურად შევასწავლოთ მათი გამოყენება; დავარწმუნოთ მათ საჭიროებაში, რათა ტექნოლოგიების გამოყენებამ გამოიღოს ნაყოფი და არა დროის ფუჭად ხარჯვა...

ინბა პაქსაშვილი

თბილისი, დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“

მოსწავლეთა ურთიერთანამშრომლობის როლი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში

TIMSS-ისა და PISA-ს საერთაშორისო კვლევები და სახელმწიფო შეფასებები ქვეყნებს საშუალებას აძლევს, საკუთარ საგანმანათლებლო შედეგებს გაეცნონ და გაანალიზონ. კვლევის შედეგების მიხედვით, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში საქართველოს მოსწავლეთა მიღწევის საშუალო მაჩვენებელი არსებითად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო ნიშნულს. სახელმწიფო შეფასების მონაცემებით ირკვევა, რომ მეცხრე კლასელები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევის მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებენ: მათემატიკაში მოსწავლეთა 30,3%; ფიზიკაში მოსწავლეთა 34,8%; ქიმიაში მოსწავლეთა 49,1%; ბიოლოგიაში მოსწავლეთა 13,3%. შედეგი დამაფიქრებელია. განათლების მუშაკებს დიდი ძალისხმევა გვმართებს, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესებაში. საჭიროა გამუდმებული კვლევა-ძიება იმისა, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, როგორი მეთოდებით შეიძლება დავაინტერესოთ და წავახალისოთ მოსწავლეები, რათა მათთვის უფრო მიმზიდველი, მარტივი და დაძლევადი გახდეს სწავლების პროცესი.

კოლაბორაციული სწავლება (CL), საგანმანათლებლო მიდგომა სწავლებისა და სწავლისთვის, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა ერთობლივად მომუშავე ჯგუფებს ან წყვილებს პრობლემების მოსაგვარებლად, დავალების შესასრულებლად ან პროდუქტის შესაქმნელად. არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ კოოპერატიული გუნდები აღწევენ აზროვნების მაღალ დონეს და ინარჩუნებენ ინფორმაციას უფრო მეტი ხნით, ვიდრე მოსწავლეები, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ. ერთმანეთში აზრთა გაცვლა-გამოცვლა უვითარებთ მათ კრიტიკულ აზროვნებას, პირად პასუხისმეგებლობასა და სოციალურ უნარებს.

მნიშვნელოვნად მივიჩნიე, შემემუშავებინა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ისეთი სისტემა, რომელიც წახალისებდა მათ აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

სამიზნე ჯგუფად ავარჩიე მეცხრეკლასელთა ორი პოპულაცია. ერთ ჯგუფში დავგეგმე ინტერვენციები, ხოლო მეორეში არა - დავტოვე საკონტროლო ჯგუფად.

კვლევისთვის გამოვიყენე როგორც თვისობრივი კვლევის მეთოდი - ფოკუს ჯგუფი, ასევე რაოდენობრივი - პრე/პოსტ ტესტი და ანკეტირება.

ანკეტირებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ბიოლოგიის სწავლის დაბალი შინაგანი მოტივაცია ჰქონდათ, რასაც ართულებდა გადატვირთული საგაკვეთილო საათები, მოსწავლეთათვის რთულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები, გარემო, სოციალური ქსელები და დამოკიდებულება, რომ სამომავლოდ არ სჭირდებოდათ ბიოლოგია.

ჩემ მიერ შემუშავებული იქნა მოსწავლეთა ურთიერთდახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეების დაწყვილებას შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე „კონსულტანტებად“ და დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე „მსმენელებად“. კონსულტანტის ფუნქციაში შედიოდა დახმარებოდა „მსმენელს“ სწავლების პროცესში და თვალყური ედევნებინა მისი აკადემიური მოსწრებისათვის. პროგრამა საშუალებას აძლევდა მოსწავლეებს, თავად გადაეწყვიტათ, რომელ მსმენელთან ან რომელ კონსულტანტთან ითანამშრომლებდნენ ან საერთოდ სურდათ თუ არა მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში; მათ თავად უნდა განესაზღვრათ შეხვედრების დრო, ხანგრძლივობა და სიხშირე. გარდა იმისა, რომ „მსმენელს“ ეძლეოდა შანსი, მიეღო დახმარება მეგობრისაგან და აემაღლებინა საგანში ცოდნის დონე, თავად „კონსულტანტიც“ სხვისი სწავლების პროცესში იმენდა ცოდნასა და გამოცდილებას. ურთიერთდახმარების პროგრამა მათ აძლევდა ბონუს ქულების დაგროვების უნიკალურ შანსს, რაც მომხიბვლელი და ძლიერი მოტივატორი აღმოჩნდა ბავშვებისათვის. პროგრამას ახლდა სამი ტიპის ბონუს სისტემა: სისტემა N1-„დრო ქულაა“. იგი ახალისებდა მოსწავლეთა მუშაობის შეხვედრის დროსა და სიხშირეს; სისტემა N2 - „წარმატების ბონუსი“, რომელიც ემატებოდა „კონსულტანტს იმ შემთხვევაში, თუ მისი „მსმენელი“ გააუმჯობესებდა პოსტ-ტესტის შედეგებს; სისტემა N3 - „წარმატებული კონსულტანტი“, ბონუსით ჯილდოვდებოდა საუკეთესო „კონსულტანტი“.

ურთიერთდახმარების პროგრამაში მოსწავლეები ხალისით ჩაებნენ, გაანალიზეს რა, რომ ეს იყო საგანში მათი შეფასების ამაღლების რეალური შანსი. პროცესის გამჭვირვალობისათვის მოსწავლეები ავსებდნენ შეხვედრის დამადასტურებელ სპეციალურ დოკუმენტს, სადაც მიანიშნებდნენ კონკრეტულ გაკვეთილზე განხილულ თემას, გაკვეთილის მიმდინარეობასა და პრობლემებს, რომელიც სწავლებას ახლდა. შეხვედრის ბოლოს ხუთბალიანი სისტემით ახდენდნენ გაკვეთილის შეფასებას როგორც კონსულტანტი, ასევე მსმენელი.

ოთხი თვის განმავლობაში მოსწავლეებმა აქტიურად იმუშავეს და შედეგიც შთამბეჭდავი დადეს: ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა ურთიერთდახმარების პროგრამით, საშუალო აკადემიური მაჩვენებელი გაიუმჯობესა 2,85 ქულით, ხოლო საკონტროლო ჯგუფში პოსტ-ტესტის საშუალო მაჩვენებელში ცვლილება პრაქტიკულად არ აისახა.

მშობლებმა ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ კლასში დაგეგმილმა ინტერვენციებმა არამარტო დადებითი გავლენა იქონია მათი შვილების აკადემიური მოსწრებაზე, არამედ ისინი მეტად დაახლოვდნენ და ერთმანეთში ბევრი დადებითი თვისება აღმოაჩინეს, გაუჩინათ პასუხისმგებლობისა და ემპათიის გრძნობა.

ამრიგად, პრაქტიკამ მიჩვენა, რომ გამოწვევები დაძლევადა!

კვლევითი საქმიანობის წახალისება საჯარო და კერძო სკოლებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე

ნებისმიერი კვლევითი საქმიანობის მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ჩართულობაა. ძალიან საინტერესოა დაკვირვება იმაზე, თუ როგორ ეძებენ საკვლევო კითხვის პასუხებს მოსწავლეები სხვადასხვა მეთოდებით. რომ მოხდეს კვლევითი საქმიანობის წახალისება, პედაგოგმა მათ ისეთი კვლევა უნდა შესთავაზოს, რომელიც მოსწავლეებისთვის მიღწევადი და ღირებული იქნება. ასეთი სახით დაგეგმილი და მოსწავლეების მხრიდან წარმატებით განხორციელებული კვლევა მათ გაახალისებს და გაუღვიძებს თვითდაჯერებულობის შეგრძნებას. სწორედ ამ მიდგომების საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს თუ როგორ უზიარებენ ცოდნას ექსპერიმენტის გამოყენებით. ამ მეთოდით ხდება: მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის გაზრდა, მათში კვლევისადმი ინტერესის გაღვიძება, თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება და განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის კულტურის ამაღლება.

ლანარა ჭიხელიძე
თბილისი, დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევითი მუშაობის დროს

საბუნებისმეტყველო საგნებში კონსტრუქტივისტული, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს ისეთი მიდგომები, როგორცაა კვლევაზე-პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება. აღნიშნული სტრატეგიები უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სწავლების პროცესში და ავითარებს კვლევის უნარ-ჩვევებს. ამიტომ ამ საგნების მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, უპირველეს ყოვლისა, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იმეორებს რეალურ მეცნიერულ სამუშაოს და გადააქვს მისი ძირითადი პრინციპები სასწავლო კონტექსტში. ამ დროს ხდება ცოდნის შექმნა საკუთარი გამოცდილებით, აქტიური სწავლების გზით.

სწორედ ამიტომ ჩემს საგაკვეთილო პრაქტიკაში ხშირად ვიყენებ აქტიური სწავლების მეთოდებს, კერძოდ, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას; შემოგთავაზებთ ერთი გაკვეთილის ნიმუშს ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით, რომელიც მეხმარება მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართვაში., უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს. ჩემს ნაშრომში განხილული იქნება აქტიური სწავლების ერთ-ერთი მეთოდის, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

საბუნებისმეტყველო საგნებში სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეებში სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.

გთავაზობთ ლინკებს:

1. <https://36253.8b.io/page2.html>
2. <https://cloud.graasp.eu/ka/pages/5cac675f68478f5a3d9feda1/subpages/5cac676068478f5a3d9feda9>
3. <https://cloud.graasp.eu/ka/pages/5cac679868478f5a3d9fedd6/subpages/5cac679968478f5a3d9fedd9>

ესაა პორტალი, სადაც ჩაშენებულია PHET პროგრამა, რომლის დახმარებით ვახდენთ რთული ბიოლოგიური მექანიზმების ტრანსკრიპცია-ტრანსლაციის სიმულაციაზე მუშაობას, სიმულაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს, აკეთებენ ანალიზს, გამოაქვთ დასკვნა და წერენ კვლევის ანგარიშს.

ასეთი ტიპის მუშაობა მოსწავლეს ეხმარება, უკეთ გაიგოს უჯრედებში მიმდინარე ისეთი პროცესები, რომლის ვიზუალურად ნახვაც შეუძლებელია, დააკვირდნენ ბიოლოგიური პროცესების მიმდინარეობას რამდენჯერმე, დაყოვნებით, დაჩქარებით და ა.შ. ეს ზრდის მოსწავლეთა ინტერესს საკითხისადმი, აადვილებს პროცესის აღქმას და ეხმარება მაღალი სააზროვნო (ანალიტიკური, შემოქმედებითი, ტრანსფერის, არგუმენტირებული მსჯელობის) უნარების განვითარებაში.

ლიანა ალდომელაშვილი
თბილისი, N107 საჯარო სკოლა

თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემამ არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევები უნდა შესძინოს მოსწავლეს, არამედ შექმნას ხელსაყრელი პირობები ამ უნარ-ჩვევების სასწავლო პროცესში გამოყენებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და შესაბამისად ესგ-ს შედეგების მიღწევას.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ამ ამოცანის გადაწყვეტა, რასაც მივალწიეთ მოსწავლეთა ცოდნისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების გამოყენებით როგორც გაკვეთილებზე მუშაობისას, ისე შემაჯამებელი დავალებების შესრულებისას.

მიღებული შედეგები პრაქტიკულად ღირებული იყო, ვინაიდან დავინახეთ, რომ მომავალში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ახალი გზების მოძებნა აუცილებელია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ განუვითარდეთ XXI საუკუნისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

როგორ გადავჭერი VIII კლასის მართვის პრობლემები მათემატიკის გაკვეთილებზე

ახალი სასწავლო წელი VIII კლასში დავიწყეთ სტატისტიკის ელემენტებისა და გეომეტრიული ფიგურების გამოვლენით. გამოვლენისას დიდ ადგილს ვუთმობდი რიცხვების შესახებ მოსწავლეთა ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებას. შეინიშნებოდა მოსწავლეებში ინტერესი და მოტივაციის მაღალი დონე. ხალისითა და მონდომებით გავიარეთ განტოლებებისა და ამოცანების ამოხსნა. გადავედით პროცენტებზე, დავიწყეთ ამოცანების ამოხსნა პროცენტის გამოყენებით. შესაბამისად, გამოჩნდა დაბალი აკადემიური მაჩვენებლები. შემცირდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეებმა დაიწყეს გაკვეთილებზე დაგვიანება, არ ასრულებდნენ დავალებებს სრულყოფილად, ზოგიერთი მოსწავლე აღნიშნავდა, რომ არ აინტერესებდა საგანი, რა აზრი აქვს ამის შესწავლასო, ზოგმა ტელეფონი მოიმარჯვა, პროცენტს ამითაც კარგად დავითვლიო. გამოჩნდა კითხვა: რატომ გაუჭირდათ მოსწავლეებს ამ საკითხის შესწავლა, რატომ დაკარგეს მოტივაცია, პრობლემა თემამ გამოიწვია თუ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებმა. გაკვეთილები ისე ტარდებოდა, რომ ხშირად მიწევდა შედგენილი გეგმის მანევრირება. მოიკლო მოსწავლეებში დისციპლინამაც. მივხვდი, თუ ასე დიდხანს გაგრძელდებოდა, წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე ვერ გავიდოდი. პროცენტის საკითხის შესწავლას ხომ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათემატიკის სწავლების პროცესში. განსაკუთრებით კი რეალურ ცხოვრებაში, როდესაც თვითონ მოსწავლეები მოზრდილობაში ჩაერთვებიან ყოფითი პრობლემების კვლევასა და წარმართვაში. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე, დამედგინა წამოჭრილი პრობლემების გამომწვევი მიზეზები და დამესახა მათი გადაჭრის გზები. მნიშვნელოვანი იყო გამერკვია, თუ რატომ იქცეოდნენ მოსწავლეები ცუდად და რა განაპირობებდა ამგვარი ქცევის ნაირგვარობას. მივხვდი, რომ ეს არც ისე იოლი იყო, რადგან თითოეული ბავშვის ქცევის უკან მიზეზებისა და მოტივების უნიკალური კომბინაცია იდგა. არ არსებობს ქცევის გამოსწორების უნივერსალური ხერხი, ამიტომ დისციპლინის გასაუმჯობესებლად მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს ინდივიდუალურ მიდგომას, რომელიც საშუალებას მომცემდა, მიმეგნო მოსწავლის ქცევის გამომწვევი მიზეზებისათვის. საკვლევი საკითხის შესწავლა კი სკოლას დაეხმარებოდა გაეგო სწავლა-სწავლების პროცესში რომელი ასპექტი იწვევდა კლასის მართვის პრობლემებს და როგორ შეიძლებოდა აღნიშნული პრობლემების მოგვარება.

კვლევის მთავარ კითხვას წარმოადგენდა რა იყო VIII კლასში მათემატიკის გაკვეთილებზე კლასის მართვის პრობლემების გამომწვევი მიზეზები და როგორ შეიძლებოდა მათი გადაჭრა? მსურდა, დამედგინა მთავარი მიზეზები და დამესახა სტრატეგიები, რომლებიც დამეხმარებოდა არსებული პრობლემის გადაწყვეტაში.

კვლევის სამიზნე ჯგუფად შევარჩიე VIII კლასის 30 მოსწავლე, მათი მშობლები და მასწავლებლები, ხოლო კვლევის პროცესში გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები: ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე, დოკუმენტებისა და მეორად მონაცემთა ანალიზი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- მოსწავლეებმა არ იციან ან კარგად ვერ აცნობიერებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ზოგჯერ ავიწყდებათ მათ შესახებ, რაც იწვევს გაკვეთილზე ქცევის სირთულეს. ამის გამო ხშირად იმსახურებენ შენიშვნებს, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა;

- მშობლები აქტიურად არ არიან ჩართულნი სწავლა-სწავლების პროცესში. ისინი იმდენად არიან ყოფით პრობლემებზე გადართულნი, რომ მათ ნერვები და დრო არ ჰყოფნით საკუთარი შვილების სწავლა-სწავლების პროცესში ჩასართველად. ზოგიერთი მშობელი არ აღიარებს შვილების პრობლემებს, არ ითვალისწინებს მასწავლებლის რჩევასა და რეკომენდაციას. ისინი მთლიანად დაკავებულნი არიან ოჯახის ყოფითი პრობლემების მოგვარებით და მხედველობიდან აქვთ გამორჩენილი შვილების საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის საჭიროება. მშობელთა ასეთი ქმედება კი უარყოფითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და ქცევის თავისებურებებზე.
- აღსანიშნავია მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და ინტერესი მათემატიკის სწავლის მიმართ. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ამ ასაკის მოსწავლეების რთული ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები.

კვლევის მიგნებებიდან გამომდინარე არსებული პრობლემების გადასაჭრელად დავგეგმე მნიშვნელოვანი აქტივობების ინტერვენცია სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ და მოსწავლეებთან ერთად ქცევის წესების შემუშავება;

2. მათემატიკის გაკვეთილის გამრავალფეროვნება თანამედროვე ინტერაქტიული სტრატეგიებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილებზე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, ამ მხრივ არსებული საინტერესო გამოცდილების გაზიარება;

3. მშობელთა დაინტერესება და მათი ჩართვა შვილების სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

სწორად შერჩეულმა ინტერვენციებმა და დასახული გეგმის განხორციელებამ შემაძლებინა კლასის მართვის სადავეების ხელში დაჭერა, რასაც შედეგად მოჰყვა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და მათი ქცევის პრობლემების მნიშვნელოვნად გამოსწორება.

მედია ეობალიზ
ბენტონის რუსია
ხოზი, სკოლა „არეა“

„ციური იერარქია“ და მეტყველების ყველაზე მდიდარი ნაწილი მეგობრებთან ერთად . . .

- მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდისა და სიღრმისეული წვდომის გაუმჯობესების მიზნით ავთენტური რესურსის მიწოდება ესესა და შესაბამისი ანიმაციების სახით.
- მოსწავლეებს განუვითარდეთ ცვლადისა და მუდმივს შორის დამოკიდებულების განსაზღვრის უნარი, ინდუქციურ-დედუქციური აზროვნება.
- მოსწავლეებს განუვითარდეთ ფანტაზია, რომელსაც დააკავშირებენ რეალობასთან;
- შეუწყოს ხელი საგანთა შორის მჭიდრო კავშირს (კერძოდ, ქიმია, ქართული, ხელოვნება, კომპიუტერული ტექნოლოგია, ფიზიკა, ასტრონომია და ისტორია);
- მოსწავლეებმა გაიაზრონ ბუნების სრული ჰარმონია და იერარქია;
- მოერგოს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებს.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა :

VIII, IX, X, XI კლასები

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტი: კერძოდ, ქიმია VIII. 8. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ქიმია.X.11.

ქართ.საბ.9. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

ქართ.საბ.10. სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

ქართ.საბ.12. სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

მიხეილ ლაბარძავა

თბილისი, დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“

თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის გამოყენება ქიმიაში, ბიოლოგიასა ფარმაცევტულ ქიმიაში

► მეთოდის არსი - ქრომატოგრაფია წარმოადგენს

ანალიზური და პრეპარატული მეთოდების ჯგუფს, რომელიც ემყარება ნარევეების კომპონენტების თვისებას, განსხვავებული ხარისხით დაუკავშირდეს სპეციალურად შერჩეული სხეულის ზედაპირს (სორბენტს-უძრავ ფაზას). ნარევი დაყოფის დროს თანდათანობით გადაადგილდება ამ უძრავი ფაზის შიგნით მოძრავი ფაზის (ელუენტის) დახმარებით.

► ქრომატოგრაფიის ტიპები - ცნობილია

ქრომატოგრაფიის შემდეგი ტიპები: ქაღალდზე ქრომატოგრაფია; თხელფენოვანი ქრომატოგრაფია; გელ-ქრომატოგრაფია; აირ-თხევადური ქრომატოგრაფია; სვეტზე ქრომატოგრაფია; თხევადური ქრომატოგრაფია; იონური ქრომატოგრაფია; კაპილარული ქრომატოგრაფია და სხვა.

► ქრომატოგრაფიის გამოყენება -

- ეკოლოგიური ანალიზი (ჰაერი, წყალი, ნიადაგი);
- კვების პროდუქტების ანალიზი;
- ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი;
- ორგანული რეაქციების მიმდინარეობის ანალიზი;
- ამინომჟავებისა და ცილების ანალიზი.

► თხელფენოვანი ქრომატოგრაფია - მეთოდი

შემუშავებულია 1938 წელს საბჭოთა მეცნიერების: ნ. იზმაილოვისა და მ. შრაიბერის მიერ; ფართო გამოყენება მოიპოვა მოგვიანებით, ი. კირხნერისა და ე. შტალის კვლევების საფუძველზე.

დადგენილია, რომ 12 სმ სიგრძის ქრომატოგრაფიულ ფირფიტაზე შესაძლებელია დაახლოებით 200 ნივთიერებისაგან შემდგარი ნარევის დაყოფა.

► ქრომატოგრაფიული ანალიზის სტადიები -

1. სინჯის აღება და ანალიზისათვის მომზადება;
2. ქრომატოგრაფიული ფირფიტის წინასწარი დამუშავება;
3. ქრომატოგრაფიული კამერის მომზადება;
4. ნიმუშის დატანა;
5. საკვლევი ნივთიერებების ქრომატოგრაფიული დაყოფა;
6. ელუენტის მოცილება ქრომატოგრაფიული ფირფიტიდან;
7. კომპონენტების დეტექტირება;
8. ნივთიერებების იდენტიფიკაცია და ნახევრად რაოდენობითი ანალიზი.

ნაშრომში მოყვანილია ქიმიისა და ბიოლოგიის გაკვეთილებსა და ქიმიისა და ეკოლოგიურ წრეებში თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის გამოყენების კონკრეტული მაგალითები, რაც განაპირობებს მოსწავლეთა დაინტერესების ზრდას და ხელს უწყობს მათ STEM მიმართულებით პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.

ნანი შივარდინიძე
რუსთავი, N20 საჯარო სკოლა

როგორ შევიყვარე მათემატიკა

კვლევებმა აჩვენა, რომ სწავლის შედეგები მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო ჩართულია მოსწავლე ცოდნის მიღების პროცესში. მათემატიკის შესწავლა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან თუ მოსწავლე ვერ ხედავს მისი, როგორც საგნის ცოდნის მნიშვნელობას და აუცილებლობას ყოველდღიურობაში, მისთვის ძალიან უინტერესო ხდება სასწავლო პროცესი. სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ მივაწოდებთ მოსწავლეებს ახალ მასალას. რა მეთოდებს ვიყენებთ ამისათვის. სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საკმაოდ საინტერესოს ხდის საგაკვეთილო პროცესს.

ტექნოლოგიების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებაში, უვითარდებათ სხვადასხვა უნარები თანატოლებთან თანამშრომლობა, კვლევის, სირთულეების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

მუშაობის პროცესში ისტ-ის გამოყენება ეხმარება მოსწავლეს, ადვილად შეიმეცნოს შესასწავლი მასალა. ამიტომ ხშირად ვიყენებ გაკვეთილებზე სხვადასხვა პროგრამებს. პროგრამაში **Microsoft Mathematics** საკმაოდ მარტივად და თვალსაჩინოდ იგება გრაფიკები, **GeoGebra**-ში შესრულებული

ნახაზები ეფექტურად მუშაობს სასწავლო პროცესში. მასწავლებლებს ხშირად გამოუთქვამთ გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ პროგრამაში მუშაობა მათთვის ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ მინდა, კოლეგებს გავუზიარო მზა რესურსები და თვალსაჩინოებები, რომელიც მათ გაუადვილებთ მუშაობას, ვინაიდან ახალი რესურსების შექმნა არ დასჭირდებათ **Matematicasvisuales**. აქ წარმოდგენილი მასალა - რესურსები მნიშვნელოვნად აადვილებს ზოგიერთი საკითხის შესწავლას, მაგალითად, სივრცული ფიგურის შლილების აღქმა, სიმეტრიები და ა. შ.

აღნიშნული პროგრამების გამოყენება და მუშაობა ამ მიმართულებით ამარტივებს საგნის შესწავლას, ხელს უწყობს ჩართულობას და მოტივაციას უმაღლეს მოსწავლეებს.

ნათო კილაძე

საჩხერე, სოფ. კორბოულის N2 საჯარო სკოლა

ელექტრონული სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოების) შექმნა და გამოყენება მათემატიკის სწავლების დროს

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას. უნდა იყოს საინტერესო, აქტიური და მრავალფეროვანი. სწავლების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება.

სასწავლო თვალსაჩინოების ძირითადი დანიშნულებაა კონკრეტულ სახელმძღვანელოში არსებული მასალის გააზრებისა და ათვისების ხელშეწყობა..

- სასწავლო თვალსაჩინოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- რესურსი მოსწავლეთა ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისი უნდა იყოს.
- თვალსაჩინოების გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს სწავლის მოტივაციის ამაღლებას;
- უნდა პასუხობდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას .
- გაკვეთილის გეგმა და თვალსაჩინოება უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.
- თვალსაჩინოება უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეების ცოდნის დონეს.

თვალსაჩინოების რესურსების ნაკლებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალკონტინგენტიან კლასებში, სადაც მასწავლებელს არ შეუძლია, მოსწავლეებს ინდივიდუალურად დაუთმოს ყურადღება. მათემატიკის სწავლების პროცესში სწავლების ყველა საფეხურზე საკითხის სიღრმისეულად გააზრებისათვის აუცილებელია სასწავლო თვალსაჩინოების გამოყენება. თუმცა მასწავლებელი სისტემატურად აწყდება რესურსების (ვიზუალური თვალსაჩინოების) დეფიციტის პრობლემას. არსებული თვალსაჩინოებები (მოდელები, პლაკატები, მანიპულატორები და. ა.შ) ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. კერძოდ:

1) გეომეტრიული ფიგურების მოდელები არ იძლევა საშუალებას, თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ ამ ფიგურების სხვადასხვა სახის კვეთები, ფიგურის ელემენტებს შორის კავშირები, ფიგურის ელემენტების კავშირი მხებ და მკვეთ სიბრტყეებთან და.ა.შ

2) უკვე მოძველებული პლაკატები (მაგალითად წრფივი, ტრიგონომეტრიული, მჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციების გრაფიკები) ვიზუალურადაც კი ვეღარ აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, მათემატიკის ახალი ძვირადღირებული პლაკატების მწირი არჩევანია და ისევე როგორც მოდელები/მანიპულატორები არ იძლევიან საშუალებას, მოხდეს ფუნქციების სხვადასხვა პარამეტრების ცვლილების კანონზომიერების შესწავლა;

3) ინტერნეტში მოძიებული მათემატიკური მოდელები და თვალსაჩინოებები WORD-სა ან PIONT-ში აგებული უმარტივესი ფიგურები იყო, რაც არანაირად იძლეოდა საშუალებას სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, ყოველ გაკვეთილზე მქონოდა გაკვეთილის თემის შესაბამისი თვალსაჩინოება.

პედაგოგიურმა პრაქტიკამ მაჩვენა, რომ ხშირად მოსწავლეები თვალსაჩინოებების გარეშე ვერ ახერხებდნენ საკითხის გააზრებას, დაფაზე შესრულებული ნახაზები იწვევდა საგაკვეთილო დროის ხარჯვას, ხშირად ხდებოდა ნახაზების გადატვირთვა, ნახაზი ხდებოდა ძნელად აღსაქმელი და უკარგავდა მოსწავლეებს სწავლის მოტივაციას.

გადავწყვიტე, თვითონ შემექმნა ელექტრონული თვალსაჩინოებები, ხანგრძლივი და ხშირად წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დღეს მაქვს მათემატიკის სწავლების ყველა საფეხურისათვის საჭირო თითქმის ყველა სასწავლო თვალსაჩინოების მრავალრიცხოვანი ბაზა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ესგ-ს კრიტერიუმებთან (თუ ბაზაში არ მაქვს რაიმე თვალსაჩინოება, მაქვს ცოდნა და უნარი საჭიროების შემთხვევაში ძალიან მცირე დროში, გაკვეთილზედაც კი შევექმნა საჭირო რესურსი); ამასთან ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ელექტრონული რესურსის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ საშუალებას იძლევა ჩვენების დროს შეიტანო მასში ცვლილებები; მაგალითად, შეცვალო ფუნქციის პარამეტრები, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გამოიკვლიონ ამა თუ იმ პარამეტრის გავლენა ფუნქციის გრაფიკზე და გააკეთონ შესაბამისი დასკვნა, აჩვენო მოსწავლეებს სივრცითი ფიგურა 3D განზომილებაში; საჭიროების მიხედვით დაფარო ან გამოაჩინო ფიგურების ცალკეული ნაწილები.

კონფერენციაზე წარმოვადგენ:

- 1) ფუნქციურად დაჯგუფებული რესურსების გამოყენების ზოგად მიმოხილვას
- 2) სწავლების პროცესში რამდენიმე რესურსის გამოყენების მეთოდიკას
- 3) დანართის სახით წარმოგიდგენთ თვალსაჩინოებების ჩამონათვალს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევითი საქმიანობის წახალისება

საკითხის აქტუალურობა

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, თანამშრომლობის უნარები. თუ გავანალიზებთ შემოქმედებითი აზროვნების განმარტებას, რომელიც მოიაზრებს ჩანაფიქრის შემოქმედებითად განვითარებას, ორიგინალური იდეების გამოვლენასა და ხორცშესხმას, ახლის შექმნას, დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიებას, დავასკვნით, რომ ყოველივე ამის განსავითარებლად აუცილებელია კვლევითი საქმიანობის წახალისება.

თემის ინოვაციურობა და შემოქმედებითი მიდგომა

კვლევითი საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჩართულობის აუცილებლობაზე აღნიშნული აქტივობის გასახორციელებლად.

ჩემი აზრით, თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემის შექმნა. ფაქტობრივად გამოყოფილია მასწავლებლის კვალიფიკაციის 5 საფეხური:

- მაძიებელი
- პრაქტიკოსი
- უფროსი
- წამყვანი
- მენტორი

საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელად მასწავლებელმა უნდა განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის, უფროსი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ახორციელებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და კვლევის შედეგებს უზიარებს კოლეგებს. ასევე, წამყვანი მასწავლებელი მენტორის სტატუსის მისანიჭებლად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროების კვლევას და კვლევის შედეგების საფუძველზე ატარებს სამუშაო შეხვედრას კოლეგებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ორივე სახის კვლევაში აქტიურად არის ჩართული მასწავლებელი, მოსწავლე და კონკრეტული თემიდან გამომდინარე მშობელი.

ვარ წამყვანი მასწავლებელი და ამ ეტაპზე ვახორციელებ ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროების კვლევას. თემად აღებული მაქვს „მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლება - კლასგარეშე განათლება“. კვლევაში გაშლილია ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი - მოსწავლეთა ზოგადი წიგნიერება. ჩატარებული გვაქვს გამოკითხვები, შესწავლილია მოსწავლეთა მიერ სკოლისა თუ სოფლის ბიბლიოთეკით სარგებლობის სიხშირე, აღებულია ინტერვიუ მშობლებთან, თუ რა ინტენსივობით კითხულობენ მათი შვილები კლასგარეშე ლიტერატურას, რომელ ასაკში კითხულობდნენ მეტი სიხშირით და ა.შ. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

ასეთი სახის კვლევები გვეხმარება, დავფიქრდეთ სწავლის პროცესზე, ამოვიცნოთ პირობები და ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს ან აფერხებს მოსწავლის წინსვლას, მივიღოთ სათანადო ზომები წინსვლის ხელშესაწყობად და სუსტი მხარეების გასაძლიერებლად.

ნაშრომის სიახლე და პოტენციური წვლილი არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებაში

ჩემი აზრით:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წახალისებული უნდა იყოს ის კვლევითი საქმიანობა, რომელიც მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის, ზოგადი განათლების, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების ამაღლება-გაუმჯობესებას ემსახურება;
- კვლევებში უფრო მეტი მოსწავლე და მშობელი უნდა იყოს ჩართული;
- კვლევაში მონაწილეთა წახალისება უნდა იყოს ორიენტირებული მათი შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე;
- მასწავლებელთა მიერ წამყვანობისა და მენტორობის სტატუსის მოსაპოვებლად განხორციელებული კვლევები უნდა აისახოს ერთ მთლიან ცენტრალიზებულ ბაზაში. გამოკვეთილ პრობლემებზე მასწავლებლებთან ერთად უნდა იმსჯელონ განათლების ექსპერტებმა, მოხდეს მონაცემთა საერთო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, კვლევების შედეგების შეფასება.
- დასკვნების საფუძველზე შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი თუ ხედვა, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემების დაძლევაში.

ხათუნა ლომიძე

ჭიათურა, N2 საჯარო სკოლა

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ქიმიის სწავლებისას

დღეისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვას. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც მეცნიერულ კვლევათა პროდუქტი, დიდწილად განსაზღვრავს განათლების მომავალს.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ეხმარება მოსწავლეს, გამოავლინოს და განავითაროს ისეთი უნარები, როგორებიცაა:

- მიზნის გაცნობიერება;
- ადრე მიღებული ცოდნის აქტიური რეპროდუქცირება;
- მზა წყაროებზე დაყრდნობით ცოდნის შევსება;
- კვლევა-ძიების დამოუკიდებლად წარმართვა;

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თვისებრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი,

მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები, განახორციელოს სწავლებისადმი შემოქმედებითი მიდგომები, მოახდინოს სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაცია, ინტენსიფიკაცია, რათა მიღწეულ იქნას სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოზიტიური და დადებითი გავლენა მოსწავლეებზე.

მისი ინტერაქტიურობა და თვალსაჩინოება უზრუნველყოფს სასწავლო მასალის

მაღალ დონეზე ვიზუალიზაციას, რაც აადვილებს მის გაგებასა და თვალთ აქმულს უკეთ შეიმეცნებენ.

სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობებს, შექმნან, შეინახონ, გადაამუშავონ ინფორმაცია და ეფექტურად წარუდგინონ ის მოსწავლეებს. ამ ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს წინასწარი გეგმის შედგენას. დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ძირითადი ფაქტორები: მის ხელთ არსებული ძირითადი ტექნიკური და ინტელექტუალური ბაზა, სასწავლო მასალის თემატიკა, მოსწავლეთა კომპეტენცია ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენების მიმართებით და სხვ.

კომპიუტერის გამოყენება სასკოლო პრაქტიკაში შესაძლებელია შემდეგი მიმართულებით:

- კომპიუტერი, როგორც ცოდნის მკონტროლებელი საშუალება;
- პრაქტიკული სავარჯიშოების კომპიუტერული მოდელირება;
- ინფორმაციული ტექნოლოგია, როგორც ახალი მასალის ახსნის საილუსტრაციო საშუალება;
- კომპიუტერი, როგორც თვითნასწავლი საშუალება;

ქიმიის გაკვეთილზე ისტ-ის გამოყენება ამ ოთხივე მიმართულებითაა შესაძლებელი. არსებობს პროგრამები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ონლაინ ტესტებისა და მცირე ქვიზების შექმნა, მათი გაგზავნა მოსწავლეებისათვის, პასუხების მიღება და გასწორებული ტესტების დაბრუნება. ერთერთია Edmodo, მასწავლებელმა შექმნას ონლაინ კლასი, დაამატოს მასში მოსწავლეები და მათთან ელექტრონულ ფორმატში იმუშავოს. არანაკლებ გამოსადეგია ყველასთვის ნაცნობი „მესენჯერი“, სადაც ასევე შესაძლებელია „ჩეთის“ გაკეთება, დავალებების გადაგზავნა და პასუხების მიღება. ასეთი აქტივობები ყველა საგანს გამოადგება და ბავშვებიც ხალისით ერთვებიან მასში.

ახალი მასალის ახსნისა და ინტერაქტიული გაკვეთილის წარმართვისას კარგად მუშაობს power point-ში გაკეთებული პრეზენტაციები, სადაც შეიძლება განთავსდეს გაკვეთილის მიზნები, შეკითხვები, ილუსტრაციები, ვიდეოები, ინსტრუქციები დავალებებისათვის და ა.შ. ეს პროგრამა კარგად მუშაობს მაშინ, როდესაც მოსწავლეებს წარმოსადგენი აქვთ თავიანთი ინფორმაციები გარკვეული თემისა თუ საკითხის შესახებ.

საილუსტრაციოდ გამოიყენება youtube-ზე განთავსებული ვიდეორგოლები, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის ექსპერიმენტის ჩატარება, მისი ჩანაცვლება სწორედ ვიდეო-ექსპერიმენტითაა შესაძლებელი. აქვე შეიძლება თვალსაჩინოდ მოვახდინოთ იმ საკითხების ახსნა, რომლის წარმოდგენაც მოსწავლეებს უჭირთ (მაგ. ქიმიური ბმები, ჰიბრიდიზაცია და სხვ.). ამავე მიზნით გამოიყენება ვირტუალური ლაბორატორიებიც, რომლებიც განთავსებულია საიტზე: phet.colorado.edu.

ტესტების შედგენისა და ქიმიური ფორმულების (განსაკუთრებით ორგანულ ქიმიაში) ჩასაწერად კარგი პროგრამაა ChemSketch.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ტექნოლოგიური რესურსებისა, რომლებიც წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ქიმიისა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას, რათა მოსწავლეებს გაუძლიერდეთ საგნის შესწავლის ინტერესი და გამოიჩინონ მეტი აქტივობა სასწავლო პროცესში.

უცხო ენის, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის სექცია

დალი დოლიძე

თბილისი, N126 და N32 საჯარო სკოლები

საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე

დღევანდელ დროში სწავლების პროცესის ორგანიზება კომპიუტერულ ტექნოლოგიების გარეშე წარმოდგენილად მიმაჩნია. ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

მუსიკის გაკვეთილზე გამოიყენება: აუდიო და ვიდეომასალა, საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები, მულტიმედიური აღჭურვილობა.

მუსიკის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა-სტანდარტი მუსიკის სწავლებისადმი ახლებურ და თანამედროვე მიდგომას ითვალისწინებს - მუსიკის სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ით. გაკვეთილები ძირითადად შედგება პრაქტიკული და სახალისო აქტივობებისგან, რაც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. სასწავლო პროგრამის მიხედვით არის მოცემული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ბუკებისა და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ის (audacity, LMMS) საშუალებით უნდა შესრულდეს.

ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილებს ხდის უფრო ინფორმაციულს, მრავალფეროვანსა და, რაც მთავარია - თანამედროვეს. შეიცვლება მოსწავლის როლი: სწავლის პროცესში პასიური მსმენელისგან გადაიქცევა აქტიურ მონაწილედ.

რესურსებით სწავლება

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები:

ეროვნული სასწავლო გეგმა გვაძლავს არაერთფეროვან სწავლებას. სწორედ ამ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ ვგეგმავთ გაკვეთილს და, ვცდილობთ, რომ ყველა აქტივობა იყოს სახალისო და სასწავლო პროცესი -საინტერესო.

რესურსების მნიშვნელობა გაკვეთილზე:

რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია გაკვეთილზე გამოსაყენებელ რესურსზე. მართალია, სახელმძღვანელოში გვაქვს რესურსები, მაგრამ ისინი ხშირად გამოუსადეგარია თუნდაც იმიტომ, რომ ბეჭდის ხარისხი დაბალია, ან არ ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

მოსწავლეები და თანამედროვე ტექნოლოგიები:

დღეს ყველა შეშფოთებას გამოთქვამს სკოლის მოსწავლეების კომპიუტერსა და ტელეფონზე განუსაზღვრელი ვადით მიჯაჭვულობის გამო. ანალოგიური პრობლემა ჩვენც გვქონდა. გადავწყვიტეთ, რომ მასწავლებლებს გვეთამაშა დიდი როლი და მოსწავლეების ყურადღება გადაგვეტანა ციფრული საგანმანათლებლო თამაშების შექმნასა და გამოყენებაზე.

საკუთარი პრაქტიკის გაზიარება მოსწავლეების მიერ შექმნილ რესურსებზე:

არავისთვის არაა სიახლე ის ფაქტი, რომ მოსწავლეებს მოსწონთ თვალსაჩინოებით სწავლება.

მინდა გაგიზიაროთ პრაქტიკა, რომლითაც უკვე დიდი ხანია ვმუშაობთ. წლების განმავლობაში ჩვენი მოსწავლეები ქმნიან სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეხმარება მათ და მათივე თანატოლებს მასალის უკეთ აღქმასა და გაგება-გამოყენებაში. ისინი სასწავლო რესურსებს ქმნიან kinemaster, Camtasia-სა და სხვა პროგრამებში. ჩვენი დახმარებით, მოსწავლეები ამა თუ იმ მასალას უხსნიან თანაკლასელებს მათ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსებით, ისე როგორც თვითონ გაიგეს. ხშირად მათი ასახსნელი ენა უფრო მათივე და გასაგებია თანატოლებისათვის.

ყველაზე მთავარია ის, რომ ეს რესურსები მორგებულია სასწავლო მიზანს.

მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსებით სწავლების შედეგი:

სასწავლო რესურსების შექმნისას მოსწავლეს უვითარდება წარმოსახვის უნარი, იზრდება მოტივაცია და სასწავლო პროცესში ჩართულობა, მასალის აღქმის უნარი. შედეგი ორმაგდება როდესაც ეს რესურსი თვითონ მოსწავლის მიერაა შექმნილი. ის ცდილობს თანატოლებში გაზიარებას, ხსნის მისთვის გასაგებ ენაზე, მათულობს მეორე მხრიდანაც დაინტერესება, ჩართულობის ხარისხი და, უნდა ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტები მიღწეულია.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

ზოგადი განათლების სფეროში მოსწავლის მომზადება მაღალგანვითარებულ ინფორმაციულ გარემოში პროფესიული საქმიანობისა და დამკვიდრებითვის მთავარ პრიორიტეტად რჩება, რაც დღეს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე უკვე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე სკოლა.

დღეს სკოლებში ფართოდ ინერგება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ეს არის არა მხოლოდ კომპიუტერები, არამედ Smart Board ინტერაქტიული დაფები, მედიაპროექტორები, LCD პანელები და ა.შ., რაც უფრო თვალსაჩინოსა და საინტერესოს ხდის პროცესს, კერძოდ, ციფრული რესურსების გამოყენებისას, გაკვეთილი ხდება მიმზიდველი, რაც ზრდის მოსწავლეთა აქტიურობას, ინტერესსა და ჩართულობას. შედეგად საგანმანათლებლო პროცესი ბევრად ეფექტიანი ხდება. ჩვენი მოსწავლეები მზად უნდა იყვნენ ციფრულ გარემოში ინტერგრაციისთვის და ამ ამოცანის გადაჭრას ხელს უწყობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასობრივი დანერგვა საგანმანათლებლო პროცესში.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი მიზნებია:

- სწავლის მოტივაციის გაზრდა;
- სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდა;
- მოსწავლეთა შემეცნებითი მხარის გააქტიურების ხელშეწყობა;
- საკუთარი სამუშაოს სისტემატიზაცია და დაგეგმვის ორგანიზება;
- ხარისხიანად და სწრაფად გაკვეთილისთვის მომზადება.

მთავარი ამოცანაა განვიხილოთ საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ის გამოწვევები, რომლებიც მასწავლებლების მიერ ინტერნეტრესურსების პრაქტიკულ გამოყენებას ეხება. თემაში განხილულია სასწავლო პროცესში ისეთი ინტერნეტრესურსების გამოყენების შესაძლებლობები, როგორცაა: LearningApps, Kahoot, Quizizz, Quizlet, Wakelet, Flipgrid, Spreaker, Sway და ა.შ. გარდა ამისა, მოკლედ მიმოხილულია საქართველოს სკოლებში დისტანციური სწავლების დანერგვის საკითხები.

Be a museum curator

მუზეუმების თემა აქტუალურია. XXI საუკუნეში, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ დადებითი დამოკიდებულება, როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ. შეისწავლონ და გაიცნონ, როგორც მშობლიური, ასევე უცხოური მუზეუმები, პარალელი გაავლონ მშობლიურ კულტურასა და სხვა ქვეყნის კულტურულ რეალიებს შორის. მოსწავლეებმა იმსჯელონ და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები არგუმენტის მოყვანით. ასევე გახდნენ მუზეუმის მეგობრები.

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ კითხვის სტრატეგიების გამოყენებას, ინფორმაციის დამუშავებას, აზრის მკაფიოდ გადმოცემას, დასკვნების გაკეთებას, მათ მიეცემათ ცოდნის ტრანსფერის საშუალება. გამჭოლი კომპეტენციები—წიგნიერების განვითარება.

აქტივობები: დავგეგმე უცხოურენოვანი პროექტი. ვესტუმრეთ ხელოვნების მუზეუმს. დავათვალიერეთ გიდის დახმარებით. მოსწავლეებმა გაიაზრეს და დაახარისხეს ინფორმაცია. მოსწავლეებს მივეცი დავალება, დაემზადებინათ ბროშურები, ლიფლეტები, კატალოგი და ინსტრუქციების წიგნი. დავალება უნდა შეესრულებინათ ხელნაწერი, ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. ვადები განვსაზღვრეთ, შექმნეს მრავალფეროვანი რესურსი. გამოთქვეს მოსაზრება, რომ მცირე დროით გახდებოდნენ მუზეუმის კურატორი. მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაცია.

ინოვაციურობა: პროექტი ინოვაციურია, მოსწავლეებმა ინტერნეტის დახმარებით დაათვალიერეს როგორც ქართული, ასევე უცხოური მუზეუმები. შექმნეს ელექტრონული, ნაბეჭდი და ხელნაწერი რესურსები, რომელიც ნამდვილად ღირებულია. მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ მუზეუმების კურატორობაზე თანახმა არიან.

შედეგი: მუზეუმში ვიზიტით და ზოგადად მუზეუმების შესწავლით, მოსწავლეებს გაუჩნდათ ინტერესი კულტურული ღირებულებების მიმართ. შეისწავლეს მუზეუმთან დაკავშირებული ლექსიკა და გამოიყენეს. გამოთქვეს საკუთარი აზრი მოძიებულ თუ უკვე ნანახ მასალასთან დაკავშირებით. შექმნეს რესურსები. დაინტერესდნენ ქართული და უცხოური მუზეუმებით, აღმოაჩინეს მსგავსება-განსხვავება. სურვილი აქვთ მცირე პერიოდით გახდნენ მოხალისე - მუზეუმის კურატორები.

მოტივაციის როლი და მნიშვნელობა უცხო ენების სწავლების პროცესში
(საკუთარი პრაქტიკის გაზიარება)

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს. უცხოური ენის შესწავლა ემსახურება საქართველოში სასკოლო განათლების მთავარი მიზნის განხორციელებას - თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სკოლა უცხოური ენის ათვისების მთავარი წყაროა. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სავალდებულოა ორი უცხოური ენის სწავლება. ინგლისური არის პირველი უცხოური ენა და, აქედან გამომდინარე, სასკოლო გარემოში მისი შესწავლა ხდება პირველი კლასიდან XII კლასის ჩათვლით. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მეორე უცხოური ენა ისწავლება V კლასიდან XII კლასის ჩათვლით. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018: მუხლი 67) . ასეთ ვითარებაში, სადაც მოსწავლეს უწევს ერთ უცხოურ ენის სწავლების პროცესში კიდევ ერთი ენის სწავლების დაწყება საჭიროა მისი დაინტერესება და მოტივირება. ვფიქრობ, ამასთან ერთად ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამო, შეიცვალა რუსული ენისადმი დამოკიდებულება და დაინტერესება, რაც თავის მხრივ აქვეითებს მოტივაციას. ამიტომ მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს ისეთი აქტივობები და გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები, რომ გააღვივოს მოსწავლეებში უცხოური ენისადმი, რუსული ენის, სიყვარული და მისი შესწავლის სურვილი. ენა ძირითადად მაინც ურთიერთობისთვის გამოიყენება. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ უცხოური ენის როგორი ფლობის დონეს ვლენულობთ, არის ჩვენი დამოკიდებულება უცხო კულტურის მიმართ. თუ ეს დამოკიდებულება უარყოფითია, ამან შეიძლება სწავლასაც ხელი შეუშალოს, და თუ სწავლა ძალდატანებითია, ის ცოტა ხანს გაგრძელდება.

მოსწავლეთა მოტივირება და ჩართულობა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით კრეატიული საკითხია პედაგოგიკაში. მოსწავლეები კოგნიტიურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართული უნდა იყვნენ პროდუქტიულად საკლასო აქტივობებში.

ამიტომ 2018-2019 სასწავლო წელს გადავწყვიტე კვლევის ჩატარება მეექვსე კლასში.

მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე ინტერვენციის ისეთი მეთოდები, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა როგორც მოსწავლეების გააქტიურებასა და სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებისაკენ, ისე ჩემი საქმიანობის გამრავალფეროვნებასა და სიახლეების შეტანაზე.

ინტერვენცია დავგეგმე კლასისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესისთვის შევარჩიე თანამედროვე აქტიური მეთოდები, რაც დამეხმარა სასწავლო მასალის ათვისებაში აქტიური სააზროვნო და პრაქტიკული ქმედებებით, რომლებიც

ითვალისწინებს არა მზა ცოდნის ათვისება/დაზეპირებას, არამედ მოსწავლეების მიერ ცოდნისა და უნარის განვითარებას მათ აქტიურ სააზროვნო და პრაქტიკული გამოყენების ფაზაზე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდა შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

- ჯგუფებსა და წყვილებში მუშაობის ფორმის გამოყენებამ სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური და ხალისიანი გახადა მოსწავლეებისათვის, მაგრამ ჯგუფების დაკომპლექტებისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ინტერესები;
- საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გასააქტიურებლად მნიშვნელოვანია საგაკვეთილის პროცესში მრავალფეროვანი სასწავლო-შემეცნებითი აქტივობების, როლური თამაშების, კოგნიტური სქემების, გამოყენება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით;
- მოსწავლეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და სასწავლო მოტივაციას ამძღვრებს ხელნაკეთი და ელექტრონული რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, როგორცაა: Learningapps.org და სხვა მულტიმედია რესურსები;
- სახელმძღვანელოების გარდა სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს ისეთი მასალები, როგორცაა - ავთენტური ტექსტები და სავარჯიშოები, რომელიც დაეხმარება და გაუადვილებს მოსწავლეებს სწავლის პროცესს;
- უცხო ენების სწავლების დაწყებით ეტაპზე არსებული სირთულეებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში და დავალებების შესრულებისას მშობლებთან აქტიური და ინტენსიური თანამშრომლობა;
- სასწავლო პროცესისა და საგაკვეთილო ეფექტური მეთოდების გამოსაყენებლად აუცილებელია კოლეგებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, მათი პროფესიული გამოცდილებიდან საუკეთესო სტრატეგიების გამოყენება.

ნელი გვიშიანი

თბილისი, N100 საჯარო სკოლა

თანამედროვე ტექნოლოგიები ახალი სკოლის მოდელის გაკვეთილებზე

- ახალი სკოლის მოდელის გაკვეთილებზე სწავლა-სწავლების პროცესი;
- სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის პრინციპები;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო ეფექტების გასაუმჯობესებლად;
- ინოვაციური ტექნოლოგიების გაკვეთილზე დანერგვის გზები.

ზეპირმეტყველების უნარის (ლაპარაკი) განვითარება ინგლისური ენის სწავლების პროცესში

უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის, ისე მასწავლებლისაგან. ენის სწავლა/სწავლებისას უამრავი ელემენტია გასათვალისწინებელი და ეფექტური შედეგების მიღებას მხოლოდ ყველა ელემენტის სასწავლო პროცესში ჩართვა განაპირობებს. უცხო ენის სწავლება ძირითადად ოთხი მიმართულებით მიმდინარეობს: მოსმენა, საუბარი, წერა და კითხვა. ოთხივე უნარ-ჩვევა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და იმისთვის, რომ უცხო ენის შესწავლა წარმატებით განხორციელდეს, ოთხივე მიმართულების განვითარება შესაფერისი აქტივობების დაგეგმვით თანაბარ დონეზე უნდა მიმდინარეობდეს. მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი წარმატებები მიიღწევა თითოეულ ასპექტში, რადგანაც მათ ერთობლიობას მიჰყავს ისინი სასურველ შედეგამდე. ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ზეპირსიტყვიერების განვითარება.

ზეპირმეტყველების (სასაუბრო) უნარის განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხო ენის სწავლების პროცესში, ვინაიდან ის კომუნიკაციის ძირითადი წყაროა. თუმცა ამ უნარის განვითარება ამავდროულად პრობლემურიცაა, რამდენადაც თითოეული მოსწავლე გამოირჩევა ინდივიდუალურობით, ამიტომაც, როდესაც საუბარია ზეპირსიტყვიერების განვითარებაზე, გარდა აქტივობების დაგეგმვისა, გასათვალისწინებელია მოსწავლეების სოციალური უნარებიც, როგორცაა: თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, მოტივაცია. აუცილებელია საკლასო გარემოში მასწავლებელი მუდმივად მუშაობდეს თვითშეფასების უნარების გაზრდაზე, რადგანაც მოსწავლეს მეტი თვითდაჯერებულობა შემატოს. ზეპირმეტყველების უნარის განვითარებას ახლავს უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგ: შიში ან სიმორცხვე, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც სასაუბრო თემის ირგვლივ შესაფერისი ლექსიკური ან გრამატიკული ერთეულებისა და სტრუქტურების არცოდნით, ასევე შეცდომის დაშვების შიშით. ამიტომ მასწავლებელმა ზეპირმეტყველების აქტივობების შერჩევასას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების სოციალური და ემოციური განვითარების დონე. საინტერესო და, სახალისო აქტივობების გარდა, მოსწავლეებისთვის აუცილებელია ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე იგრძნობს მასწავლებლის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას და არ ექნება შეცდომის დაშვების შიში.

მეხუთე კლასში მუშაობის შედეგად, თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებში ზეპირსიტყვიერების (ლაპარაკი) განვითარების დონე საგრძნობლად დაბალი იყო, სტანდარტით გათვალისწინებულ სხვა მიმართულებებთან შედარებით, როგორცაა, წერა და კითხვა. კათედრაზე სამუშაო შეხვედრის დროს აღმოჩნდა, რომ იმავე სახის პრობლემამ იჩინა თავი პარალელურ კლასშიც. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ერთობლივი კვლევა. მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად ჩვენთვის, როგორც პედაგოგებისათვის, გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი რამდენიმე საკვანძო საკითხი:

- 1) სიტყვების არასრულყოფილი მარაგი, რაც ხელს უშლიდა მათ აზრის გამოთქმაში;
- 2) დაბალი თვითშეფასება;

3) შეცდომის დაშვებისა და თანაკლასელებისგან მოსალოდნელი დაცინვის შიში;

4) მათი აზრის მიუღებლობის შიში სხვა მოსწავლეებისათვის.

პრობლემის მოგვარების მიზნით დავგეგმეთ სხვადასხვა სახის ინტერვენციები:

1) მეთოდი - როლური თამაშები;

2) მეთოდი- აფიშის/წიგნის ყდის დამზადება და პრეზენტაცია;

3) მეთოდი - „სიტყვების სკივრი“;

4) მეთოდი - ტრანსკრიპციის ამოცნობა და ლექსიკონზე მუშაობა;

5) მეთოდი - დისკუსია;

6) „ყველაზე ჭკვიანი“;

7) მეთოდი- სკეტჩი „ჭიანჭველა და კალიას სასამართლო პროცესი“.

კვლევის მიმდინარეობისას ჩატარებულმა ინტერვენციებმა გაზარდა მოსწავლეების მოტივაცია, რამაც ხელი შეუწყო დასახული მიზნების დადებითად განხორციელებას. პასიური მოსწავლეების გააქტიურება თვალნათლივ გამოჩნდა კვლევის მიწურულს. უმრავლესობამ სძლია სიმორცხვეს და თამამად გამოხატავდა საკუთარ აზრს.

მოსწავლეები ცდილობდნენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რადგანაც გადალახეს ენობრივი ბარიერი სხვადასხვა აქტივობებით, რომელიც მუდმივად მქონდა დასახული, გაიზარდა მათი ლექსიკური მარაგი, რამაც თავის მხრივ გაუმჯობესა მოსწავლეებს, როგორც ზეპირ-სიტყვიერების (სალაპარაკო), ასევე სოციალური და ემოციური უნარები, შემოქმედებითობა, ფანტაზიის უნარი, პროდუქტულობა და თავდაჯერებულობა.

სოფიკო მირცხულავა

ეკატერინე მილორავა

სენაკი, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

"Media mix" („მედია მიქსი“)

პროექტის აქტუალობა

დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში მეტად საინტერესოდ განვითარდა ქართული მედია. იგი თანდათან იხვეწება და უახლოვდება საერთაშორისოდ აღიარებულ მედიასტანდარტებს, თუმცა ამავდროულად საგულისხმოა, რომ მედიასაშუალებები საზოგადოების მხრიდან ყოველთვის არ იმსახურებს ნდობას. დღევანდელობაში სოციალური მედია და სოციალური ქსელები ისეთივე პოპულარულობით სარგებლობს, როგორც ტრადიციული მედიასაშუალებები (გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია თუ რადიო). აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ნდობა როგორც ერთი, ისე მეორე სახის მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციისადმი არ არის ყოველთვის ერთგვარი. სამწუხაროდ, მოსწავლეებში არსებობს ინფორმაციის დეფიციტი. არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას. მწირი ინფორმაცია მოეპოვებათ მედიასა-

შუალელებზე და მათ დადებით-უარყოფით ზეგავლენაზე, რასაც ისინი ახდენენ მომხმარებლებზე/საზოგადოებაზე. ვერ აცნობიერებენ მედიაზე დამოკიდებულების მავნე ჩვევას. პრობლემა გამოვლინდა საგაკვეთილო პროცესში. საკითხზე მსჯელობის დროს მოსწავლეებს გაუჭირდათ აზრის ინგლისურად გადმოცემა. ვერ გამოავლინეს საკმარისი ცოდნა, გაუჭირდათ არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება და არგუმენტების მოყვანა. მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია მედიაზე, აგრეთვე, პრობლემები გამოიკვეთა გრამატიკული დროების Present simple/Past simple გამოყენებისას.

ვფიქრობთ, რომ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მცირე ინფორმაციის გადმოცემა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე მედიასაშუალებებზე საუბრის დროს. ამ პრობლემის გამოსასწორებლად გადავწყვიტეთ განგვეხორციელებინა მოკლევადიანი პროექტი თემაზე „Media mix“. რადგან პროექტული სწავლება სწორედ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ იწვევს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ პროექტის უმთავრესი დანიშნულება გახლავთ გავლერძაოთ მოსწავლეს – ცოდნა, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარები, დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა საქმისადმი და ასე მივაღწიოთ დასახულ მიზანს. მოსწავლისთვის ეს საშუალებაა დამოუკიდებლად დაგეგმოს, გამოიკვლიოს, განახორციელოს, მრავალი კუთხით შეხედოს ერთსა და იმავე პრობლემას, გააშუქოს, იმსჯელოს და საინტერესო გახადოს ცოდნის დაგროვების პროცესი.

პროექტის მიმდინარეობის პროცესში აქტიურად ვუწევდით მოსწავლეებს მონიტორინგს, ვაკვირდებოდით სწორი მიმართულებით მიმდინარეობდა თუ არა მუშაობის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ვუწევდით დახმარებას ინფორმაციის მოპოვებასა თუ დახარისხებაში, იმ დაბრკოლებების გადალახვაში, რამაც შეიძლება თავი იჩინოს უცხოენოვანი პროექტის განხორციელებისას, კერძოდ, ენობრივი ბარიერის გადალახვაში.

გამოყენებული აქტივობები:

- ინფორმაციის მოძიება-კვლევა
- რესურსების შექმნა
- ინტერვიუ
- დისკუსია
- პრეზენტაცია
- დასკვნითი გაკვეთილი
- სამუშაო დრო განვსაზღვრეთ 1 თვით.

მოსწავლეები შემოქმედებითად მიუდგნენ დავალებას, საწყის ეტაპზე შეიმუშავეს საპროექტო იდეა, მათ ერთად დაგეგმეს პროექტი, გაინაწილეს ფუნქციები, შექმნეს სლაიდები, მოიძიეს ვიდეორგოლები, დაამზადეს დეკორაციები, გააფორმეს საპრეზენტაციო ადგილი, ჩაწერეს ინტერვიუ, მოიფიქრეს სლოგანები. პროექტის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ გახლდათ - სასწავლო რესურსების შექმნა. უკვე გადამუშავებული ინფორმაცია წარმოადგინეს აუდიტორიის წინაშე სლაიდების, პოსტერების, ვიდეოს სახით.

მოსწავლეებმა პროექტის გეგმის მიხედვით თანმიმდევრულად წარმოადგინეს დავალებები:

შესავალი: მოსწავლეები აქტიურად ჩართვნენ პროექტში, დამოუკიდებლად მოიპოვეს მასალები. ერთმა ჯგუფმა აქტიურად გამოიყენა ინტერნეტრესურსები და ბიბლიოთეკა. დაამზადეს სლაიდები და მოიძიეს ვიდეორგოლები. მეორე ჯგუფი კი გავიდა სკოლის მიმდებარე

ტერიტორიაზე, შეაგროვეს ინფორმაცია მედიასაშუალებების ზეგავლენაზე თანამედროვე საზოგადოებაზე, გამოკითხეს მოსახლეობა, დღის ბოლოს უზიარებდნენ მოპოვებულ მასალებს ერთმანეთს, აქტიურად თანამშრომლობდნენ.

მოსწავლეებმა ჯგუფებად წარმოადგინეს პრეზენტაციები: პირველი ჯგუფი: 1. პლაკატისა და სლოგანის პრეზენტაცია თემაზე – „რეკლამის ზეგავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე“; 2. სლაიდის ჩვენება აღნიშნულ თემაზე, სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს, თუ რამდენად დიდია რეკლამების ზეგავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე, შემოგვთავაზეს პრობლემის გადაჭრის გზები; 3. ვიდეორგოლის ჩვენება „რეკლამის ზეგავლენა“, სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ცხოველთა რეკლამაზე ბრმად ნდობამ და რამდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია სწორი ინფორმაციის ცოდნა.

მეორე ჯგუფი: 1. სლაიდის ჩვენება თემაზე „ტელევიზია“, სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს, თუ რამდენად დიდია მედიასაშუალებების ზეგავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე, შესაძლო საფრთხეებსა და ამ საფრთხეების თავიდან აცილების გზებზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ფოტოკოლაჟი, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ტელევიზორსა და ტექნოლოგიებზე ზედმეტად დამოკიდებულებამ.

გაკვეთილის მიზნები გვეხმარება მივაღწიოთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გარკვეულ შედეგებს, გარკვეული რაოდენობის ინდიკატორებით.

უცხ.ს. II.19. მოსწავლეს შეუძლია ნიმუშის მიხედვით შეადგინოს ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციული ხასიათის ტექსტები (*მაგ., საქმიანი განცხადება, ინტერვიუ, ტელეპროგრამა*).

უცხ.ს. II.30. მოსწავლეს შეუძლია უცხოურ ენაზე განახორციელოს სხვადასხვა ტიპის პროექტი.

უცხ.ს. II.33. მოსწავლეს შეუძლია რესურსების გამოყენება სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით

• მოიძიებს ინფორმაციას/სასწავლო მასალას ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (*ისტ/ინტერნეტის*) მეშვეობით;

- იყენებს ისტ-ს ამა, თუ იმ მასალის/ტექსტის შესაქმნელად/დასამუშავებლად;
- იყენებს ისტ-ს პროექტების განსახორციელებლად.

დასკვნა: პროექტ-გაკვეთილზე მუშაობა დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა. მოსწავლეებში პროგრესი აისახა როგორც ლექსიკური მარაგის გამდიდრების მხრივ, ასევე ინფორმაციულად. ბევრი ისეთი რამ შეიტყვეს და დაიმახსოვრეს, რაც აქამდე მათთვის უცნობი იყო. ასევე მათ ერთი და იგივე პრობლემას შეხედეს სხვადასხვა კუთხით.

საგანმანათლებლო პროექტების გამოყენება კარგი საშუალებაა მოსწავლეთა უნარებისა და მიდრეკილებების წარმოსაჩენად და განსავითარებლად, რადგან პროექტზე მუშაობა მოსწავლეს უვითარებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს, რაც მოსწავლეების ჩართულობას ზრდის და ეხმარება მათ სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში, რაც საბოლოოდ მათ აკადემიურ შედეგებზეც აისახება, რადან გუნდური მუშაობა მოსწავლეების პროდუქტულობის წინაპირობაა და ამის შემდეგ მათ უვითარდებათ კომუნიკაციის, შემოქმედებითი და სოციალური უნარები.

უსაფრთხო სკოლის სექცია

დარიკო თირქია

ხობი, სოფ. ბიის საჯარო სკოლა

უსაფრთხო სკოლა - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

მიზანი: სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებასა და სწავლასა და სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პრინციპებს (სასკოლო ცხოვრება, თანასწორობის პრინციპები, ინტერესების გათვალისწინება, უსაფრთხო გარემო და სხვა);

კვლევის მეთოდოლოგია: ინტერვიუ; ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლე მიხვდება, რა პრობლემები აქვს მას და რა საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. გამოკითხვის საშუალებით შესაძლებელია მოსწავლის დამოკიდებულებების, ინტერესების, სწავლის პროცესში წამოჭრილი სირთულეების გარკვევა.

უსაფრთხო სკოლაზე მსჯელობისას აქცენტი მხოლოდ ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე არ უნდა კეთდებოდეს. მანდატურები, სათვალთვალო კამერები, გამართული ინფრასტრუქტურა, სკოლის შენობაში უცხო პირთა შესვლის აკრძალვა იმის გარანტიას ნამდვილად არ იძლევა, რომ მოსწავლეები და თანამშრომლები თავს დაცულად გრძნობდნენ.

უსაფრთხო სკოლა უნდა მოიაზრებოდეს და უნდა იყოს ერთიანობაში მოწესრიგებულ ფიზიკურ გარემოსთან და მოსწავლეების და თანამშრომლების ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ზრუნვაზე, დაცულობაზე, პატივისცემაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო ეს არის უმთავრესი გამოწვევა სასკოლო ცხოვრებაში ჩართული ნებისმიერი პირისათვის. გადაჭრის გზების ძიებაში ჩართული უნდა იყოს მთელი სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, თემი) სკოლის დირექტორის, როგორც ლიდერის (სასკოლო ცხოვრებისა და სასწავლო პროცესის) ხელმძღვანელობით. სკოლამ (დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები) უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა, მშობელთა და საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლაში უნდა იყოს კეთილგანწყობილი გარემო მშობლის ან საზოგადოების სხვა წევრის მიმართ, უნდა გაითვალისწინოს მათი რჩევები და რეკომენდაციები ისე, რომ ამას არ მოჰყვეს სასკოლო საზოგადოების გაღიზიანება.

თითველმა სკოლამ აუცილებლად უნდა ჩაატაროს კვლევა, თუ რა სურვილები და საჭიროებები გააჩნია მის მოსწავლეს, მშობელს, თემს, საზოგადოებას და აკმაყოფილებს თუ არა სკოლა თავისი მშობლის/საზოგადოების მოთხოვნებს. თუ სკოლას ყურადღების მიღმა არ დარჩება მორალური/ფიზიკური ძალადობის უმცირესი ფაქტი და მასზე გააკეთებს დროულ რეაგირებას პრევენციის მიზნით, თუ სკოლის ღირებულებები, მოლოდინები, ქცევის წესები უზრუნველყოფს თითველი წევრის ღირსების დაცვას და სრულფასოვან სოციალურ, აკადემიურ განვითარებას, მაშინ სკოლის თითველი თანამშრომელი და მოსწავლე გაიზიარებს სკოლის ღირებულებებსა და

ქცევის წესებს, რაც მათ ყოველდღიურ ურთიერთობებსა და სხვა საქმიანობაზე აისახება (დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა, ზრუნვა სასკოლო გარემოზე და სხვა).

უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისთვის აუცილებელია სკოლის დირექტორის მხრიდან შეფასებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეთა ავტონომიურობის ხელშეწყობა.

სწავლა-სწავლების ორგანიზებისათვის edmodo.com,

ტესტირებისა და ინდივიდუალური უკუკავშირის მისაცემად Google forms, მნიშვნელოვანი საკითხების გამოსაკითხად surveymonkey.com, სოციალური ქსელი და სხვა.

დოდო ხუციშვილი
თბილისი, N100 საჯარო სკოლა

ბულინგი

- ბულინგის აქტუალობა
- ბულინგის ტიპები
- ბულინგი სკოლაში და აღმოფხვრის გზები

ბულინგი

- ბულინგს მრავალი გამოვლენა აქვს: ფიზიკური, ვერბალური, სოციალური და კიბერ-ბულინგი.
- ფიზიკური ბულინგი მოიცავს სხვა ადამიანის სხეულის ან მისი კერძო საკუთრების დაზიანებას.
- ვერბალური ბულინგი თავის თავში შეიცავს დაცინვას, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას, ემოციურ ზეწოლასა და ა.შ.
- სოციალური ბულინგი არის სხვისი რეპუტაციის შელახვა საზოგადოების თვალში. კიბერ-ბულინგი მოიცავს ონლაინ დამცირებასა და სხვისი პირადი ინფორმაციის გავრცელებას.
- ბულინგი არის ძალადობის ის ფორმა, როდესაც დომინანტი ადამიანი ჩაგრავს მასზე სუსტ ან დაუცველ პერსონას. ბულინგი ყველგან გვხვდება, მაგრამ უფრო ხშირად სკოლებში აღინიშნება. მას ახასიათებს განმეორება, აგრესია, იგი დაფუძნებულია მჩაგვრელის პირადი ინტერესების განხორციელებაზე მსხვერპლის დამცირების გზით. ასეთი საქციელი ძირითადად გამიზნული და დაგეგმილია. ჩაგვრა სკოლაში ჩვეულებრივი და თითქმის ყოველდღიური მოვლენა გახდა, რამაც საზოგადოება სერიოზული შედეგების წინაშე დააყენა. ბულინგის მსხვერპლები არიან დაუცველები, გააჩნიათ დაბალი თვითშეფასება, იშვიათად შეუძლიათ თავის დაცვა, არიან ნერვიულები, ვერ აღიქვამენ თავს სოციუმის სრულფასოვან წევრად და არ შეუძლიათ მეგობრების შეძენა. ფიზიკური და მენტალური ტკივილის გადასაფარად ბევრი მათგანი მიმართავს თვითმკვლელობას, ალკოჰოლს, ხდება ნარკოდამოკიდებული, უკიდურეს შემთხვევაში კი ყველაფერი თვითმკვლელობით შეიძლება დასრულდეს.
- ბულინგი სკოლებში უკვე დიდი ხანია, რაც მიმდინარეობს. იგი სკოლის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება; მაგალითად, დერეფნებში, საპირფარეოში და სასკოლო ოთახებშიც კი. ეს ქმედება ხორციელდება მჩაგვრელთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მოსწავლეებს დასცინიან, შეურაცხყოფას

აყენებენ და ზეწოლას ახდენენ მათზე. ზოგჯერ მასწავლებლები და სასკოლო ადმინისტრაციის წევრებიც ხდებიან ჩაგვრის მონაწილეები და ხშირად ბავშვებს ძალადობისკენ უბიძგებენ.

- გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გარემო ფაქტორები, მათ შორის ოჯახური ძალადობა, სიყვარულისა და სითბოს დეფიციტი მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე და მასში მჩაგვრელის ჩამოყალიბებას იწვევს.
- სტატისტიკის მიხედვით, 5-დან ერთ ადამიანს, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 20.8%-ს დაჩაგვრის შესახებ შეაქვს საჩივარი.
- (National Center for Education Statistics, 2016).
- 80 გამოკვლევის ანალიზმა გამოაჩინა, რომ 12-18 წლამდე მოზარდები ბულინგს აფასებენ როგორც ტრადიციულ ბულინგს, ხოლო 15%-ს - კიბერბულინგს.
- (Modecki, Minchin, Harbaugh, Guerra, & Runions 2014).
- ამ მოსწავლეების 33%, რომლებიც ჩაგვრას უჩივიან, აცხადებენ, რომ სკოლაში ჩაგვრის ეპიზოდები მინიმუმ თვეში ორჯერ ან ერთხელ ხდება. ჩაგრული მოსწავლეების განცხადებით ბულინგი ძირითადად შემდეგ ადგილებში ხდება: დერეფანი ან კიბეები (42%); სასკოლო ოთახები (34%); სასადილო (22%); სკოლის ეზო (19%); სასკოლო ავტობუსი (10%) და საშხაპეები ან გასახდელეები (9%).
- (National Center for Education Statistics, 2016).
- კვლევების თანახმად ქალები უფრო ხშირად აცხადებენ ბულინგის შესახებ, ვიდრე კაცები (23/19%), მაგრამ კაცები უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური ზეწოლის მსხვერპლები (6/4%) (National Center for Education Statistics, 2016). მოსწავლეებში ჩაგვრის მიზეზი უმეტესად ხდება გარეგნობა, რასობრივი ან ეთნიკური ნიშანი, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობები, რელიგია და სექსუალური ორიენტაცია.
- (National Center for Education Statistics, 2016).
- სტატისტიკის მიხედვით, ადამიანების 54% არასდროს ყოფილა ბულინგის მსხვერპლი, 46% კი ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაჩაგვრულა. ჩაგვრის მსხვერპლთა 37%-ს შფოთვა დაემართა, 32% ჩავარდა დეპრესიაში, ხოლო 24%-ს გაუჩნდა სუიციდისკენ მიდრეკილება.
- (www.ditchthelabel.com)
- დაახლოებით 160 000 მოზარდს გაუცდენია სკოლა ბულინგის გამო (dosomething.org)

მიღებულია ანტიბულინგური ქცევის ალგორითმი:

1. როდესაც ხედავ ბულინგის გამოვლინებას, მჩაგვრელს უნდა მოუწოდო, რომ გაჩერდეს.
2. მეორე ნაბიჯი - გამოიჯენა; როცა არ აპყვები და გვერდზე გადიხარ.
3. თუკი ეს არ ჭრის, მაშინ უნდა შეატყობინო საიმედო, უფროს ადამიანს.

„ამ კულტურის ჩვენთან დანერგვას ბევრი სირთულე ახლავს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ თუ ბავშვი განცხადებას აკეთებს, რომ მასზე ან სხვაზე ძალადობენ, მერე ის თვითონ ხდება ბულინგის მსხვერპლი. ჩვენს კულტურაში მას „ჩამშვები“ ეწოდება. ამ კულტურული „ნორმის“ გამო ბულინგის შემთხვევების იდენტიფიკაცია რთულდება. ხშირ შემთხვევაში ის შეიძლება ზედაპირზე არ ჩანდეს, ამის დასაფიქრებლად ძალიან მახვილი თვალი სჭირდებათ მასწავლებლებსაც და თავად მოსწავლეებსაც“ - ამბობს მაია ცირამუა.

(www.liberali.ge)

- არსებობს სხვადასხვა გზა და აქტივობა, რომელთა საშუალებით სკოლებს აღნიშნული პრობლემის მოგვარება შეუძლია:
- 1. ბავშვების სწორი ინფორმირება და პოზიტიური კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი ტრენინგების უზრუნველყოფა.

2. ანონიმური გამოსააშკარავებელი სისტემის დანერგვა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციას მყისიერი რეაგირებისა და დაზარალებულთა დახმარების საშუალებას მისცემს.
 3. ჩაგვრის საწინააღმდეგო კამპანიების ორგანიზება, შესაბამისი სლოგანების მოფიქრება და გაფორმება, რომლებშიც წამყვან როლს თავად მოზარდები უნდა ასრულებდნენ. (www.4motive.com)
- საუკეთესო გზა ბულინგის აღმოსაფხვრელად არის მჩაგვრელის იდენტიფიცირება და მასზე საჩივრის შეტანა. ბევრი რომ არ ვისაუბროთ, ბულინგის მსხვერპლის დასახმარებლად იდეალური გამოსავალი არის მასთან დამეგობრება, რადგან ცოტაოდენი სიკეთისა და სიყვარულის გაცემაც კი დაეხმარება მას, რომ მჩაგვრელს წინააღმდეგობა გაუწიოს. ბულინგი მხოლოდ მაშინ შეჩერდება, როდესაც ყველა მის წინააღმდეგ აღდგება!..

წყარო: www.essaylab.com; www.pacer.org.

ეკა ნულუპიძე

მესტია, სოფ. ფარის საჯარო სკოლა

მასწავლებელი - სათემო აქტივისტი

მოზარდის სრულფასოვან პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებაში მასწავლებელს და ზოგადად სკოლას გადამწყვეტი როლი აკისრია.

ალბათ საინტერესოა დავსვათ კითხვა, რა როლი ეკისრება მასწავლებელს არსებული გარემოსა და ადგილობრივი თემის განვითარებაში, შეუძლია თუ არა თემში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა?

როცა ხარ მასწავლებელი მაღალმთიან სოფელში, სადაც ახალგაზრდებისთვის არ არსებობს ალტერნატიული სივრცე, სადაც ისინი ვერ ახერხებენ განვითარებას, საკუთარ ინტერესებზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისების მიღებას, ბუნებრივია, გიჩნდება კითხვები, მე, როგორც მასწავლებელმა, რა გავაკეთო მათთვის, რა ვასწავლო, როგორ ვასწავლო, რომ შეძლონ საკუთარი ადგილის დამკვიდრება სოციუმში, რა მაგალითი მივცე, როგორც მოქალაქემ და თემის მკვიდრმა?

მასწავლებლის, როგორც სათემო აქტივისტის როლი, აქ იკვეთება. მასწავლებელმა უნდა გაიყვანოს ისინი საკლასო სივრციდან და ასწავლოს ფიქრი პრობლემებზე, აძებნინოს გადაჭრის გზები, ხელი შეუწყოს საკლასო ოთახში მიღებული ცოდნის ტრანსფერს და აუმაღლოს სოციალური სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს, როგორ შეცვალონ გარემო უკეთესობისკენ.

წლების განმავლობაში ჩვენს თემში დიდი პრობლემა იყო სტიქიური ნაგავსაყრელები, მოსახლეობის დაბალი ცნობიერება გარემოს დაბინძურების მიმართ და მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასუფთავების სერვისის გაუმართაობა.

მე და ჩემმა მოსწავლეებმა პირველებმა დავიწყეთ ფიქრი პრობლემის მოგვარებაზე, შევადგინეთ პროექტი, მოვიპოვეთ დაფინანსება, დავასუფთავეთ სტიქიური ნაგავსაყრელები, ჩავატარეთ თემში რამდენიმე ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგი, დავარიგეთ საინფორმაციო ბუკლეტები, თუმცა

პრობლემა ამით არ აღმოფხვრილა; ჩვენ დავდექით დიდი გამოწვევის წინაშე, სად წაგველო შეგროვილი ნაგავი? ამ პრობლემის მოგვარება უფრო დიდი, სათემო გრანტით შევძელი; დავიწყეთ მოლაპარაკება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და მივალწიეთ თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის საფუძველზე სოფელს მოემსახურებოდა დასუფთავების სამსახური.

სკოლაში არ გვქონდა ბიბლიოთეკა; სოფლის ბიბლიოთეკა იყო ნახევრად დანგრეულ შენობაში, სადაც მოსწავლეების შესვლა შეუძლებელი იყო; ამიტომ ბავშვები მნიშვნელოვნად იყვნენ დაშორებული წიგნს, მათ მაღალი პოლიგრაფიული წიგნი არც კი ენახათ; ეს წლებია (2013-14) მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავეთ საპროექტო იდეა და მოვიპოვეთ დაფინანსება, პარალელურად ხმა მივაწვდინეთ დავით ტურაშვილს, რომელმაც ასევე შეგვიგროვა წიგნები, თემში ჩავატარეთ აქცია „ერთი წიგნი თქვენგან ჩვენს თაროზე“; მოსახლეობამ სიმბოლურად გვაჩუქა 10 ლარი, ერთი წიგნის ფასი. გასულ წელს, კოალიცია განათლება ყველასათვის - საქართველოს დაფინანსებით შევიძინეთ წიგნები და კომპიუტერები და განვაახლეთ ბიბლიოთეკა. ვფიქრობ, სკოლა ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია თემში, რომელიც აერთიანებს თემს, სკოლასა და სამთავრობო უწყებებს,

ჩვენმა სკოლამ შეძლო, რომ გამხდარიყო ის ადგილი, სადაც თემის ახალგაზრდები, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და ვერ გააგრძელეს სწავლა, ჩაერთო სათემო ინიციატივების განხორციელებაში და ეთანამშრომლა სკოლასა და თემის წარმომადგენლებთან. შევექმენი ეკოკლუბი, ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფარგლებში, რომლის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგის ჩატარება; დღეს ჩემს მოსწავლეებს შეუძლიათ, ესაუბრონ და ტრენინგები ჩაუტარონ ახალგაზრდებს, შევიმუშავეთ ერთად ინიციატივა და დავიწყეთ მის გადაჭრაზე ზრუნვა.

ჩვენ განვახორციელეთ პროექტი „კოლხური ბზის გადასარჩენად“. სოფელში აღმოვაჩინეთ, რომ ნატატალთან არსებობდა კოლხური ბზის კორომი, ვისწავლეთ მისი გამრავლება და დავაკალმეთ, ჩავატარეთ თემში აქცია „ნუ მოჭრი ბზას“ და დავბეჭდეთ ბუკლეტები, რომელიც ბზობის დღესასწაულზე დავურიგეთ მოსახლეობას და ყველა ოჯახში შევიტანეთ დაკალმებული ბზა.

ჩემმა მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსში „Diamond challenger“, დავამუშავეთ პროექტები სოციალური მეწარმეობის კუთხით და შემდეგ ერთ-ერთი მათგანი რეალურად განვახორციელეთ.

ასევე შევიმუშავეთ კონცეფცია ძველი სვანური საპნის აღდგენა-რეალიზების შესახებ და მოსახლეობას ვასწავლეთ, როგორ შეიძლებოდა არამატერიალური მემკვიდრეობა ექციათ შემოსავლის წყაროდ.

მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც განვახორციელე, არის სოციალური საწარმო „მზეკო“, თემის ქალების ეკონომიკური გაძლერებისა და სახელოვნებო განათლების მისაღებად.

სკოლა გახდა ის ადგილი, სადაც ვახორციელებთ სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებს, ვიწვევთ საინტერესო სტუმრებს, მწერლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რეჟისორებსა და ცნობილ ადამიანებს.

წლებანდელი წლის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ჩვენს საქმიანობაში არის ახალგაზრდული ცენტრის დაარსება, რამაც კიდევ უფრო დაახლოვა სკოლა, ახალგაზრდები და თემი.

მე, როგორც მასწავლებელმა, შევძელი ჩემი მოსწავლეები სათემო აქტივისტებად მექცია და ერთად ბევრი რამ შეგვეცვალა სასიკეთოდ.

სოციალური უნარების განვითარება მოსწავლეებში

ნებისმიერ საუკუნეში ცხოვრებას საკუთარი დამახასიათებელი პრობლემები ჰქონდა.

XXI საუკუნეში ცხოვრებისათვის თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში რიგი პრობლემებია დამახასიათებელი, მათ შორის კი ძალზე აქტუალურია სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც სულ უფრო მეტად იკვეთება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა, რომელიც აქტუალობას დღითიდღე იძენს და მეტად მტკივნეული საკითხია. იმის უკეთ გასაგებად, თუ რატომაა აღნიშნული საკითხი მტკივნეული, განვმარტოთ ტერმინი „სოციალური ურთიერთობა“. სოციალურ მეცნიერებაში, სოციალური ურთიერთობა თუ სოციალური ინტერაქცია არის ნებისმიერი სახის ურთიერთობა ორ ან მეტ ინდივიდს შორის.

თუ აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ადამიანი თავისთავადი მოცემულობით არის სოციალური არსება, არაა ძნელი იმის წარმოდგენა, რომ პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გარეშე ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება მეტად რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, რადგან ადამიანის ცხოვრებიდან ამ მნიშვნელოვანი რგოლის ამოგლეჯის შემდეგ ინდივიდი სუსტი და უმწეოა, გაწყვეტილი აქვს კავშირი გარემოსთან. აქვე იკვეთება სოციალური ურთიერთობების ვირტუალურ სამყაროში გადატანის აქტუალობა. ბევრს მიაჩნია, რომ ვირტუალური ურთიერთობები საფრთხეს უქმნის ბუნებრივი ინტერაქციის ფასეულობას. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური ქსელები არ არის სოციალური ურთიერთობების ნაკლებობის მიზეზი, უბრალოდ, სახეცვლილი სოციალური ინტერაქციაა. მაშ, რაშია საქმე? რატომ გვესახება სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა პრობლემად? არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის გზები?

სკოლა, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მოსწავლის სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან სკოლაში მოსწავლეები არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ ურთიერთობებს ამყარებენ თანატოლებთან, რაც მათი სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. თანატოლებთან ურთიერთობით ბავშვები სწავლობენ ჯგუფში მუშაობას, თანამშრომლობას, ურთიერთდახმარებასა და კონფლიქტების მოგვარებას. თუმცა, არიან ბავშვები, რომლებსაც სოციალური ურთიერთობები უჭირთ და მათ მასწავლებლის, მშობლისა და მეგობრების დახმარება სჭირდებათ.

ამ კუთხით განვიხილავთ სოციალური უნარების განვითარების საინტერესო სტრატეგიებსა და მეთოდებს, რომლებიც მასწავლებელს მისცემს საშუალებას, უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად ჩაერთოს მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარების საქმეში.

რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ აღმოფხვრას ეს პრობლემა მოსწავლეში?

1. ვიდეო მოდელირება - საკმაოდ ეფექტურია ისეთი უნარების სასწავლებლად, როგორც არის თამაში და დიალოგის წარმართვა.

2. სოციალური ისტორიები - ეს არის გარკვეული სიტუაციის, მოვლენის ან აქტივობის ფოტოებითა და ტექსტით აღწერა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული მათგანის მოსალოდნელ შედეგებზე;

3. როლური თამაშები, მოდელირება - ეს ტექნიკა, შეიძლება ითქვას, ზემოთ ნახსენები ტექნიკების ბოლო საფეხურია.

4. კლასგარეშე გართობა-დასვენების დროს ჯგუფებში მუშაობა, რაც ბავშვებისათვის სასარგებლოც იქნება და სახალისოც.

თანატოლებთან ურთიერთობას ბავშვების განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეგობრების თანადგომა და მათი საშუალებით სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში ჩართვა მოსწავლეს სოციალური უნარების განვითარებაში ეხმარება. ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვნად ეხმარება ბავშვს სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების განვითარებაში. წყვილებში მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია, გარიყული ბავშვი დააწყვილოს კლასში პოპულარულ მოსწავლესთან, რაც დადებით გავლენას იქონიებს გარიყული ბავშვის სტატუსზე.

ბავშვის სოციალური უნარის განვითარებაზე დადებითად აისახება კლასგარეშე გართობა-დასვენების დროს ჯგუფებში ყოფნა, რაც ბავშვებისათვის სასარგებლოც იქნება და სახალისოც.

თამთა მანდარიც
თბილისი, სკოლა „პოლიგლოტი“

არსებობს თუ არა ინტერკულტურული სენსიტიურობის დიფერენცირებული მაჩვენებელი ასაკით განსხვავებულ მასწავლებლებს შორის

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური რეალები ეფექტური მექანიზმების კვლევის აუცილებლობას ავლენს ინტერკულტურული კავშირებისთვის სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური, იდეოლოგიური შეხედულებების მქონე საზოგადოებაში, რაც მდგრადი განვითარების გარანტიაა.

დღეს, როდესაც მსოფლიოში გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები მიმდინარეობს, ექვგარეშეა, რომ საჭიროა ჰუმანიტარული პარადიგმის ინტერკულტურული დიალოგი, რომელიც ხელს შეუშლის მტრობასა და სიძულვილს ადამიანის ცხოვრებაში. შესაბამისად, თანაბარი ეთნიკური, რელიგიური და სხვა გაერთიანებების წარმომადგენელთა ჩართულობა ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში უნდა იყოს სოციალური კონსოლიდაციის საფუძველი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის დაშლის, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური გაფართოებისა და სხვა კავშირების დამყარების შემდეგ ქვეყნებს შორის აქტუალური ხდება მოთხოვნის ზრდა ინტერკულტურული სტანდარტებით ორიენტირებულ კომუნიკაციებზე.

მთავარი როლი ამ პროცესში ეკუთვნის განათლებას, რომლის ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნამ შეცვალა საგანმანათლებლო სისტემის სოციალური პასუხისმგებლობა, რათა სასწავლო პროცესი მრავალფეროვან გარემოში წარიმართოს.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს. მათ შორისაა კულტურული მრავალფეროვნება - პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება - შემწყნარებლობა, რაც გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას. როგორც ვხედავთ, საქართველოს განათლების სისტემაში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში/განვითარებაში.

როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან ლიტერატურაში, ინტერკულტურული განათლება ეწინააღმდეგება დისკრიმინაციას, ქმნის თანაბარ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს თანასწორუფლებიანობის დაცვით და აღიარებს და პატივს სცემს საზოგადოების მრავალფეროვნებას. არსებული კვლევებიდან გამომდინარე, რომელთა განხილვისას გამოვლენილი პრობლემატური საკითხები ეხება დისკრიმინაციასა და სტერეოტიპების არსებობას, ამასთანავე მასწავლებელთა დიფერენცირებულ მგრძობელობას კულტურული იდენტობის წყაროებისადმი, ჩვენ შევადგინეთ კითხვარი, ზოგადი შეკითხვებით როგორც კულტურული განსხვავებულობისადმი, ასევე კულტურული იდენტობისადმი (მოქალაქეობა, ეთნიკურობა, ენა, რელიგია, რასა, სქესი, ჯანმრთელობა, სოციალური მდგომარეობა და სოციალური სტატუსი, ასაკი, ტერიტორიული მდებარეობა, სექსუალური ორიენტაცია). ჩვენი მთავარი კითხვაა, რამდენად მზადაა მასწავლებელი, დაეხმაროს მოსწავლეს კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩატარებულია შემდეგი კვლევები: „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა სკოლების დაწყებით საფეხურზე“ (ტაბატაძე, გორგაძე 2013), „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით“ (ტაბატაძე 2014), ჩვენი თემა წარმოადგენს სიახლეს, რადგან ასახავს ინტერკულტურული სენსიტიურობის მაჩვენებელს ასაკით განსხვავებულ მასწავლებელთა შორის.

საკვლევი თემის ჰიპოთეზა: ასაკით განსხვავებულ პედაგოგთა ინტერკულტურული მგრძობელობის დონე დიფერენცირებულია სხვადასხვა საკითხის მიმართ.

კვლევის ამოცანები: მეორეული ინფორმაციის დამუშავება, კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, კვლევა, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდები: რაოდენობრივი კვლევა, თვისებრივი კვლევა.

კვლევის ინსტრუმენტი: კვლევის მიზნის შესაბანისად შედგენილი თვითადმინისტრირებული კითხვარი.

რესპონდენტთა შერჩევა: მიზნობრივი (შპს სკოლა „პოლიგლოტის“ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავებული რეკომენდაციები იქნება მიმართული სკოლის განათლების რეფორმის გაუმჯობესებისკენ.

თაინა ლომიძე

ქუთაისი, სკოლა „ღონე ქვეყნისა“

ბულინგი და მისი გამომწვევი მიზეზები

- ბულინგი აქტუალური პრობლემაა მოზარდებში. აღნიშნულის შედეგად, ხშირ შემთხვევაში ფერხდება/უარესდება ბავშვების სწორი მიმართულებით განვითარება ან ძალიან დიდი ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ მათ. ბულინგის შედეგები უშუალოდ შეიძლება დავეუკავშიროთ დაბალ თვითშეფასებას, რომელიც ძალიან უარყოფითად მოქმედებს პიროვნების გარემოსთან ადაპტაციაზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლის ფსიქოლოგიური

მდგომარეობა რთულდება, იგი საკუთარ თავში ჩაკეტილი ხდება, წყვეტს ურთიერთობას თანატოლებთან, ფიქრობს, რომ ყველაზე ცუდია. ამიტომ აუცილებელია ოჯახი და სკოლის კოლექტივი დროულად იქნას ჩართული აღნიშნული პრობლემის მოგვარების საკითხში (არგუმენტები იხილეთ სტატიაში).

- უსაფრთხო სკოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდისათვის კომფორტული მდგომარეობის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში იგი უშუალოდ ორიენტირებულია სასწავლო პროცესზე, აქტიურად თანამშრომლობს მეგობრებთან, ერთვება სხვადასხვა პროექტებსა თუ ღონისძიებებში, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც გაწონასწორებულია (არგუმენტები იხილეთ სტატიაში).
- რა შეიძლება იყოს წინაპირობა ბულინგის წარმოშობისა? შეზღუდული შესაძლებლობა, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, განსხვავებული შეხედულებები, ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობისა და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის მიზეზიც კი ხდება. ყველაფერი ეს სათავეს მაინც არასწორი აღზრდიდან იღებს, რაშიც ოჯახი მოიაზრება, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.
- ოჯახი და სკოლა მნიშვნელოვანი ფაქტორებია ბავშვის სწორად აღზრდის საქმეში. თუ მოზარდი მუდმივად აწყდება ისეთ შემთხვევებს ოჯახში, როგორცაა დამაბული ურთიერთობა მშობლებს შორის, შვილის მიმართ უცენზურო სიტყვების გამოყენება, ფიზიკური შეურაცხყოფა და სხვა, ეს ყოველივე საკმარისია ბავშვის მოძალადედ ჩამოყალიბებისა.
- გამოირკვა, რომ ბულინგის გახშირების ხელისშემწყობი ფაქტორი კომპიუტერული თამაშებიც არის. განსაკუთრებით პრობლემური ასაკი 10-დან 18 წლამდეა. არც თუ იშვიათად, ბავშვი, რომელიც თავადაა ძალადობის მსხვერპლი, იმავეს იმეორებს სხვა სივრცეში, ამიტომ ბულინგის პრევენციისთვის დასჯა გამოსავალი არ არის. საჭიროა ისეთი პოლიტიკა ოჯახებშიც და სკოლებშიც, რომელიც კონფლიქტს არამძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის. ზოგჯერ თავად მშობელს ჰგონია, რომ ბულინგი სასკოლო ოინია, არადა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტესობა, ვინც მოზარდობაში ჩაგვრა განიცადა, შემდეგში თავადაც კრიმინალურ გზას ირჩევს, რადგანაც მასში დაღეძილი აგრესია უკვალოდ არ ქრება.
- მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ დახმარება სჭირდება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ისე ბულინგის ინიციატორს, აგრესორ ბავშვსაც. პირველ რიგში, ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღიქვას, როგორც ბავშვური სიცელქე, რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად იქცეს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება.
- რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ მოხდეს მოზარდის მბულინგებლად ჩამოყალიბება?
1) გულახდილად დაელაპარაკეთ ბავშვს და შეეცადეთ გაარკვიოთ სიტუაცია, რომელმაც მოახდინა სხვა ბავშვების მიმართ აგრესიული ქცევის პროვოცირება. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი და-ძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ. 2) დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისაკენ სოციალურად მისაღები ქცევით. ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი და არა თავად ბავშვი.
- მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ხშირად ვიყენებ ლიტერატურულ პერსონაჟებს ბულინგის აღმოსაფხვრელად. მაგ. გავიარეთ ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“, ან

არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძალი“. მოსწავლეებს ვთხოვ, გამოყონ მჩაგვრელი და ჩაგრული პერსონაჟები ნაწარმოებიდან. ამის შემდეგ კლასში ხდება მსჯელობა იმაზე, თუ რამ გამოიწვია პერსონაჟების მჩაგვრელებად გადაქცევა? რას აქცევენ დიდ მნიშვნელობას: ოჯახს, გარემო ფაქტორებს, თუ ორივეს ერთად? რა ემართებათ მათ მიერ ჩაგრულ ადამიანებს? როგორ მდგომარეობაში ვარდებიან ისინი? ამ საკითხებზე მსჯელობისა და გაანალიზების შემდეგ მოსწავლეებს თვითონ გამოაქვთ სათანადო დასკვნა: არა ბულინგს.

- ამდენად, როცა აქცენტს ვაკეთებთ ბულინგის თემაზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე, აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ პრობლემის გადაჭრის გზებზე, მეთოდებზე, ხერხებსა და საშუალებებზე, რისი საშუალებითაც შეგვეძლება უმტკივნეულოდ აღმოვფხვრათ აღნიშნული საკითხი.

ლელა ბოფორიძე ჭიათურა, N2 საჯარო სკოლა

უსაფრთხო სკოლა, არსებული პრობლემები და გამოწვევები

საინტერესოა უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა ფართო კონტექსტით: როგორი უნდა იყოს უსაფრთხო სკოლა? რამდენად არის სკოლა ზრუნვაზე ორიენტირებული? რა კეთდება იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სკოლაში თავი როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად უსაფრთხოდ იგრძნონ? რა გამოწვევები აქვთ სკოლებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და როგორ უმკლავდებიან მათ? რამდენად არის კავშირში სკოლის მიტოვება სასკოლო უსაფრთხოებასთან?

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის განხილვისას, როგორც წესი, აქცენტი ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე კეთდება. სკოლაში პედაგოგები თუ სკოლის დირექტორები ხშირად აღნიშნავენ, რომ მანდატურები, სათვალთვალო კამერები, გამართული ინფრასტრუქტურა, სკოლის შენობაში უცხო პირების შესვლის აკრძალვა იმის გარანტია, რომ ბავშვებმა თავი დაცულად იგრძნონ. თუმცა, უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და ის მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც მოიცავს. ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო - სწორედ ამგვარ გარემოს მიიჩნევენ განათლების ექსპერტები უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მთავარ ნაწილად. გარემო, სადაც სასკოლო ცხოვრებაში ჩართული ყველა პირისთვის არსებობს სოციო-ემოციური მხარდაჭერის სისტემა.

N2 საჯარო სკოლა ჭიათურაში ერთ-ერთი დიდკონტიგენტის სკოლაა, რომელშიც 650-მდე მოსწავლე სწავლობს. უსაფრთხოების მიზნით სკოლაში უცხო პირების შესვლა მკაცრად კონტროლდება, მშობლების სტუმრობისთვისაც კვირაში ერთი დღე - პარასკევია გამოყოფილი 2-დან 5 საათამდე. ყველა სართულზე, გაკვეთილების თუ შესვენების დროს, მორიგე მასწავლებელია. მორიგეობს მასწავლებელი ასევე ეზოში, ყველა დამრიგებელი შესვენებაზე საკუთარ სადამრიგებლო კლასთანაა. მინდა აღვნიშნო, რომ ფიზიკური გარემოს მხრივ სკოლაში ყველაფერი წესრიგშია: არასოდეს მომხდარა არანაირი ინციდენტი და თითოეული მოსწავლე გამუდმებით პედაგოგების ყურადღების ცენტრშია. სკოლაში ორი მანდატურია და ისინი, უსაფრთხოების მიზნით, დიდ დახმარებას უწევენ სკოლას. სკოლის მთავარ შემოსავლელს აკონტროლებს კარისკაცი.

ყველა კლასში ტარდება სადამრიგებლო საათი, რომელიც საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ღიად ისაუბრონ დამრიგებლებთან თავიანთი პრობლემებისა თუ მიღწევების შესახებ. ვფიქრობ, რომ დღევანდელი გადასახედიდან ჩემს სკოლას უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გამოწვევა არ აქვს და როგორც ფიზიკური გარემო, ისე სასწავლო პროცესი სკოლაში მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღებია.

სკოლა სოციალური ინსტიტუტია და ყოველი მოსწავლე ამ გარემოს მონაწილეა. აქ ის სწავლობს კრიტიკულ აზროვნებას, არჩევანის გაკეთებას, ემზადება მომავლისთვის. როდის გრძნობს მოსწავლე სკოლაში თავს კარგად? როცა დაცულია, როცა არავინ ჩაგრავს, არ დასცინის, არ ჭორაობს მასზე, არ სთხოვენ პასუხს; როცა პროფესიონალები ასწავლიან და იგებს, რასაც ასწავლიან; როცა ხალისობს, არ იღლება, გრძნობს სიყვარულს; როცა მის აზრს ითვალისწინებენ, პატივს სცემენ. რამდენად შესაძლებელია თითოეულ მოსწავლეს მსგავსი გარემო შევუქმნათ? ასეთი იდეალური პირობების შეთავაზება ჯერ-ჯერობით სრულყოფილიად არ შეუძლია სკოლას. პრობლემები ისევ რჩება.

განტვირთული სასწავლო პროგრამები, საინტერესო გაკვეთილები, მათ შორის, სპორტული და სახელოვნებო, კეთილგანწყობილი მასწავლებლები ქმნიან მოტივაციას არსებულ რეალობაშიც კი.

„რა არის ემოციური უსაფრთხოება? როცა ბავშვი მიდის სკოლაში და მას არ ეშინია, რომ თანატოლები დასცინებენ, ნივთებს წაართმევენ, დაჩაგრავენ, თუ არ ეშინია გაკვეთილზე შეცდომების დაშვების, რომ მასწავლებელი მას დასჯის და ცუდი ნიშნებით დაემუქრება. თუ ეს განცდები არ აქვს, არის უფრო ლაღი, ბედნიერი და რეალიზებული, ღირებულად გრძნობს თავს. მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ბავშვი არის ემოციურად უსაფრთხო გარემოში და სკოლა ამას უზრუნველყოფს.“

ამგვარი გარემოს მისაღწევად ბევრი სხვადასხვა ფაქტორია საჭირო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ბავშვების სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე ზრუნვაა. ეს მიზანმიმართულად უნდა ხდებოდეს, იმისათვის, რომ ბავშვებს ვასწავლოთ პოზიტიური კომუნიკაცია, კომპრომისზე წასვლა და ა.შ.

ერთეული მოსწავლეების მიერ ადგილი აქვს გაკვეთილების თვითნებურად მიტოვებას, იშვიათ შემთხვევაში ეზარება სკოლაში სიარული, ხელი აიღო სწავლაზე, არამოტივირებულია, ამიტომ ყოველთვის სკოლა ცდილობს მიზეზების სიღრმისეულად შესწავლას, ხომ არ არის სკოლაში დარღვეული მისი როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური უსაფრთხოება. უფრო მეტად იკვეთება მშობლის დაკნინებული როლი საკუთარი შვილის სასკოლო ცხოვრებაში.

გარდა სახელმწიფო რეგულაციებისა, ჩემი სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, თავად ახდენს არსებული მწვავე პრობლემის იდენტიფიცირებას და სახავს ინტერვენციის გზებს.

„ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“

ყოველთვის, როდესაც ჩვენგან რაიმე ნიშნით განსხვავებულ ადამიანს ვხედავთ, გვიჩნდება ინტერესი. ზრდასრულ ადამიანებში ამ ინტერესის გამოვლენას შედარებით უწყინარი და ტაქტიანი ფორმა აქვს, მაგრამ როდესაც ბავშვებზეა საუბარი, საქმე სულ სხვანაირადაა. ისინი ვერ აკონტროლებენ საკუთარ ქმედებას, სიტყვას, მიმიკას და ხშირ შემთხვევაში, ბავშვური გულუბრყვილობიდან გამომდინარე, გაუცნობიერებლად ტკივილს აყენებენ მისთვის „უცნაურ“ ადამიანს. სკოლისა და მასწავლებლის მოვალეობაა, აღზარდოს ტოლერანტული დამოკიდებულების მქონე თაობები, რომლებიც პატივს სცემენ სხვის განსხვავებულობას და მიიღებენ საზოგადოებაში ისეთებად, როგორებიც არიან.

ჩემი უშუალო კავშირი ამ საკითხთან დაიწყო რამდენიმე თვის წინ, როდესაც ერთი შეხედვით უბრალო ერთმა ხუმრობამ „მაიძულა“, კონკრეტული ზომები მიმეღო. შესვენებაზე ორი მეათე კლასელი ბიჭი ხუმრობით ეჭიდავებოდა ერთმანეთს, ხუმრობამ სერიოზული ხასიათი მიიღო და ერთ-ერთმა ბიჭმა მეორეს უთხრა: „თავი დამანებე შე დაუნო“. ამ ინციდენტმა დამაფიქრა იმაზე, რომ მოსწავლეების ინფორმირებულობა საკმაოდ დაბალ დონეზეა. მათმა დიდმა ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს დაუნის სინდრომი და რა კონტექსტში უნდა გამოიყენოს ეს სიტყვა. გადავწყვიტე, მემუშავა ამ კუთხით. ვფიქრობ, ხშირი საუბრები სხვადასხვა ტოლერანტულ თუ სოციალურ თემებზე, კონკრეტულად მოსწავლეების ჩართვა პროექტებსა და ღონისძიებებში მოგვცემს სასურველ შედეგს.

გადავწყვიტე, ჩემს სადამრიგებლო მეთერთმეტე კლასში ჩამეტარებინა სატელევიზიო შოუ „ექიმების“ ანალოგი, სადაც მთავარი სამედიცინო თემა იქნებოდა დაუნის სინდრომი და მასთან დაკავშირებული საკითხები. მოსწავლეების გარკვეულ ჯგუფთან ერთად ვიმუშავეთ ინფორმაციის მოძიებასა და გადანაწილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ისწავლება მეთერთმეტე კლასის ბიოლოგიაში, ბევრი დეტალი მათთვის ახალი და საინტერესო იყო. სხვადასხვა თვალსაზრისების გამოყენებით მათ ძალიან მარტივ ენაზე აუხსნეს თანატოლებს, რა არის დაუნის სინდრომი, რა იწვევს მას, რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეს ჯანმთელობის მხრივ და რა დამოკიდებულება არსებობს მსოფლიოში ამ სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ. სტუმრის რანგში მოვიწვიეთ სკოლის ექიმი და მისგან მივიღეთ კომპეტენტური ინფორმაცია.

იმისათვის, რომ მოსწავლეებისთვის ეს საკითხი უფრო ახლობელი გამეხადა, ისინი წავიყვანე ორგანიზაცია „მზის შვილებში“, სადაც დღის განმავლობაში იკრიბებიან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები. ჩემმა მოსწავლეებმა სპეციალურად მათთვის დადგეს თოჯინური სპექტაკლი, სადაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებიც ჩართეს, მათთან ერთად იმღერეს, ითამაშეს მხიარული სტარტები და ლოტო. მათთან გატარებულმა დღემ ძალიან დიდი ემოციური ეფექტი მოახდინა ჩემს მოსწავლეებზე. მათ სულ სხვა თვალთ დაინახეს ეს ბავშვები და იმასაც მიხვდნენ, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან „ჩვეულებრივი“ ბავშვებისგან.

„მზის შვილებში“ მიღებული ემოცია მოსწავლეებმა სლაიდისა და ვიდეოს სახით გაუზიარეს ღონისძიებაზე დამსწრე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ვფიქრობ, მიღებული ინფორმაცია და ემოცია დიდი ხანი გაჰყვებათ ჩემს მოსწავლეებს. მე შევეცადე ჩემი მცირე წვლილი შემეტანა მათი

ცნობიერების ამაღლებაში. მასწავლებელმა ხშირად უნდა დაგეგმოს ისეთი პროექტები თუ აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ტოლერანტული ადამიანის ჩამოყალიბებას.

სოფიკო მირცხულავა

თეა კაკულია

**სენაკი, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია**

Value your elders - პატივი ვცეთ ხანდაზმულებს

ხანდაზმულებისადმი დამოკიდებულება და მოპყრობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია თანამედროვე სამყაროში. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილმა დაკარგა უფროსებისადმი პატივისცემა. ისინი არ ითვალისწინებენ მათ აზრს, რჩევას, არადა ძალიან მნიშვნელოვანია მათი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება და გათვალისწინება. არის შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები შეურაცხყოფასაც კი აყენებენ მოხუცებს. ისინი ვერ აცნობიერებენ, თუ რა ტკივილს აყენებენ ამ საქციელით ხანდაზმულებს. ეს ძალიან ცუდად აისახება მათზე, მათ სჭირდებათ განსაკუთრებული თბილი მოპყრობა, რადგან მათ ამით სიცოცხლის ხალისს ვმატებთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში ძალიან ხშირად დრო, უბრალოდ, არ გვრჩება ხოლმე ხანდაზმულებთან კომუნიკაციისათვის, არადა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სიტბოს, ყურადღებისა და პატივისცემის გამოხატვა, შეგრძნება იმისა, რომ საჭირო ადამიანები არიან, რათა თავი "ზედმეტად" არ იგრძნონ საზოგადოების ცივი დამოკიდებულების გამო. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია და ამ პრობლემის მოგვარების უმთავრეს გზად საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება მიგვაჩნია. პროექტის მიზანს წარმოადგენს, რომ მოსწავლეებში მოხდეს ცნობიერების ამაღლება ხანდაზმული ადამიანების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც შეიძლება ასაკოვანი ადამიანების მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ წარმოქმნას. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების ყველაზე კარგი გასაღები შეიძლება იყოს, ადამიანების მიერ იმის გაანალიზება, რომ ყოველი მათი არასწორი ქმედება დააზარალებს ხანდაზმულებს და მათ უფლებებს. თითოეულ ჩვენგანს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პატივი ვცეთ სიბერეს, რადგან ის ჩვენი მომავალია.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ პროექტის უმთავრესი დანიშნულება გახლავთ, გავუღრმავოთ მოსწავლეს ცოდნა, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარები, დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა საქმისადმი და ასე მივაღწიოთ დასახულ მიზანს. მოსწავლისათვის კი საშუალებაა, დამოუკიდებლად დაგეგმოს, გამოიკვლიოს, განახორციელოს, მრავალი კუთხით შეხედოს ერთსა და იმავე პრობლემას, გააშუქოს, იმსჯელოს და საინტერესო გახადოს ცოდნის დაგროვების პროცესი.

პროექტის მიმდინარეობის პროცესში აქტიურად ვუწევდით მოსწავლეებს მონიტორინგს, ვაკვირდებოდით, სწორი მიმართულებით მიმდინარეობდა თუ არა მუშაობის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ვუწევდით დახმარებას ინფორმაციის მოპოვებასა თუ დახარისხებაში, იმ დაბრკოლებების გადალახვაში, რამაც შეიძლება თავი იჩინოს უცხოენოვან პროექტზე მუშაობისას; კერძოდ, ენობრივი ბარიერის გადალახვაში.

გამოყენებული აქტივობები:

- ინფორმაციის მოძიება-კვლევა;
- რესურსების შექმნა;
- ინტერვიუ;
- დისკუსია;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქველმოქმედო აქცია;
- პრეზენტაცია;
- პრეზენტაციის დღეს მოწვეული ხანდაზმული ადამიანებისათვის კონცერტის გამართვა.

სამუშაო გახლდათ საკმაოდ დიდი და შესაბამისად დრო განვსაზღვრეთ 2 თვით.

მოსწავლეები შემოქმედებითად მიუდგნენ დავალებას, საწყის ეტაპზე მოხდა საპროექტო იდეის შემუშავება, მათ ერთად დაგეგმეს პროექტი, გაინაწილეს ფუნქციები, შექმნეს სლაიდები, მოიძიეს ვიდეო რგოლები, დაამზადეს დეკორაციები, გააფორმეს საპრეზენტაციო ადგილი, ჩაწერეს ინტერვიუ, მოიფიქრეს სლოგანები. პროექტის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ გახლდათ - სასწავლო რესურსების შექმნა, მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია და შეგროვებული საკვები და ტანსაცმელი გადასცეს სოციალურად დაუცველ მოხუცებს, უკვე გადამუშავებული ინფორმაცია წარმოადგინეს აუდიტორიის წინაშე სლაიდების, პოსტერების, ვიდეოს სახით.

პროექტის შედეგი: მოსწავლეებმა გაწერილი სცენარის მიხედვით თანმიმდევრულად წარმოადგინეს დავალებები:

აქტიურად ჩაერთვნენ პროექტში, დამოუკიდებლად მოიპოვეს მასალები. თითოეულმა ჯგუფმა აქტიურად გამოიყენა ინტერნეტ რესურსები და ბიბლიოთეკა. დაამზადეს სლაიდები და მოიძიეს ვიდეო-რგოლები. ჩაწერეს ინტერვიუები ხანდაზმულ ადამიანებთან. ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებდნენ მოპოვებულ მასალებს.

პროექტის მიზნები გვეხმარება, მივალწიოთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს გარკვეული რაოდენობის ინდიკატორებით

უცხ.ს.III.16. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა.

უცხ.ს.III.19. მოსწავლე ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ უნარ-ჩვევებს.

უცხ.ს.III.23. მოსწავლეს შეუძლია უცხოურ ენაზე განახორციელოს სხვადასხვა ტიპის პროექტი

საგანმანათლებლო პროექტების გამოყენება კარგი საშუალებაა მოსწავლეთა უნარებისა და მიდრეკილებების წარმოსაჩენად და განსავითარებლად, რადგან მოზარდებს უვითარდებათ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

ეფექტური სტრატეგიები და ინსტრუმენტები სკოლის უსაფრთხო გარემოსთვის

გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესების მიმდინარეობის ხანაში XXI საუკუნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, საზოგადოებას აღუზარდოს თანამედროვე გამოწვევებისთვის მომზადებული და მუდმივი სიახლეებისადმი მიძღვნილი პიროვნებები, რომელთაც გამომუშავებული ექნებათ ყველა ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებასაც მოითხოვს მათგან ახალი საუკუნე. მოსწავლეებში ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებას კი სკოლა მხოლოდ და მხოლოდ უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის შემთხვევაში შეძლებს. სწორედ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფიდან იღებს სათავეს ნებისმიერი სკოლის განვითარების ისტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს მოკლებული დარჩება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგეგმილ და გამხორციელებულ ინტერვენციათა მთელი ჯაჭვი.

თითოეული სკოლის უსაფრთხოების პრობლემა ინდივიდუალურია. შესაბამისად, ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს საკუთარი, ინდივიდუალური უსაფრთხოების პოლიტიკა, მუდმივად სწავლობდეს სიტუაციას, ახდენდეს ძალადობის პრევენციას. ეს არის სწორედ ზრუნვაზე ორიენტირებული მიდგომა, რომ მოსწავლეს ჰქონდეს პირობები, თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და თვითრეალიზება შეძლოს (1-2).

სსიპ ქ. რუსთავის მე-17 საჯარო სკოლაში 2018-2019 სასწავლო წლის სექტემბერ-მაისში ჩავატარეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა.

კვლევის მიზანი იყო სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების მოსაგვარებელი გზების მოძიება, შესაბამისი მექანიზმებისა და სტრატეგიების შემუშავება და ამ მექანიზმებისა და სტრატეგიების ამოქმედება სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

კვლევის ამოცანაა, შევისწავლოთ სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მექანიზმები და სტრატეგიები.

კვლევაზე მუშაობდა ნელი ლიქოკელი (სკოლის დირექტორი და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი) და ნინო ლარცულიანი (ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი).

კვლევის დროს გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, ანკეტირება;

დავგეგმეთ ინტერვენციები:

- მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის და სკოლის თემისთვის, სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;
- სკოლაში ნდობის ყუთის დადგმა, სახელწოდებით „წერილი დირექტორს“, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის დირექციის ინფორმირებულობას რიგ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება სკოლის უსაფრთხოების თემას;
- სკოლის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ცხრილების შექმნა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლისა და სკოლის თემის მუშაობას;

კვლევის შედეგები: მონაცემთა ანალიზისა და განხორციელებული ინტერვენციების შეფასების საფუძველზე მივიღეთ დადებითი შედეგები: მოსწავლეები, მასწავლებლები, სხვა თანამშრომლები და მშობლები ახლა უკვე ინფრომირებულნი არიან სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებთან და ამასთანავე, სკოლამ შეიმუშავა სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებელი გზები, შეიმუშავა შესაბამისი მექანიზმები და სტრატეგიები და ამოქმედა ისინი, რითაც ხელი შეუწყო სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას.

დასკვნა: მიუხედავად განხორციელებული ინტერვენციებისა, რომელთაც დადებითი შედეგი ჰქონდათ, მიგვაჩნია, რომ საჭიროა დამატებითი პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება, რათა მიღწეულ იქნას უკეთესი შედეგები. მიგვაჩნია, რომ სკოლის უსაფრთხოებას ასევე ძალიან დაეხმარება სკოლის თემის აქტიური ჩართვა სხვადასხვა სასწავლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ასევე, სასკოლო გარემოს კრეატიულად მოწყობა და ასევე, სკოლაში განსხვავებული თავისუფალი სივრცის შექმნა, მაგალითად, სკოლის ეზოს თანამედროვედ და კრეატიულად მოწყობა (მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით) და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა სკოლაში. ამასთანავე, სკოლის აღჭურვა უფრო მეტი და თანამედროვე ტექნოლოგიებით.

